პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სა. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო კომიტეტების — და — სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

ყოველდღიური მეათე [წელიწადი]

რედაქცია: თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული. რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე. ტელეფ.: რედაქტორის . . . 14—76; რედაქტორის მოადგ. 23—17; მდივნის . . . . 10—58; მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა: თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით, მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

შაბათი, 14 ივნისი 1930 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 137 (2785)

დღიური

— ეკონომიური კრიზისი გერმანიაში.
— ესტონელი მოღვაწე საბჭოთა კავშირის შესახებ.
— საფრანგეთის კალიუმის მაღაროებში გაფიცვა გამოაცხადა 10.000 მუშამ.
— ჩინეთის წითელი არმიის ახალი გამარჯვება.
— ლვოვის სასამართლომ დაღრჩობა მიუსაჯა სამ კომუნისტს არალეგალური ლიტერატურის გავრცელებისათვის.

მოვახდინოთ გადამჭრელი გარდატეხა საბჭოთა აპარატის წმენდაში

სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდი მწვავედ აყენებს ჩვენი მუშაობის ყველა დარგში ძალთა მაქსიმალური მობილიზაციისა და სახელმწიფო ორგანოების საფუძვლიანად გაუმჯობესების ამოცანას. ლენინი არაერთხელ ჰკიცხავდა საბჭოთა აპარატის მუშაობაში მემკვიდრეობით თავშეფარებულ ბიუროკრატიზმს, უმოძრაობას და სხვა უმსგავსობას.

მას შემდეგ მდგომარეობა ბევრად არ შეცვლილა. დიდი დაკვირვება არაა საჭირო, რომ ჩვენს ყოველდღიურ სინამდვილეში შენიშნო, რამდენად მოიკოჭლებს სახელმწიფო აპარატის მუშაობა, რამდენად არ შეეფერება ის იმ ამოცანებს, რომელთაც აყენებს მის წინაში დიდი გარდატეხის ეხლანდელი პერიოდი.

რაში მდგომარეობს საბჭოთა აპარატის ტკივილები? ზოგადათ ეს ყველასათვის ცნობილია. საჭიროებაზე გაცილებით მეტი შტატები, ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების არაჩვეულებრივი სიდიდე, ბიუროკრატიზმი, მოუქნელობა მუშაობაში, ხეპრული დამოკიდებულება მშრომელი მასებისადმი და ზოგჯერ პირდაპირი მაენებლობაც—აი, ის ტკივილები, რომელთაც ვხვდებით სახელმწიფო აპარატის საქმიანობაში.

ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება, რომელიც მიმართულია საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისაკენ, ესაა აპარატის წმენდა. ეს აუცილებელია, როგორც იმისათვის, რომ საბჭოთა დაწესებულებების კედლებიდან დაუნდობლად გაძევებულ იქნას ყველა უღირსი და მტრული ელემენტები, აგრეთვე იმისათვისაც, რომ საფუძვლიანად შესწავლილი იქნას აპარატის მუშაობა და დაისახოს პრაქტიკული ღონისძიებები მის გასამარტივებლად, გასაუმჯობესებლად და გასაიაფებლად. თუ რამდენად მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები, რამდენად დიდ თანხას ნთქავს ის მაშინ, როცა სახელმწიფო თავისი რესურსების მაქსიმალური [...] ატარებს ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას, შემდეგი ციფრებიდან ჩანს: ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები ამიერ-კავკასიაში საშუალოთ მოსახლეობის თვითეულ სულზე წლიურად უდრის 206 კაპ., საბჭოთა რუსეთში კი —109 კაპ., ხოლო უკრაინაში უფრო ნაკლებს — 103 კაპ.

მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტმა ჯერ კიდევ წარსული წლის ნოემბრის დადგენილებაში ხაზგასმით მიგვითითა ამიერ-კავკასიის საბჭოთა აპარატის გაიაფების აუცილებლობაზე, ამ დადგენილების განსახორციელებლად ჯერ-ჯერობით მეტ ნაწილად უფრო ფორმალური ზომებია მიღებული. მდგომარეობა უმთავრესად უცვლელია, მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო აპარატის შტატები კიდევაც გაიზარდა.

აქედან აშკარაა, თუ რატომ აქცევს პარტია და ხელისუფლება ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას საბჭოთა აპარატის წმენდას. მუშაობა ამ მიმართულებით უკვე დიდი ხანია, რაც დაიწყო, მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ საბჭოთა აპარატის წმენდამ ჯერ-ჯერობით ვერ გამოიღო ის ნაყოფი, რომელსაც მისგან სამართლიანად უნდა მოველოდეთ. ეს მოხდა უმთავრესად იმიტომ, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და მთელი რიგი სხვა ორგანიზაციები მიუტევებელ უმოქმედობას იჩენენ აპარატის წმენდის საკითხებისადმი. ამითვე უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ საბჭოთა აპარატის წმენდის ირგვლივ ქალაქისა და სოფლის ფართო მშრომელი მასები საჭირო აქტივობით არ არიან დარაზმული. ეს კი წმენდის წარმატებითი მსვლელობის ძირითადი პირობაა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის მეშვიდე ყრილობამ თავის დადგენილებაში, რომელიც მიღებულ იქნა ცენტრალური საკონტროლო კომისიის — მუშგლეხინის საქმიანობის გარშემო, ეს გარემოება ხაზგასმით აღნიშნა და დაავალა ადგილობრივ ორგანიზაციებს გააძლიერონ ყურადღება აპარატის წმენდისადმი. ამ დადგენილებაში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს:

„აღნიშნავს რა საბჭოთა აპარატის წმენდის არადამაკმაყოფილებელ მსვლელობას მთელ რიგ ორგანიზაციებში და რაიონებში, რაც იმის შედეგია, რომ ამ მუშაობას ყურადღებას არ აქცევენ პარტორგანიზაციები და პროფკავშირები, ყრილობა ავალებს ყველა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წმენდას და შეაფასონ ის, როგორც უმნიშვნელოვანესი ღონისძიება ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღებისა და მისი შეფარდების ხუთწლიან გეგმის და მ უკანასკნელთან დაკავშირებულ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის“.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ასეთი დამოკიდებულების გამო აპარატის წმენდის საქმისადმი შეიძლება ითქვას, რომ მათ დაივიწყდათ საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სათანადო დადგენილება, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი: **„პარტიულმა ორგანიზაციებმა ისეთივე ყურადღება უნდა მიაქციონ საბჭოთა აპარატის წმენდას, როგორც პარტის წმენდას“-ო.**

ყოველივე ზემოთქმულიდან დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოტანილი საჭირო პრაქტიკული დასკვნა. საბჭოთა აპარატის [...] უნდა მოხდეს გადამწყვეტი გარდატეხა. ადგილობრივ პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა ორგანიზაციებმა მთელი ძალღონე უნდა იხმარონ, რომ საბჭოთა აპარატის წმენდა ფართოთ გაიშალოს. უნდა მიღებულ იქნას ყველა ზომები მუშებისა და ღარიბ საშუალო გლეხკაცობის აქტიურად ჩაბმისათვის ამ წმენდაში. დრო არ ითმენს. საჭიროა გავითვალისწინოთ დასმული ამოცანის უდიდესი მნიშვნელობის შეგნებით და რაც შეიძლება დაჩქარებით გადავიდეთ ენერგიული ნაბიჯები სათანადო მუშაობის დასაყენებლად თავის სიმაღლეზე.

ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ლიდერები ამზადებენ მასების ღალატს

მაკდონალდის აეროპლანები უშიშარებს უშენენ აჯანყებულებს

ფინეთი ფაშიზაციის გზაზე.—მზადდება კომუნისტური ორგანიზაციების მასიური დარბევა

მდგომარეობა ინდოეთში

ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ლიდერების მანევრები

სტამბოლი, 12 ივნისი. როგორც ინდოეთიდან იუწყებიან, ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ლიდერები ინდოეთის მრეწველობის, განსაკუთრებით კი—საფეიქრო ფაბრიკების პატრონთა თანხმობით და დახმარებით ყველა ზომებს იღებენ იმისათვის, რომ ინგლისის საქონლის, კერძოთ—შეგერილი ტანსაცმელის ბოიკოტი აქციონ კონგრესის პროგრამის ცენტრალურ პუნქტად. ამ გზით კონგრესს სურს ნიადაგი გამოაცალოს მღელვარების მასიურ ხასიათს და ამასთან ერთად შეინარჩუნოს მასების ნდობა, რამდენადაც თავის მანევრებს ფარავს ანტიბრიტანული ლოზუნგებით. (ადს).

ბოიკოტი ინგლისის საქონლის წინააღმდეგ ფართოვდება

პარიზი, 12 ივნისი. „ჟურნალ“-ის სპეციალური კორესპონდენტი ბომბეი ინდოეთიდან იუწყება, რომ ინგლისის საქონლის წინააღმდეგ მიმართული ბოიკოტის ლოზუნგი ინგლისისათვის მეტ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე მარილის კანონის საწინააღმდეგო კამპანია. „ამ საბოიკოტო კამპანიამ,—სწერს ელჩი,—ახალია ის, რომ მას ამჟამად ადგილობრივი ვაჭრები და საფინანსო წრეებიც ემხრობა. დამახასიათებელია, რომ ინგლისის საწინააღმდეგო ბოიკოტისადმი მოწოდებასთან ერთად, ინდოეთის ვაჭრები ინდოეთის ნაციონალური ბეჭდით აძლევენ იაპონიის, გერმანიის და ჩეხო-სლოვაკიის საქონელს. (ადს).

აჯანყებულ ტომებს კვლავ ესვრიან

ლონდონი, 13 ივნისი. მიუხედავად ინგლისის აეროპლანების მიერ გაძლიერებული საჰაერო სროლისა, ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთის სანაპირო პროვინციის აჯანყებული ტომები ენერგიულად განაგრძობენ სამხედრო ოპერაციებს ინგლისის ჯარების წინააღმდეგ. სვატის ტომის რაზმები უახლოვდებიან ოტხის, რომელიც 85 ინგლისური მილის მანძილზე მდებარეობს პეშევარიდან. (ადს).

ახალი შეტაკებები პოლიციასთან

ლონდონი, 12 ივნისი. ინდოეთის მთელ რიგ ქალაქებში—ლაგორში, დერადუნში, ლუცხოუში, ბომბეიში და მადრასში მოხდა შეტაკებები პოლიციასა და ეროვნული კონგრესის პიკეტებს შორის. პოლიციამ მოახდინა მასიური დაპატიმრებები. (ადს).

უარს ამბობენ გადასახადების შეტანაზე

ლონდონი, 12 ივნისი. ლაგორის რაიონის მიწათმფლობელები უარს ამბობენ გადასახადების შეტანაზე, ვიდრე დამსჯელი რაზმებს უკან არ გაიწვევენ. რაიონში ჩაფრინდნენ აეროპლანები და ჯავშნიან ავტომობილთა რაზმები. (ადს).

საიმონის კომისიის წინააღმდეგ

ლონდონი, 12 ივნისი. სურატში (ინდოეთი) გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია საიმონის კომისიის მიერ გამოქვეყნებული მოხსენების წინააღმდეგ. დემონსტრანტებმა დასწვეს საიმონის სურათი. (ადს).

„საბჭოთა კავშირს ფართოდ უნდა გაეხსნას კრედიტები“

ლონდონი, 12 ივნისი. „დეილი ჰერალდ“-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს თემზა პალატის და მუშათა პარტიის წევრმა ტეილორმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, მთავრობამ უნდა ფართოდ გაუხსნას კრედიტები საბჭოთა კავშირს. ტეილორმა გამოსთქვა სინანული იმის გამო, რომ ამ კომიტეტში, რომელიც მთავრობას დასკვნებს აძლევს საექსპორტო კრედიტების მიცემის შესახებ, 13 წევრიდან მხოლოდ ერთია მუშათა პარტიის წევრი და ერთიც კოოპერატორი (ადს).

მ უ შ ა თ ა ბ რ ძ ო ლ ა

გერმანიის 200.000 მუშის ბრძოლა კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ

ბერლინი, 12 ივნისი. საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილების გამოცხადებამ სავალდებულოდ გერმანიის ჩრდილოეთ-დასავლეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობისათვის და ამით გამოწვეულმა გართულებამ უკანა რიგში დასწია ყველა დანარჩენი შინაპოლიტიკური და ეკონომიური საკითხები. საზოგადოება მეტ ყურადღებას აქცევს საკითხს—დაემორჩილება თუ არა ჩრდილოეთ-დასავლეთის სამრეწველო რაიონის 200.000 მუშა სავალდებულო გადაწყვეტილებას, რომელსაც ეხლა კანონიერი ძალა მიიღო. მუშათა მასების მეტად დიდი აღშფოთების გამო, რეფორმისტები - ბიუროკრატები ვერ ბედავენ აშკარად გამოვიდნენ იმის სასარგებლოდ, რომ მუშებმა მიიღონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ხელფასის შემცირებისა და სამუშაო დღის გადიდების შესახებ, მაგრამ ისინი არაფერს არ აკეთებენ იმისათვის, რომ საბრძოლველად დარაზმონ მუშები. რევოლუციონერი პროფოპოზიცია მოიწვევს კვირას იწვევს საჰაერო კონფერენციებს, რომლებზედაც განხილული იქნება მხოლოდ საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებისადმი დამოკიდებულების საკითხი. ამ კონფერენციებს ამოცანა პროლეტარული მთლიანი ფრონტის შექმნა კათოლიკურ, სოციალ-დემოკრატიულ და უპარტიო მუშებთან. რევოლუციონერი პროფოპოზიციის სრულიად გერმანიის საბჭომ სავალდებულო გადაწყვეტილების შესახებ გამოსცა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ შრომის მინისტრის შტეგერვალდის მიერ საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილების სავალდებულოდ გამოცხადება წარმოადგენს ყველაზე ძლიერ იერიშს ამ იეროშებიდან, რომლებსაც მრეწველები ლღეიმდე აწარმოებდნენ. „პროფკავშირთა რეფორმისტმა ლიდერებმა,—ნათქვამია მოწოდებაში,—მოამზადეს ხელფასის შემცირება თავიანთი ტაქტიკით. რეფორმისტებმა დაიწყეს იმით, რომ ბრძოლას არ ანებებდნენ მუშებს და აშკარა შტრეიკბრეხერობის მოწყობამდე მივიდნენ. მუშათა კლასი ვერ იქონიებს მათი დახმარების იმედს, იგი მხოლოდ ახალ ღალატს უნდა ელოდეს მათგან. მრეწველებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებით პროფბიუროკრატებს სურთ მუშათა კლასი ხელფეხშეკრული მისცენ მტერს. რურის ოლქის ქარხნებში მეტალისტებმა უნდა აირჩიონ საგაფიცო კომიტეტები და გამოაცხადონ საპროტესტო გაფიცვა სამედიატორო გადაწყვეტილების სავალდებულო ხასიათის წინააღმდეგ“.

გაფიცვა კალიუმის მაღაროებში საფრანგეთში

პარიზი, 12 ივნისი. კალიუმის სახელმწიფო მაღაროებში ზემო რეინის დეპარტამენტში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. მუშებმა ეკონომიური მოთხოვნები წარადგინეს. მაღაროებში 10.000 მუშაა. (ადს).

სამუშაოზე ბრუნდებიან გადაწყვეტილებით ხელსაწყელ მომენტში განახლონ ბრძოლა

ლონდონი, 12 ივნისი. გაფიცულ ფეიქართა უმრავლესობამ განაახლა მუშაობა მრეწველების მიერ წამოყენებული პირობებით. ზოგიერთი ჯგუფები განაგრძობენ გაფიცვას. მრეწველები, გაფიცულების რიგებში დემორალიზაციის შეტანის მიზნით, აცხადებენ, რომ არ შეუძლიათ უკან მიიღონ ყველა მუშა. არსებითად ეს ნიშნავს რეპრესიულ ღონისძიებებს ყველაზე უფრო აქტიური მუშების მიმართ. გაფიცვის დამახასიათებელი იყო მტკიცე პოზიცია მუშების, რომლებიც გამოდიოდნენ შტრეიკბრეხერული ხაზის მეტარებელ ბიუროკრატების წინააღმდეგ. პროფბიუროკრატებმა დაშალეს შელლეიფოროლის მრეწველობის მუშათა კავშირის აღმასრულებლობა, დახმარების მცირე რაოდენობით გაცემის საშუალებით ისინი აფუჭებდნენ მუშათა მებრძოლ განწყობილებას, კრძალავდნენ პიკეტების ჩაყენებას საწარმოებში, ილაშქრებდნენ საგაფიცო კომიტეტების წინააღმდეგ და იცხადებდნენ, რომ გაფიცვა უსათუოდ წაგებული იქნება.

დამარცხების მიუხედავად, პროფბიუროკრატებისათვის გაფიცვის ხელმძღვანელობის წართმევის შეუძლებლობისა და მატერიალური საშუალებების უქონლობის მიუხედავად, ცენტრალურმა საგაფიცო კომიტეტმა უჩვენა მასებს ბრძოლის ახალი მეთოდები და ჩაატარა მასიური პიკეტების, მოქმედების კომიტეტების და საწარმოებში საგაფიცო კომიტეტების მოწყობის ცდა. მუშათა მასები საწარმოებში ბრუნდებიან მტკიცე გადაწყვეტილებით — განაახლონ ბრძოლა. მუშები საშინლად არიან აღშფოთებულნი პროფბიუროკრატების მოქმედებით. (ადს).

მუშათა დამხმარე საერთაშორისო კომიტეტი ეხმარება მანსფელდის მეტალისტებს

ბერლინი, 12 ივნისი. ამ უკანასკნელ დღეებში ეისლებენში, გეტშტეტში და გერბშტეტში (მანსფელდის მეტალისტთა გაფიცვის რაიონი) მუშათა დამხმარე საერთაშორისო კომიტეტმა გახსნა სასადილოები. სასადილოები პირველ რიგში საჭმელს მიაწოდებენ ბავშვებს, ხოლო შემდეგ ყველაზე უფრო გაჭირვებულ მუშაკებს საგაფიცო პიკეტებიდან. (ადს).

თანაგრძნობის გაფიცვა

პარიზი, 12 ივნისი. როგორც ბრიუსელიდან იუწყებიან, გენტის გაფიცულ მეტალისტთა თანაგრძნობის ნიშნად, ლეჟში გაფიცა 1000 მეტალისტი. (ადს).

ფინეთი ფაშიზაციის გზაზე

ჰელსინგფორსი, 12 ივნისი. ფინეთის პრეზიდენტის მონაწილეობით შესდგა მთავრობის თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი ქვეყნის შინაური მდგომარეობის შესახებ. თათბირზე გადაწყდა დაბარებულ იქნეს მემარცხენე მუშათა გაზეთი „ტიეტო-აიკა“, რომელიც გამოდის ქალაქ ვაზაში, და შემუშავებული იქნეს პროექტი კანონისა რესპუბლიკის დაცვის შესახებ. კანონმა უფლება უნდა მიანიჭოს მთავრობას მიიღოს საჭიროები ზომები იმ შემთხვევაში, თუ საერთო წესრიგს და რესპუბლიკის უშიშროებას საფრთხე დაემუქრება.

თათბირზე გადაწყდა აგრეთვე შეტანილ იქნეს პრესის შესახებ გამოცემულ კანონში ცვლილებები იმ მიზნით, რათა „აღკვეთილი იქნეს კანონიერი წესრიგისა და საზოგადოებრივ წინააღმდეგ მიმართული აგიტაცია“. სხვადასხვა ადგილებიდან ჰელსინგფორსში ჩამოვლ ფაშისტების დელეგაციებმა გამოცხადეს დელეგაცია, რომელიც მიიღო პრეზიდენტმა.

დელეგაციამ პრეზიდენტს გადასცა ფაშისტური თათბირის რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ მთავრობამ დაუყოვნებლივ დახუროს კომუნისტური გაზეთები და სტამბები და დააპატიმროს კომუნისტური მოღვაწეები. იმის შემდეგ, ნათქვამია რეზოლუციაში, როდესაც ჩვეტლაიცხე ღონისძიებები იქნება ასეთი ღონისძიებებით, საჭიროა მოწვეულ იქნეს ახალი სეიმი ახალი კანონების შესაქმნელად. პრეზიდენტმა საპასუხო სიტყვაში განუცხადა დელეგაციას, რომ მას შეუძლია პირობა დასდოს, რომ სინდისიერად შეასრულებს ვალდებულებებს, რომელსაც აკისრებს მას, როგორც პრეზიდენტს, ეხლანდელი მდგომარეობა.

ვაზის გუბერნატორი გადააყენეს. გუბერნატორად დროებით დანიშნულია სამხედრო სკოლის უფროსი, უკიდურესი რეაქციონერი პოლკოვნიკი გონრიკსი, რომელიც ცნობილია თავისი მტრული დამოკიდებულებით საბჭოთა კავშირისადმი.

ულეაბორგის სასამართლომ „მუშათა ორგანიზაციების უწყებების“-ს რედაქტორის პირბოს ორი წლის ციხე მიუსაჯა იმის გამო, რომ მან გამოსცა ბროშიურა „ოპორტუნისტების გზა“, რომელშიაც სასამართლომ დაინახა სახელმწიფო ღალატისაკენ წაქეზება (ადს).

კომუნისტური გაზეთების აკრძალვა. —ახალი მკაცრი კანონი კომუნისტების წინააღმდეგ

ჰელსინგფორსი, 12 ივნისი. ფინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„ჰელსინგფორსში შესდგა **ანტიკომუნისტურ კრებებზე** არჩეულ დელეგაციების თათბირი. 25 დელეგატმა პრეზიდენტს გადასცა მოთხოვნილება: **დაიხუროს კომუნისტური გაზეთები, დაიშალოს კომუნისტური ორგანიზაციები, დაპატიმრებულ იქნან კომუნისტური პარტიის მოღვაწეები და დაინიშნოს ახალი არჩევნები.**

ამ მოთხოვნილების საპასუხოთ მთავრობამ აღუთქვა დელეგატებს, რომ **კომუნისტური გაზეთების გამოსვლა შეზღუდული იქნება იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა საზოგადოებრივი აზრის დასამშვიდებლად და რომ შემუშავებული იქნება კომუნისტების წინააღმდეგ მიმართული უფრო მკაცრი კანონის პროექტი** (ადს).

ეკონომიური კრიზისი გერმანიაში

ბერლინი, 12 ივნისი. ოფიციალურად აღნიშნავენ, რომ დღემდე ეკონომიური კრიზისის შესუსტების არავითარი ნიშანი არა ჩანს. უმუშევრობის უმნიშვნელო შემცირება გამოწვეულია მხოლოდ სეზონური სასოფლო-სამეურნეო და საამშენებლო სამუშაოებით.

საბჭოთა კავშირი და ესტონეთი

ესტონელი მოღვაწე საბჭოთა კავშირის შესახებ

რეველი, 12 ივნისი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს რენბაუმ (ესტონეთის იმ ეკონომიური დელეგაციის თავმჯდომარე, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო) განაცხადა, რომ დელეგაციის მოგზაურობა ძლიერ იყო, ვინაიდან საბჭოთა მთავრობა შემოგზავნის დასახლებისათვის შედეგიან თავის საიმპორტო გეგმას.

„ჩვენს ფაქტორს,—სთქვა რენბაუმ,—ჩვენ უპირველეს ყოვლისა დასავლეთისაკენ მივმართავდით. მიუხედავად ამისა, ჩვენ უფლოდელოდ არ უნდა დავსტოვოთ ის შესაძლებლობანი, რომლებიც ჩვენს წინაში აღმოსავლეთში იშლება. მოლაპარაკების დროს მე იმ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდი, რომ საბჭოთა მთავრობამ, თუ მას სურს ესტონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების ექსპლოატაცია, ამ ხელშეკრულების საფუძველზე უნდა დაუდოს განსაკუთრებული ეკონომიური პოლიტიკა ბალტიის მხარეში და არ დაგვაყენოს ერთ საფეხურზე დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან. კონკრეტული შედეგები დიდად არიან დამოკიდებული იმაზე, თუ რა ნაყოფს გამოიღებს მომავალი პრაქტიკული მოლაპარაკება“.

რენბაუმ აღნიშნავს საბჭოთა კავშირის საექსპორტო საქონლის სამაგალითო პროპაგანდას, კომუნალური მშენებლობის წარმატებებს და ვოლხოვის ჰიდრო ელექტრო-სადგურის მნიშვნელობას. (ადს).

რუმინეთი გადატრიალების შემდეგ

ვენა, 12 ივნისი. ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ ფართო კოალიციის მთავრობის შედგენის დაბრკოლებები გადალახა წინ. კაროლმა მთავრობის შედგენა დაავალა კუტოფილ პრემიერ მანიუს, მანიუმ, რომელიც მოთხოვდა წმინდა ცარანისტული მთავრობის შედგენას, უარი სთქვა მთავრობის შედგენაზე და ურჩია კაროლს მთავრობის შედგენა დაავალოს ან გენერალ პრეზანს, ან ვაი-და-ვოევოდას, ანდა ნაციონალურ-გლეხურ პარტიის თავმჯდომარის მოადგილეს.

ვენა, 12 ივნისი. ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ კაროლმა მიიღო გორიგა ბრატიანუ, რომელსაც იმედი აქვს, რომ მოხდება კოალიციური მთავრობის, აუდიენციით იმედ გაცრუებულმა, მან მოლაპარაკება დაიწყო ვინტილა ბრატიანუსთან, რათა ამ უკანასკნელმა უკანვე მიიღოს იგი ლიბერალების პარტიაში.

ბ რ ძ ო ლ ა ჩ ი ნ ე თ შ ი

ჩინეთის წითელი არმიის წარმატება

პეკინი, 12 ივნისი. კომუნისტების ძლიერმა რაზმებმა ხელთ ჩაიგდეს დაო (ლიდი მეთური ცენტრი ხუბეის პროვინციაში.

გაზეთების ცნობით, კომუნისტურმა ჯარებმა დაიჭირეს იანსინი, სადაც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. (ადს).

ნანკინის ჯარის დამარცხება

შანხაი, 12 ივნისი. ნანკინის წინააღმდეგ მოქმედება ჯარმა აიღეს ლოჯოფ, შეიჭრენ ხუბეის პროვინციაში და ხელში ჩაიგდეს დუნჯანი. შეუმოწმებელი ცნობებით, ნანკინის ჯარმა დიდი დამარცხება განიცადა ლუნხის რკინის გზაზე. (ადს).

გენერლები შერიგებას ფიქრობენ

პეკინი, 12 ივნისი. სამხრეთიდან მოსულ ცნობებში ნათქვამია, რომ აქ იზრდება მოძრაობა იმის სასარგებლოდ, რომ ჩრდილოეთთან დაიდოს ზავი ჩან კაი-შის და ფინ იუსიანის გადადგომის და მთავრობის მეთაურად ვან ძინ-ვეის დანიშვნის საფუძველზე. შეამდგარი ჩრდილოეთისა და სამხრეთ შორის ასახელებენ ჩან სეუ-ლიანს. ცნობებში აღნიშნულია, რომ გუშინდელი მოწინააღმდეგენი შეიძლება მოკავშირეებად გადაიქცნენ ჩინეთში გაძლიერებული რევოლუციონური მოძრაობის წინააღმდეგ (ადს).

მზადდება გენერლების გადაჯგუფებისათვის

შანხაი, 12 ივნისი. ნანკინიდან მიღებული ცნობებიდან ჩანს, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია ზავის ჩამოგდება ჩრდილოეთთან.

შეიძლება მუკდენელებმა მოითხოვონ ჩან-კაი-შის გადაყენება, მთავრობის პეკინში გადაყვანა და ნაციონალური კრების დაუყოვნებლივ მოწვევა. ნანკინში გავრცელებულია ხმა, რომ მთავრობის შესადგენად შეიძლება ვან-ძინ-ვეი მიიწვიონ. (ადს).

პოლონეთის ფაშისტები არ ისვენებენ

პილსუდსკის მომხრენი ამზადებენ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ვარშავა, 12 ივნისი. პეტლიურა-პილსუდსკის მომხრეების მახინაციების მხილება ერთი მეორეს მოსდევს. ამ დღეებში უკვე გამოქვეყნდა ცნობა გენერალ სალსკის, სლავეცკისა და იუზეფსკის შორის დადებული ახალი „ხელშეკრულების“ შესახებ. პილსუდსკის მიმდევრები, ცდილობენ „პოლონეთ-უკრაინის კავშირი“-ს ბაზის გაფართოებას, გაცხოველებულ მოლაპარაკებას აწარმოებენ უკრაინის სახალხო დემოკრატიულ გაერთიანებასთან, რომ ეს უკანასკნელი საბოლოოდ ჩაბან პოლონეთის პოლიტიკაში. პოლონეთის პოლიტიკოსებს უნდათ შეუთანხმდნენ უკრაინის სახალხო დემოკრატიულ გაერთიანებას, რომ ჩაკლან უკრაინის სეპარატისტების მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ, დაუმორჩილონ ისინი კოლონეთის პოლიტიკურ ინტერესებს, დასძლიონ მათი გერმანოფილური განწყობილება და ჩააბან ისინი თავიანთი აღმოსავლეთის პოლიტიკის კალაპოტში. ნიადაგი შეთანხმებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო, რასაც მოწმობს უკრაინის სახალხო დემოკრატიული გაერთიანების ორგანო „დილო“-ს განცხადება იმის შესახებ, რომ დამოუკიდებლობის მომხრენი დაინტერესებულნი არიან რუსეთის დაშლით.

ლვოვის რუსოფილების ორგანო „რუსკი გოლოს“ იუწყება, რომ იუზეფსკის ლვოვში უკანასკნელად ყოფნის დროს პოლონეთის მთავრობასა და უკრაინის სახალხო დემოკრატიულ გაერთიანებას შორის მიღწეულ იქნა კონცესიაალური შეთანხმება. უკრაინის სახალხო დემოკრატიულმა გაერთიანებამ წამოაყენა მთელი რიგი პირობები: პოლიტიკურ პატიმართა ამნისტია, სკოლისა და უნივერსიტეტის ავტონომია, უკრაინის სახ. დემოკრატიულ: გაერთიანებისთვის სახალხო სახლის გადაცემა და სხ.

იუზეფსკის, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის, მოქმედების შესახებ ვარშავის ერთ-ერთი გაზეთი სწერს:

„მთელ თავის მოქმედებას ნაციონალურ საკითხში შინაგან საქმეთა მინისტრი სთვლის იმ დიდი დრამის შესავალად, რომელიც მომავალში უნდა დატრიალდეს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე“ (ადს).

ქარუმიძის თავხედური გამოსვლა

გერმანიის სასამართლოს წინააღმდეგ

ბერლინი, 12 ივნისი. ყალბი ჩერვონცების მჭედელთა პროცესზე (საქმე ირჩევა მეორე ინსტანციის სასამართლოში) მთავარი ბრალდებულის ქარუმიძის დამცველმა გამოაქვეყნა თავისი მარწმუნებლის განცხადება, რომელიც შეიცავს სხვადასხვა პროვოკაციულ გამოსვლას გერმანიისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ქარუმიძე, რომელიც ამჟამად გერმანიაში არ იმყოფება, აცხადებს, რომ სასამართლო „ზეგავლენის ქვეშაა“. პროცესის პოლიტიკური ხასიათი შეგირროვებული და დამახინჯებულია. ქარუმიძე უარჰყოფს იმას, რომ საქართველო თავის დროზე ცნობილი არ იყო გერმანიის მიერ და აცხადებს, რომ იყო ცნობა როგორც დე-ფაქტო, ისე დე-იურე. ქარუმიძე ამბობს, რომ საქმის ასეთი მდგომარეობის გამო, მან გადასწყვიტა ნებაყოფლობით არ გამოცხადდეს სასამართლოში. სასამართლოს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ მიიღოს სათანადო ზომები. ქარუმიძე სცდილობს ახსნას თავისი საქციელი შემდეგით: გერმანიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, რომელმაც თავისი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა და რომელიც იცნობს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განწყობილებებს, ვითომ განუცხადებია მას, რომ „ახალი პროცესი წარმოადგენს საგარეო საქმეთა სამინისტროს თავაზიანობას აქტს საბჭოთა კავშირის მიმართ“. შემდეგ ამ „თვალსაჩინო პიროვნებას“ ვითომ განუცხადებია, რომ ქარუმიძეს არ უნდა ეშინოდეს, საქმის გარჩევაზე დაუსწრებლობით, იგი გერმანიის რეპუტაციას სახელს გაუტეხსო.

ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, რომელსაც „ფორვერტს“-ი თავხედურს უწოდებს, სადათაირაშვილი აცხადებს, რომ რადგან ქარუმიძე საქმის გარჩევას არ ესწრება, მას არ შეუძლია უპასუხოს ბრალდებას, ვინაიდან იგი დამოკიდებულია ქარუმიძეზე, როგორც მოძრაობის მეთაურზე, და მისი არ დასწრების გამო არ იცის, თუ რა ჩვენება მისცეს. სასამართლოს თავმჯდომარე მიაქცევს ბრალდებულის ყურადღებას იმაზე, რომ მისი დუშილი პროცესის დროის საბჭოთა ისრალია, და სვამს საკითხს ამნისტიისის შეფარდების შესახებ. მაშინ სადათაირაშვილი გამოდის დიდი სიტყვით. პროცესის დროს მოსული სადათაირაშვილის დამცველი, ბერი აცხადებს, რომ სადათაირაშვილის შედეგება საქართველოს საზღვარზე სერიოზული ყურადღების ღირსი არისო. ამავე დროს ბერი აცხადებს, რომ მან, ვითომ მეტის მეტად დატვირთვის გამო, ხელი აიღო სადათაირაშვილის დაცვაზე. (ადს).

გლეხთა ომი და გენერლების ბრძოლა ჩინეთში

ჩინეთი, ინდოეთი და ინდო-ჩინეთი ყველაზე სუსტი და ყველაზე მტკივნეული ადგილები აღმოჩნდნენ მსოფლიო იმპერიალიზმის კოლონიალურ სისტემაში. ამ ქვეყნებში კი მთელი კაცობრიობის თითქმის ნახევარი სცხოვრობს. ხოლო რევოლუციის ბედიდაგან, როგორც ლენინმა აღნიშნა, სწყვეტს ის, რომ ამჟამად კაცობრიობის უმრავლესობა რუსეთა, ჩინეთსა და ინდოეთში.

საფრანგეთის იმპერიალიზმის ულმობელმა სისხლისმწოველმა ტერორმა ვერ ჩაახშო რევოლუციონური მოძრაობა ინდო-ჩინეთში, ისევე, როგორც „სოციალისტი“ გუბერნატორის ვარენის ცდებმა—შესთანხმებოდა ანამის ნაციონალ-რეფორმისტებს, ვერ შეაჩერა რევოლუციონური ომის ზრდა. იმპერიალიზმის დამხობის, მემამულეთა მიწების კონფისკაციის, მოუსავლიანობასთან საბრძოლველად ბრინჯის მარაგის კონფისკაციისა და გადასახადების მოსპობის ლოზუნგები,—აჰა ის რევოლუციონური მოთხოვნები, რომლებმაც აამოძრავებს ანამის დიდი გლეხური მასები. ხდება მასიური დაპატიმრება, სიკვდილით დასჯა და მთელი სოფლების განადგურება საფრანგეთის ცივილიზაციის სახელით და ბანკების, სააქციო საზოგადოებების, პლანტატორებისა და მონათმფლობელობის უდიდესი მოგების გადასარჩენად.

ინდოეთში ნაციონალურ კონგრესს უფრო და უფრო შეაჩერს მასების მოძრაობა განდისტური წინააღმდეგობის არგაწევის ფარგლებში. განდის დაპატიმრების შემდეგ მძლავრად იფეთქა რევოლუციონურმა აღშფოთებამ, რაც შეიარაღებულ ბრძოლად გადაიქცა შოლაპურში, პეშევარში, დელიში, კარაჩში მადრასში, კალკუტასა და ლაგორში. „მუშათა“ მთავრობა თავისი იმპერიალისტ ბატონებს იმით ამშვიდებს, რომ ინდოეთის სოფელი ჯერ-ჯერობით წყნარადაა, რომ მაჰმადიანები მონაწილეობას არ იღებენ მოძრაობაში. მაგრამ ჩრდილოეთ-დასავლეთ პროვინციებში უკვე გაჩვეულა გლეხთა ბრძოლა, ხოლო პენჯაბში და გუჯერატისა და ბენგალიის ცალკე სოფლებში გლეხთა გამოსვლები ცხადჰყოფენ, რომ დიდი გლეხური რეზერვები თუმცა მეტად ნელა, მაგრამ მაინც ებმიან რევოლუციონურ ბრძოლაში.

მაგრამ მრავალმილიონიან კოლონიალურ ხალხთა მასების რევოლუციონური ბრძოლის სათავეში ჯერ კიდევ მაინც ჩინეთი სდგას. მსოფლიო კრიზისის ფონზე იქ ყველაზე ძლიერ და თვალსაჩინოდ იჩინა თავი ეკონომიურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა მთელი ამ ქვეყნის მასშტაბით. ამ კრიზისის მიმდინარეობა თავისებური და მიხვეულ-მოხვეული გამოდგა. ეკონომიური კრიზისი იქ ამერიკის კრიზისზე ადრე დაიწყო, მაგრამ შემდეგ ამერიკის კრიზისის ზეგავლენამაც შინაგან მიზეზებზე არანაკლებ ულებრივად გააღრმავა და გაამწვავა მდგომარეობა ჩინეთში.

თუ უდიდეს იმპერიალისტურ ქვეყნებში ჯერ კიდევ არ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ გაბატონებულ კლასებს აღარ შეუძლიათ მართვა-გამგეობა, სამაგიეროთ ნახევრად კოლონიალურ ჩინეთში ხელისუფლების კრიზისი უკვე აშკარა სამოქალაქო ომის ფორმით ვლინდება. დაიწყო ომი ჩრდილოეთის გენერლებსა და ნანკინს შორის. რაგინდ გადაჭარბებული და ცრუ იყოს ორივე მხარის რელაციების გამარჯვების შესახებ, მაინც უეჭველია, რომ ვითარებაში სერიოზული სამხედრო მოქმედება. „რეორგანიზაციონალისტები“ ამ ბრძოლაში თამაშობენ ნანკინის წინააღმდეგ ამოსულ ჩრდილოეთისა და სამხრეთის გენერალთა ბლოკის „აგიტპროპის“ როლს. ხოლო გენერალთა ჯგუფებს ზურგს უკან, როგორც ვიცით, დგანან სხვადასხვა იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებიც ყოველი მხრიდან ახდენენ ზეგავლენას მოკლებზე და სცდილობენ კონკურენტების საზიანოდ გაანადგურონ თავიანთი იმპერიალისტური ზრახვები.

ნანკინის „ნაციონალური“ მთავრობა ისეთ დათმობებზე წავიდა იაპონიის იმპერიალიზმის წინაშე, როგორც პეკინის არც ერთ ძველ კონტრ-რევოლუციონურ მთავრობას არ ჩაუდენია. ამ დათმობათა სამაგიეროდ იაპონია აშკარად აღარ გამოდის ნანკინის წინააღმდეგ; მაგრამ ენ სი-შანი და ფინ-იუ-სიანი იარაღსა და მრჩეველებს ღებულობენ იაპონიისაგან, ხოლო შეერთებული შტატების რესპუბლიკა ამუნიციას, იარაღს და სამხედრო აეროპლანებს აწვდის ნანკინს. გერმანია ათობით მეზავნის სამხედრო სპეციალისტებს ჩან-კაი-შის არმიისათვის, იაზედაც, როგორც ჩანს, თანახმაა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა. საერთოდ გერმანიის იმპერიალიზმს ფრიად აქტიური გამოსვლა (სამხედრო მრჩეველები, ნანკინისათვის სამხედრო მოწყობილობის მიწოდება, ეკონომიური დელეგაცია და თვალსაჩინო მრეწველების და ფინანსისტების გაგზავნა, გერმანიის წილის ზრდა ჩინეთთან ვაჭრობაში) ჩინეთში წარმოადგენს ახალ მომენტს იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა ხლართში წყნარ ოკეანეზე. ინგლისის მთავრობა თავისი ისეთი პოლიტიკური კომპრადორების მეშვეობით, როგორიც არის მაგალითად, ხუ ხან-მინი, სცდილობს დახლოვებას ამერიკის და გერმანიის ბლოკის გავლენა ნანკინზე (რა თქმა უნდა, გერმანია ამ ბლოკში დამხმარე როლს თამაშობს). ამავე დროს ინგლისი, „ყოველმხრივი“ პოლიტიკის ტრადიციების მიხედვით, სცდილობს განამტკიცოს თავისი კომპრადორების ძალაუფლება სამხრეთ-ჩინეთში—კანტონში; იგი ეარშიება „რეორგანიზაციონალისტებს“ და ამავე დროს ჩრდილოეთის გენერლების ბლოკს.

საფრანგეთმა უფრო აქტიური გახადა თავისი პოლიტიკა იუნანში და გუანსიში, სადაც იგი, ინდო-ჩინეთის „დასაცავად“, ხელს უწყობს რევოლუციონური პარტიზანული მოძრაობის ჩახშობას. იგივე უნდა ითქვას საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ მანჯურიაში. საფრანგეთის ინტრიგები ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის ირგვლივ ცხადჰყოფენ იმას, რომ პარიზში მარტო რუსი თეთრგვარდიელი ემიგრანტები როდი ოცნებობენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე. ნანკინის მთელი საქციელი მოწმობს, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკასაც საბოლოოდ არ აუღია ხელი მარცხით დამთავრებული ავან ტიურის განმეორებაზე.

ამრიგად, გენერალთა ომი ჩინეთში უალრესად კონკრეტულად გამოხატავს არა მარტო ჩინეთის კონტრ-რევოლუციის ზედა ფენების კრიზისს, არამედ იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა უსასტიკეს გამწვავებასაც წყნარ ოკეანეზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტების ბრძოლის გამწვავებას.

ამავე დროს იზრდება, ფართოვდება და ღრმავდება გლეხთა ომი სამხრეთ-ჩინეთში. საბჭოების დროშა ფრიალებს სამხრეთ-ჩინეთის თანდათან უფრო გაფართოვებულ ტერიტორიაზე. მუშურ-გლეხური წითელი არმია ამაგრებს და აფართოვებს რევოლუციის ტერიტორიალურ ბაზას. ადგილ-ადგილ საბჭოთა რაიონებში გლეხობის ძირითადი მასები —კულაკები და მოჯამაგირენი უკვე შეუდგნენ მიწის თანაბრად განაწილებას, ამრიგად, ისინი თანამიმდევარ აგრარულ რევოლუციას ახორციელებენ. კულაკთა იმ ცდებმა, რომ მიწა განაწილებულიყო საწარმოო საშუალებების პროპორციონალურად, გლეხობის ძირითადი მასების წინააღმდეგობა გამოიწვიეს. წინააღმდეგობას იწვევს აგრეთვე სოფლის უფრო შეძლებული ფენების მისწრაფება—შეინარჩუნონ მიწათსარგებლობის წინანდელი ნორმები. ღარიბი გლეხები, კულები და მოჯამაგირენი, რომლებმაც მიწა მიიღეს, მაგრამ საწარმოო საშუალებანი არა აქვთ, აქა-იქ სტიქიურად ჰქმნიან მიწის საერთო მოვლის დამუშავების უმარტივეს ორგანიზაციულ ფორმებს.

ბლოკადა იმპერიალისტებისა და ჩინეთის კონტრ-რევოლუციის მხრივ, საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის მტაცებელთა ცალკე იმპერიალისტური გამოსვლები, აგრეთვე მილიტარისტთა დამსჯელი ექსპედიციები საბჭოთა რაიონების წინააღმდეგ, — ყოველივე ეს უძლურია შეაჩეროს საბჭოთა მოძრაობის წინსვლა ჩინეთში.

მაგრამ საბჭოთა მოძრაობა მაინც არათანაბრად ვითარდება. ჩრდილოეთშიაც მწვავდება გლეხური ბრძოლა, განვითარებას იწყებს პარტიზანული მოძრაობა, ცხოველდება სტიქიურ გლეხურ ორგანიზაციათა მოქმედება, მაგრამ იქ მოძრაობა განვითარების ბევრად უფრო დაბალ საფეხურზეა. საბჭოების დროშა უმთავრესად იქ ფრიალებს, სადაც 1925-27 წლების რევოლუციამ ნიადაგი მოამზადა, სადაც ეს რევოლუცია ბრძოლის ცეცხლში აკავშირებდა, ათვითცნობიერებდა, სწრთვნიდა და რაზმავდა გლეხთა მასებს, სადაც, რევოლუციის დამარცხების გაკვეთილების მიხედვით, მუშათა და გლეხთა მასებს საკუთარი გამოცდილებით გამომუშავდათ დასკვნები. თუ 1925-27 წლების დიდი რევოლუციის თავისებური საბოლოო აკორდს გმირული კანტონის საბჭო წარმოადგენდა, სამაგიეროდ რევოლუციის ახალი ამოძრავება სამხრეთ ჩინეთში უკვე მასიური საბჭოთა მოძრაობის ფორმით იწყება. სამხრეთ ჩინეთში ხორციელდება ლენინის დიადი ანდერძი: „განსაკუთრებით საჭიროა სპეციალურად შევუწყოთ ხელი გლეხთა მოძრაობას ჩამორჩენილ ქვეყნებში ფეოდალიზმის ყოველი გამოხატულების ამ ნაშთების წინააღმდეგ; უნდა შევეცადოთ მივცეთ გლეხურ მოძრაობას უფრო რევოლუციონური ხასიათი და, სადაც შესაძლებელია, გავაერთიანოთ გლეხები და ყველა ექსპლოატირებული საბჭოებში და ამით განვახორციელოთ რაც შეიძლება უფრო მჭიდრო კავშირი დასავლეთ ევროპის კომუნისტური პროლეტარიატისა, გლეხთა რევოლუციონურ მოძრაობასთან აღმოსავლეთში, კოლონიებში და საერთოდ ჩამორჩენილ ქვეყნებში“. იქ ცხოვრებაში ტარდება და რევოლუციონური სინამდვილით ხორცს ისხამს ლენინის ანდერძი იმის შესახებ, რომ კოლონიალურ და ჩამორჩენილ ქვეყნებში „პროლეტარული პარტიები უნდა ეწეოდნენ კომუნისტური იდეების გაძლიერებულ პროპაგანდას და პირველ შესაძლებლობისთანავე აარსებდნენ მუშათა და გლეხთა საბჭოებს“ (კომინტერნის მე-2 კონგრესის თეზისები კოლონიალური საკითხის შესახებ).

გლეხური ომის გაფართოვებასთან ერთად, ჩინეთის ქალაქებში იზრდება პროლეტარიატის საგაფიცო მოძრაობა. ჩინეთში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში ვხედავთ საგაფიცო მოძრაობის გამწვავებას 1929 წლის დამლევისათვის. კრიზისის გამწვავებასთან ერთად საგაფიცო ბრძოლა უფრო ვითარდება 1930 წლის დასაწყისში. მართალია, თუ ინდოეთში გლეხური მოძრაობა თავისი განვითარებით ჩამორჩება ჩინეთის მუშათა მოძრაობას, სამაგიეროდ ჩინეთში მუშათა მოძრაობის ზრდის ტემპი გლეხურ მოძრაობას ჩამორჩება. ამაშია ჩინეთის რევოლუციონური მოძრაობის ეხლანდელი ეტაპის თავისებურება—ჩინეთის რევოლუციონური მოძრაობა ჯერ კიდევ ელის თავის ეგემონს ჩინეთის გმირული მუშათა კლასის სახით.

საბჭოები ჩინეთში ჩირაღდნებივით გაუნათებენ გზას სხვა კოლონიალურ ქვეყნებს. ინდოეთში, ინდო-ჩინეთში და ფილიპინის კუნძულებზე ბრძოლაში უკვე გაისმის ჩინეთის რევოლუციის ლოზუნგები. დაე რომ ბ მიიღოს [...] ჩინეთის საბჭოები. და ჩინ[...]ხოუმ და ტროცკისტებმა თავით ჩინეთში [...] საბჭოებს და წითელ არმიას. [...] კომპარტია — ბოლშევიზმის საუკეთესო [...] აღმოსავლეთში — გადაჭრით და [...] მასების მოძრაობის სათავეში.

იმპერიალისტები ახლ[...] იმასთან, რომ შეიგნონ ჩინეთის საბ[...] მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა[...] შორისო პროლეტარიატმა [...] რობის გალავანი უნდა შემოარტყას საბჭოებს და დაიცვას ისინი, [...] თარი კლასობრივი საქმე.

„პრავდა“, 13 მაისი.

შეუსუსტებლად განვაგრძოთ ბრძოლა ორ ფრონტზე

მოსკოვის საოლქო პარტკონფერენციის რეზოლუციიდან

მოსკოვი, 13 ივნისი. **მოსკოვის მეორე საოლქო პარტკონფერენციამ სწორად სცნო მოსკოვის კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი და მოიწონა მისი პრაქტიკული მუშაობა.** რეზოლუციაში ნათქვამია: პარტიამ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ბუმბერაზულ წარმატებებს მიაღწია სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებასა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. მოსკოვის ორგანიზაციამ ერთსულოვნად უკუაგდო იმის ცდები, რომ იგი ცენტრალური კომიტეტისათვის დაპირისპირებით და ცენტრალური კომიტეტის დამხმარებით მოახდენა მემარჯვენე გადახრის ლიკვიდაცია თავის ხელმძღვანელობაში.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ მოსკოვის კომიტეტის იანვრის პლენუმმა პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინა იმით, რომ პარტიის სწორი ლოზუნგი კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესახებ მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე შესცვალა საბჭოთა სახელმწიფოში კულაკობის და ახალი ბურჟუაზიის მთლიანად, როგორც კლასის, ლიკვიდაციის არასწორი ლოზუნგით. ეს შეცდომა, ცენტრალური კომიტეტის მითითების შემდეგ, აღმოფხვრილ იქნა, მაგრამ არ განმარტა ორგანიზაციას. კონფერენცია აღნიშნავს, რომ მოსკოვის კომიტეტმა დიდი პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინა იმით, რომ დაადგა მოსკოვის ოლქში მთლიანი კოლექტივიზაციის 1930 წლის გაზაფხულისათვის დამთავრების გზას, წინააღმდეგ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებისა. ამ შეცდომამ პრაქტიკაში გამოიწვია არაჯანსაღი გატაცება კოლექტივიზაციის გაზვიადებული პროცენტებით, ნებაყოფლობის ლენინური პრინციპის დარღვევა საკოლმეურნეო მოძრაობისა და პარტიის ხაზის სხვა დამახინჯებანი. კონფერენცია აღნიშნავს, რომ ზოგან გადახვევებთან ბრძოლის სახით თავს იჩენს მემარჯვენე ოპორტუნისტული პრაქტიკა, სუსტდება შეტევა კულაკზე, სათანადოდ არ ფასდება ღარიბი გლეხობის და მისი ორგანიზაციის პოლიტიკური როლი სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. ყოველივე ეს ავალებს პარტიულ კონფერენციას განსაკუთრებული ძალით გაშალოს ბრძოლა მემარჯვენე ოპორტუნიზმთან თეორიაში და პრაქტიკაში და შეუსუსტებლად განაგრძოს ბრძოლა „მემარცხენე“ გადახვევებთან. (ადს).

ფიცს სდებენ იბრძოლონ

მუშათა კლასის საქმისათვის

რიგა, 13 ივნისი. ივნისში ყოველ წლიურად ყოფილი ფრონტელების მასიური დელეგაციები მიდიან ეგრედწოდებულ ტყვიამფრქვევ გორაზე (რიგასთან), სადაც იმპერიალისტური ომის დროს მრავალი ლატიში ჯარისკაცი დაიხოცა. წელს იმ დღეებში, როცა რიგაში, დვინსკში და ლატგალიის სხვა ქალაქებში ლატვიელი ფაშისტური წრეები დღესასწაულობდნენ „ლატგალიის“ განთავისუფლებას ბოლშევიკებისაგან“, ყოფილმა ფრონტელებმა, რომელთა შორის ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერდება მემარცხენე ელემენტების გავლენა, ტყვიამფრქვევ გორაზე ფიცი დასდეს — იბრძოლონ მუშათა კლასის საქმისათვის.

ძმათა სასაფლაოზე წარმოთქმულ სიტყვაში ყოფილ ფრონტელთა წარმომადგენელმა თავისი კავშირის სახელით განაცხადა:

„ჩვენ მუხლს ვიდრეკთ არა მარტო **ამ** საფლავის წინაშე, არამედ იმ ლატიშ წითელ მსროლელთა უამრავ საფლავის წინაშე, რომლებიც დაეცნენ მშრომელთა საქმისათვის ბრძოლაში ვრანგელის, დენიკინის, ციმბირის და საბჭოთა რუსეთის სხვა ფრონტებზე. თავიანთი სისხლით მათ მოგვანიჭეს თავისუფლება და ლატვიის დამოუკიდებლობა. მართალია, ჩვენზე ამჟამად არ ბატონობენ მეფის სატრაპები, გერმანელი ბარონები, მაგრამ ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაში დასვა მუშათა კლასმა, ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი. ამისათვის ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლაა საჭირო“.

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

● **დელეგატები პროფინტერნის კონგრესზე.** სრულიად ნორვეგიის რევოლუციონური პროფოპოზიციის პირველმა კონფერენციამ დაადგინა—გაგზავნოს პროფინტერნის კონგრესზე 7 დელეგატი.

● **მაზრალთა აეროპლანების წინააღმდეგ.** „იზვესტიე“-ის სააგენტოს ცნობით, პეკინის არსენალის ხელოსნებმა გამოიგონეს მაზრალი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას აეროპლანების წინააღმდეგ. სამხედრო მინისტრი გენერალი ხოინგი მოითხოვს სპეციალური ქარხნის აგებას მაზრალების დასამზადებლად.

● **საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის.** ბრიუსელის სასამართლომ ლიეჟის საპირველმაისო დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის 13 ბელგიელ და უცხოელ მუშას მიუსაჯა პატიმრობა სხვადასხვა ვადით (2-6 თვემდე). ბრალდებულთა შორის არის ბელგიის კომპარტიის ც. კ-ის წევრი ტონე.

● **სათადარიგო ჯარისკაცების დემონსტრაცია.** სიზონაში (საფრანგეთი) იმართება სათადარიგო ჯარისკაცების დიდი დემონსტრაციები და კრებები. დემონსტრაციებსა და კრებებზე ჰკიცხავენ ოფიცრებს და უარს ამბობენ სადღეღამისოთ გასვლაზე.

მდგომარეობა ხორცის ბაზარზე

მოსკოვი, 13 ივნისი. „სოიუზმიასო“-ს გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. კარნიუშინმა საკ. დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში შემდეგი განაცხადა ხორცის ბაზრის მდგომარეობისა და პირუტყვის კონტრაქტაციის მიმდინარეობის შესახებ:

„ჩვეულებრივად ზაფხულის თვეებში გლეხობას ნაკლებად გამოაქვთ გასაყიდათ ხორცი. მიმდინარე წელს, იმასთან დაკავშირებით, რომ მოსავალისა და საქონლის საკვებს კარგი პირი უჩანს, შემჩნეულია არა მარტო გასაყიდათ გამოყვანილი საკლავი საქონლის შემცირება, არამედ გლეხობის მხრივ საქონლის გაზრდის მისწრაფება. ეს მნიშვნელოვნად აბრკოლებს ხორცის დამზადებას. „სოიუზმიასო“-ს კონტრაქტაციის გეგმის შესასრულებლად, წარსული წლებისაგან განსხვავებით, წრეულს მთავარი ყურადღება აქცევს საწარმოო რაიონებს—ყაზახსტანს, კალმიკების ოლქს და ბურიატ-მონღოლეთს, სადაც ყოველთვის იმართება პირუტყვის დიდი ბაზრობები. ჩვეულებრივად ამ ადგილებში ხორცის დამზადების აწარმოებდა კერძო ვაჭარი. ამჟამად „სოიუზმიასომ“ თავისი ადგილობრივი კონტორების დასახმარებლად გაგზავნა იქ ექსპედიციები სამრეწველო საქონლის დამატებითი კონტინგენტით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებასთან შედარებით, ხორცის დამზადება რამდენიმე ნაკლები იქნება. უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი ორგანიზაციები (მესაქონლეობის კოოპერაცია, ადგილობრივი აღმასკომები და სხვ.) აცხადებენ, რომ მიმდინარე ნახევარ წელში დადებული საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები არ არის რეალური. ეს განცხადებები ერთის მხრივ გამოწვეულია კონტრაქტაციის დარგში ჩატარებული მუშაობის ლიკვიდაციის სურვილით და მეორე მხრივ—პირუტყვის რაიონის ფარგლებში დატოვებისაკენ მისწრაფებით. ახლა, კონტრაქტაციის ნაწილობრივი შემოწმების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა უმრავლესობა რეალურია. ძალიან ცუდათ არის ხბოების კონტრაქტაციის საქმე. გაზაფხულის ნამატი ფაქტიურად ხელიდან გაუშვით. „სოიუზმიასო“ იმუშავებდა ხბოების შენახვის ზეგავლენის ნორმების მიმართულ ღონისძიებებს და წინადადება მისცა თავის კონტორებს ხბოები ცოცხლად მიღონ, საჭიროა ეს ღონისძიება გაატარონ აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა იმ ანგარიშით, რომ ხბოები წამოიზარდონ საბჭოთა სელექციურ მეურნეობებში“. (ადს).

დიფერენციალურ პაის გადიდების აკრძალვა

მოსკოვი, 13 ივნისი. როგორც ადგილებიდან მოსული ცნობები მოწმობენ, მიუხედავად საკავშირო პროფსაბჭოს იმ დადგენილებისა, რომ არ შეიძლება დიფერენციალური პაის გადიდება თვიური ხელფასის რაოდენობამდე, ზოგან, მაგ., ჩრდილოეთ-კავკასიაში, ამ დადგენილებას არღვევენ. არის შემთხვევები, როდესაც ანარიცხები პაის ანგარიშში აღწევენ 15 პროც.-მდე. საკავშირო პროფსაბჭო ერთხელ კიდევ იძლევა კატეგორიულ წინადადებას, რომ პროფსაბჭოებმა არ გაადიდონ დიფერენციალური პაი თვიური ხელფასის რაოდენობამდე და გააუქმონ ყველა ამგვარი დადგენილებები. (ადს).

გეგმის თესვის გეგმა შესრულებულია

ბაქო, 13 ივნისი. აზერბეიჯანის მიწსახკომის ამხ. ცუზიროვის ხელიმოწერით საკავშირო მიწსახკომს ამხ. იაკოვლევს გაეგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „არა სრული ცნობების მიხედვით, 10 ივნისისათვის ბამბა აზერბეიჯანში დაითესა 152 ათას ჰექტარზე, აწე რესპუბლიკანური გეგმა შესრულებულ იქნა 2 ათასი ჰექტარის გადაჭარბებით“.

ცივი ამინდების გამო გლეხობა განაგრძობს ბამბის თესვას. თესვა დამთავრდება 15 ივნისს.

ს ა ბ ჭ ო თ ა კ ა ვ შ ი რ შ ი

ქართული დრამის ხელმძღვანელი— ოლიმპიადის ჟიურის წევრი

მოსკოვი, 12 ივნისი. ქართული დრამის ხელმძღვანელი ამხ. ახმეტელი არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის ხალხთა სათეატრო ხელოვნების ოლიმპიადის სარეჟისორო სექციის და ჟიურის წევრად (ადს).

მოსავლის აღების გეგმა კოლმეურნეობებში

მოსკოვი, 12 ივნისი. კოლმეურნეობათა ცენტრის გამგეობამ წინადადება მისცა სასოფლო-სამ. კოოპერაციის საკოლმეურნეო სექციებს, არა უგვიანეს 15 ივნისისა შეადგინონ მოსავლის აღების კამპანიის გეგმა. (ადს).

გეგმა გადაჭარბებით შესრულდა

მოსკოვი, 12 ივნისი. „ხლებოცენტრო“-ს ცნობით, 12 ივნისისათვის კოოპერატიული ამხანაგობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ სხვადასხვა კულტურებით დათესილია 2.888.000 ჰექტარი, რაც გეგმის 103,3 პროცენტს უდრის.

შეჯიბრებაში გამოწვევა

მოსკოვი, 12 ივნისი. საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის იმ დადგენილებასთან დაკავშირებით, რომელიც სოციალისტური შეჯიბრების თვითშემოწმების მიმდინარეობას შეეხება, ხის დამმუშაველთა კავშირის ცენტრ. კომიტეტმა შეჯიბრებაში გამოიწვია მეტალისტების, ქიმიკოსთა და სამთამადნო მუშათა კავშირების ცენტრ. კომიტეტები თვითშემოწმების საუკეთესოდ ჩატარებაზე. გამოწვევა უკვე მიიღო მეტალისტთა ცენტრ. კომიტეტმა. (ადს).



სტალინგრადის ცეცხლის მქრობელ რაზმში სამუშაოდ მიიღეს 9 ქალი, რომელთა გამოცდამ დაამტკიცა, რომ ქალებს მამაკაცების თანაბრად შეუძლიათ მუშაობა ცეცხლის კრობის დარგში

სურათზე: ქალები—ცეცხლის მქრობელები

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ

ამხ. მოლოტოვის მოხსენება ლენინგრადის მესამე საოლქო პარტკონფერენციაზე

მარტის მე-15 ყრილობის შემდეგ ჩვენ გავიარეთ სოციალიზმის მშენებლობის მნიშვნელოვანი ეტაპი ჩვენს ქვეყანაში. ამ დროის განმავლობაში გამომჟღავნდა გადამწყვეტი კლასობრივი გადაჯგუფებანი საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე აღებულ კურსის ძლევამოსილი განხორციელების საფუძველზე უმტკიცესად გაამაგრა თავისი პოზიციები. ხუთწლიანი გეგმის განხორციელების მეორე წელიწადი და მისი გადაჭარბებით შესრულება ინდუსტრიის დარგში პროლეტარიატის სოციალისტური ძალების უდიდესი ზრდის საუკეთესო მაჩვენებელია. ამ დროის განმავლობაში კაპიტალისტური ელემენტების როლი ეცემოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში. სოფლად ღარიბი გლეხობის შემდეგ სოციალისტურ გზაზე გადმოუხვია საშუალო გლეხობამ. საშუალო გლეხთა მასების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორბლეულობის ძირითად რაიონებში უკვე დადგა კოლექტივიზაციის გზაზე, წვრილ ინდივიდუალური მეურნეობიდან მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლის გზაზე. მუშათა კლასის ხელმძღვანელობით სოციალიზმის მშენებლობისათვის ირაზმებიან მრავალმილიონიანი ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები. არა მარტო ცალკე რაიონები, არამედ მთელი ოლქები დადგნენ უკვე მთლიანი კოლექტივიზაციის გზაზე. საშუალო გლეხის ამ მობრუნებამ სოციალიზმისაკენ, რომელიც წარსულ წლის ნახევარში მოხდა, საშუალება მისცა პარტიას სოფლად კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვისა და შევიწროების პოლიტიკიდან გადასულიყო კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე. ამრიგად, განვლილ პერიოდში ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი მთელ ფრონტზე გადავიდა გაშლილ შეტევაზე კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ და მან უდიდეს წარმატებებს მიაღწია სოციალიზმის საფუძვლის მშენებლობაში მთელს ხაზზე.

ეს გადამწყვეტი კლასობრივი გადაჯგუფებანი წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძალების უდიდესი ზრდის გამოხატულებას. ამაზე ემყარება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო რევოლუციონური მნიშვნელობის გამაგრება. მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გაშლის პირობებში საბჭოთა კავშირის მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება: ერთის მხრივ არის საბჭოთა კავშირი, რომელიც შეუჩერებლად მიდის წინსვლისა და სოციალისტური მეურნეობის უფრო და უფრო გაშლის გზით, მეორეს მხრივ—კაპიტალისტური ქვეყნები, მათ რიცხვში უძლიერესი მათგან—ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებსაც უფრო და უფრო ითრევს ეკონომიური კრიზისი.

ერთმანეთის პირისპირ სდგას ორი სამყარო—სამყარო სოციალიზმის მშენებლობისა და სამყარო კაპიტალიზმის, რომელიც განიცდის ღრმა გახრწნას და დაღუპვად არის განწირული. სოციალისტური მშენებლობის უდიდეს სიძნელეთა მიუხედავად, სწორედ ახლა, ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, განსაკუთრებულის სიცხადით იჩენენ გამოაშკარავებას სოციალიზმის ეკონომიური სისტემის გადამწყვეტი უპირატესობანი კაპიტალიზმის ეკონომიური სისტემის წინაშე. ჩვენი ხუთწლიანი გეგმის შესრულების წარმატებანი სასიკვდილო განაჩენს წარმოადგენენ მსოფლიო კაპიტალიზმისათვის, თუ ეს წარმატებანი საერთაშორისო პროლეტარიატისა და მსოფლიოს ჩაგრულთა ხალხების წინაშე შლიან იმპერიალიზმის უღლისაგან სრული განთავისუფლების პერსპექტივებს, მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გაშლა ნათელყოფს მთელი კაპიტალისტური სისტემის კრახის მოახლოებას.



ამხ. მოლოტოვი

მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, ახალი რევოლუციონური ტალღა და საბჭოთა კავშირი

ახლანდელი მსოფლიო ეკონომიური კრიზისი წარმოადგენს საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს მსოფლიო მეურნეობის განვითარების იმ ანალიზისას, რომელიც კომუნისტურმა ინტერნაციონალმა მოგვცა ორი წლის წინ. ჯერ კიდევ 1928 წ. კომინტერნის მე-6 კონგრესმა მიუთითა კაპიტალიზმის შედარებითი სტაბილიზაციის კიდევ უფრო მეტად შერყევის აუცილებლობაზე ე. წ. „მესამე პერიოდის" პირობებში. მემარჯვენე ოპორტუნისტები კომინტერნის რიგებში სცდილობდნენ თავიანთებურად განემარტათ კაპიტალიზმის განვითარების ომის შემდგომი მესამე პერიოდის შინაარსი. ისინი ხედავდნენ ამ ეტაპის მხოლოდ ერთ მხარეს—ისინი ხედავდნენ, რომ კაპიტალიზმის ეკონომიკა გასცილდა ომის წინანდელ დონეს, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ხდებოდა ტეხნიკის სწრაფი ზრდა, რომ ძლიერდებოდა კაპიტალისტური კარტელები და ტრესტები. აქედან ისინი აკეთებდნენ დასკვნას კაპიტალიზმის გამაგრებისა და კაპიტალისტური სტაბილიზაციის სიმტკიცის შესახებ. მაგრამ ამავე დროს ისინი ვერ ხედავდნენ მედალის მეორე მხარეს. ამავე დროს კი კომინტერნის მე-6 კონგრესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ მეორე მხარეს წარმოადგენს კაპიტალიზმის, როგორც შინაგან, ისე საგარეო წინააღმდეგობათა უფრო და უფრო მეტად განვითარება და ამასთან დაკავშირებით კაპიტალისტური სტაბილიზაციის უფრო და უფრო მეტად შერყევა. წინააღმდეგ ყალბ სოციალ-დემოკრატიულ თეორიებისა კაპიტალიზმის „გაჯანსაღების" შესახებ და, წინააღმდეგ მემარჯვენე ოპორტუნისტულ თეორიებისა კაპიტალიზმის „გამაგრების" შესახებ, კომინტერნმა მიუთითა ახალი ეკონომიური კრიზისების აუცილებლობის პერსპექტივაზე.

ახლა ნათელია, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტული თეორიები კაპიტალისტური სტაბილიზაციის განმტკიცების შესახებ დამსხვრეულია თვით ფაქტების ზეგავლენით. ნათელია, რომ თვით ფაქტებმა დაამსხვრიეს „მოწესრიგებული კაპიტალიზმის" თეორიაც, რომლისკენაც მიექანებოდნენ მემარჯვენე ელემენტები კომინტერნში. ნათელია, რომ ამ ელემენტებთან გადამწყვეტი ბრძოლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კომუნისტური პარტიების სწორად გარკვევა კაპიტალისტური პარტიების და კაპიტალისტური განვითარების პერსპექტივებში.

კომინტერნმა გაწმინდა თავისი რიგები ისეთი ელემენტებისაგან, როგორიც ამერიკაში არის ლოვსტონი, რომელიც ამერიკის კაპიტალიზმისათვის იცავდა „გამონაკლისობის თეორიას", რაც ნიშნავს ამერიკაში კაპიტალისტური სტაბილიზაციის შერყევის უარყოფას. სინამდვილეში ეს ჯგუფი იყო იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიის გამტარებელი კომპარტიის რიგებში, ამგვარი ელემენტებისაგან განთავისუფლების გარეშე ამერიკის კომპარტია ვერ შესძლებდა განვითარებას, როგორც ნამდვილად ბოლშევიკური პარტიისა, როგორც ნამდვილად კომუნისტური პარტია. ევროპაში კომინტერნმა თავისი რიგები გაწმინდა ისეთი ელემენტებისაგან, როგორიც არის ბრანდლერი, ხუმბერ-დროზი, [illegible], რომელიც არსებითად მიექანება კაპიტალიზმის გაჯანსაღების თეორიის დაცვისაკენ. ამგვარ ელემენტებთან გადამწყვეტი ბრძოლის გარეშე გერმანიის კომუნისტური პარტია ვერ შესძლებდა ზრდასა და გამაგრებას, როგორც ნამდვილად ბოლშევიკური, ნამდვილად რევოლუციონური პროლეტარული ძალა. მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ გამწვავებული და თანამიმდევრული ბრძოლის წყალობით, კომინტერნს საშუალება ჰქონდა წარმატებით ემზადებინა პარტიები ახალი რევოლუციონური ბრძოლებისათვის.

ახლანდელი ეკონომიური კრიზისის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი იშლება მსოფლიო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირობებში. ამიტომ ახლანდელი კრიზისი იწვევს წინააღმდეგობათა განსაკუთრებულ გამწვავებას მთელს კაპიტალისტურ სისტემაში და აუცილებლად იწვევს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომ გაღრმავებას.

დამახასიათებელია, რომ მსოფლიო ეკონომიური კრიზისი დაიწყო ყველაზე უძლიერესი კაპიტალისტური ქვეყნიდან—შეერთებულ შტატებიდან. სულ რაღაც წლის ან წლინახევრის წინ ამერიკის ბურჟუაზიის იდეოლოგები ხელმძღვანელობდნენ ერთი პერსპექტივით—ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების შემდგომი აყვავების პერსპექტივით, მაგრამ წარსული წლის ოქტომბრის საბირჟო კრახით დაიწყო მწვავე ეკონომიური კრიზისი ამერიკაში. ეს მოხდა იმ მომენტში, როცა მთელ რიგ ქვეყნებში უკვე ჰქონდა ადგილი ხანგრძლივ ეკონომიურ დეპრესიებს და კრიზისებს.

თავის მხრივ ამერიკის კრიზისმა ხელი შეუწყო კრიზისების შემდგომ გამწვავებას სხვა ქვეყნებში. ვერავითარმა ტრესტებმა და კარტელებმა ვერ შესძლეს და ისინი ვერც შესძლებდნენ ხელი შეეშალათ ამ კრიზისის გაფართოებისათვის კაპიტალისტურ ქვეყნების უმრავლესობაზე, მათ შორის ისეთ დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებზე, როგორიც არის ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანია. კრიზისი იწყებს გამოაშკარავებას ინგლისშიაც და საფრანგეთშიაც კი. ამრიგად მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გაშლა და გაღრმავება ნათლად ადასტურებს ლენინის სიტყვებს კრიზისების შესახებ მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს:

„კრიზისების თავიდან აცილება კარტელების საშუალებით—ეს არის ზღაპარი ბურჟუაზიული ეკონომისტების, რომლებიც, რაც არ უნდა დაუჯდეთ, ამართლებენ კაპიტალიზმს. პირიქით, მონოპოლია, რომელიც იქმნება მრეწველობის ზოგიერთ დარგებში, აძლიერებს და ამწვავებს ქაოტიურობას, რომელიც მთლიანად მთელი კაპიტალისტური წარმოების დამახასიათებელია".

რა ფაქტები ახასიათებენ მსოფლიო ეკონომიურ კრიზისს? შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე, 1929 წლის დამლევს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მკაცრი შემცირება შეერთებულ შტატებში. საერთოდ სამრეწველო წარმოება ივლისთან შედარებით შემცირდა ერთი მეოთხედით, ცალკე მნიშვნელოვან დარგებში კი (ფოლადის გამოდნობა, საავტომობილო წარმოება, მშენებლობა) შემცირებამ მიაღწია 50 პროც. ამის შემდეგ ამერიკის მთავრობას არა ერთხელ აღუთქვამს სამრეწველო კონიუნქტურის სწრაფი გაუმჯობესება, მაგრამ მიმდინარე წლის გაზაფხულზე სამეურნეო საქმიანობის საერთო ინდექსი ისეთივე დაბალ დონეზე ხდება, როგორც წარსული წლის ბოლოს პერიოდში. ამრიგად ეკონომიური კრიზისი შეერთებულ შტატებში ხანგრძლივდება. ევროპის ეკონომიური მდგომარეობის დამახასიათებლობისათვის მიუთითებ, რომ გერმანიის სამრეწველო პროდუქცია 1929 წლის შემოდგომიდან მიმდინარე წლის აპრილამდე შემცირდა 17 პროც., პოლონეთში კი სამრეწველო პროდუქციის ინდექსი 1928 წლის ნოემბრიდან მიმდინარე წლის თებერვლამდე დაეცა 24 პროც. ეკონომიური კრიზისი თავს იჩენს მსოფლიოს ყველა ნაწილებში. არ არის არც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა, რომელსაც მეტ-ნაკლებად არ შეეხებია კრიზისი.

საგულისხმოა ამ მხრივ ფაქტები, რომლებიც უმუშევრობის ზრდას შეეხება. განსაკუთრებით დიდია უმუშევრობა შეერთებულ შტატებში. იქ ახლა უმუშევართა რიცხვი 6-7 მილიონზე ნაკლები არ არის. მარტში ამერიკული გაზეთები იუწყებოდნენ: „პრეზიდენტი ჰუვერი სავსეა იმედებით, რომ უმუშევრობა საგრძნობათ იქნება შემსუბუქებული უახლოესი 60 დღის განმავლობაში. ის ფიქრობს, რომ ყველაფერი, რის გაკეთებაც კი შეუძლია, კეთდება და სჯერა, რომ ამუშავებული სახელმწიფო აპარატი სასურველ დახმარებას მოგვცემს".

ამის შემდეგ 60 დღე კი არა, არამედ გაცილებით მეტი გავიდა და არავითარ შემსუბუქებას ადგილი არა აქვს. პირიქით, უმუშევრობა შეერთებულ შტატებში ძლიერდება. ევროპის დიდ ქვეყნებში (გერმანია, ინგლისი) აგრეთვე არაჩვეულებრივად იზრდება უმუშევრობა. გერმანიაში უმუშევართა რიცხვმა სამნახევარ მილიონზე მეტს მიაღწია, ინგლისში—ორ მილიონზე მეტს და უმუშევრობა აქ იზრდება კვირიდან კვირამდე. მიუხედავად ამისა, კაპიტალისტური ტრესტები და სააქციო საზოგადოებანი განაგრძობენ გადიდებულ მოგების მიღებას. ასე მაგალითად, შეერთებული შტატების უდიდესმა ნავთის კომპანიამ—„სტანდარტ ოილ"-მა 1929 წლის მეორე ნახევარში, ე. ი. კრიზისის პერიოდში დივიდენდების სახით გასცა 65 მილიონი დოლარი, წინააღმდეგ 1928 წლის მეორე ნახევარში გაცემული 50 მილიონი დოლარისა. ამერიკის უდიდესმა სპილენძის ტრესტ „ანაკონდა"-ს 1928 წ. ჰქონდა 24 მილიონი დოლარი მოგება, 1929 წელს კი 59 მილიონი დოლარი, ელექტრონული კომპანიის—„ჯენერალ ელექტრიკ"-მა წარსული წლის პირველ კვარტალში მიიღო 13,8 მილიონი დოლარი მოგება, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კი—14,3 მილიონი დოლარი.

მოზარდი ეკონომიური კრიზისის პირობებში კაპიტალიზმის სისტემაში აუცილებლად წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება. ამ წინააღმდეგობათა დაძლევის ცდები სოციალ-დემოკრატიის ხელისუფლების სათავეში მოქცევის გზით, სრული მარცხით დამთავრდა და არც შეიძლება სხვაგვარად დამთავრებულიყო. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც გერმანიის კაპიტალისტურ მთავრობის სათავეში სოციალ-დემოკრატი მინისტრები იდგნენ, ხოლო ინგლისში—მაკდონალდის „მუშათა" პარტიის მთავრობა, სწორედ ამ დროს ფართოდ გაიშალა ეკონომიური კრიზისი და საგრძნობლად გაიზარდა უმუშევრობა. ხელისუფლების სათავეში მდგომმა სოციალ-დემოკრატიის გაკოტრებამ მოკლე ხანში იჩინა თავი. შინაგან წინააღმდეგობათა ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში თავის გამოხატულებას პოულობს რევოლუციონური მოძრაობის მომწიფებაში. უკანასკნელ წლებში საგაფიცვო მოძრაობა მოედო მთელ რიგ ქვეყნებს. თუ ინგლისს ავიღებთ, იქ გარდატეხა 1929 წლიდან დაიწყო და საგაფიცვო მოძრაობის ზრდა ახლაც გრძელდება, საფრანგეთში ახალი მოძრაობა დაიწყო 1928 წლიდან და მისი ზრდა გრძელდება 1929 წელს და მიმდინარე წელსაც. თუ გაფიცვების ზრდა და მათი მონაწილეთა რიცხვი ყველგან არ გაზრდილა, საგაფიცვო მოძრაობის ხასიათის შეცვლა მაინც საერთო დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს: ამ მოძრაობამ მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში კონტრ-შეტევის ხასიათი მიიღო, და ეკონომიურმა გაფიცვებმა მეტ წილად პოლიტიკური შინაარსი მიიღეს. საგაფიცვო მოძრაობასთან ერთად იზრდება მუშათა მებრძოლი დემონსტრაციების რიცხვი. უმუშევრობის ზრდასთან ერთად ფართოვდება უმუშევართა მოძრაობა, რომელიც ხშირად მებრძოლი ხასიათის იღებს.

მუშათა მოძრაობის ახლანდელი პერიოდის თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მუშათა ეკონომიური ბრძოლას წინ ეღობება ბურჟუაზიული სახელმწიფოს მთლიანი ფრონტი, კაპიტალისტებისა და სოციალ-ფაშისტების ორგანიზაციები.

მემარჯვენე ოპორტუნიზმისა და „მემარცხენე" ხუქტანტების საკუთარ რიგებში დაძლევასთან ერთად, კომპარტიები აწარმოებენ ბრძოლას იმისათვის, რომ მოიპოვონ მუშათა კლასის უმრავლესობა. ისეთ ქვეყანაში, როგორიც პოლონეთია, შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავება საერთო პოლიტიკური კრიზისის მოახლოვების ხასიათს ატარებს. აქ მუშათა გამოსვლებს განსაკუთრებით მებრძოლი ხასიათი აქვთ და ხშირად ეს გამოსვლები ფაშისტურ პოლიციასთან და მის სოციალ-ფაშისტურ დამქაშებთან აშკარა შეტაკებებში ებმიან. აქ რევოლუციონური განწყობილება იზრდება გლეხთა მასებშიც.

უნდა აღინიშნოს მუშათა კლასის ორი დიდი საერთაშორისო გამოსვლა კომპარტიის ხელმძღვანელობით. 1929 წლის პირველი აგვისტო იყო საერთაშორისო პროლეტარული დემონსტრაციის დღე ახალი იმპერიალისტური ომის მზადების წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად. 6 მარტი იყო საერთაშორისო დღე უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მომუშავეთა და უმუშევართა მთლიანი ფრონტის შექმნისა კაპიტალიზმის დასამხობად წარმოებულ ბრძოლაში.

კოლონიებსა და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში აშკარად იზრდება რევოლუციონური მოძრაობა.

ჩინეთში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ღრმა ეკონომიური კრიზისი უკიდურესად ამწვავებს შინაგან წინააღმდეგობებს. 1925-27 წლის ძლიერი რევოლუციონური მოძრაობის შემდეგ ბურჟუაზიულ-მემამულური რეაქციის გამარჯვებამ ოდნავადაც ვერ შესძლო ამ წინააღმდეგობათა გადაწყვეტა. ჩინეთის რევოლუციის არც ერთი ძირითადი პრობლემა არ არის გადაწყვეტილი, ბურჟუაზიულ-მემამულური რეაქციის ბატონობამ ვერ შეუწყო ხელი იმპერიალისტური უღლის შესუსტებას და ჩინეთის დამოუკიდებლობის განმტკიცებას. რეაქციის სამი წლის ბატონობამ ხელი შეუშალა ჩინეთის ეროვნული გაერთიანების საქმეს. ძირითადი პრობლემა—ფეოდალიზმის ნაშთების მოსპობა და აგრარული საკითხის გადაწყვეტა—წინ არ წასულა. გლეხთა მასების და მუშათა კლასის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. საკმაოა აღინიშნოს, რომ ჩინეთში 50 მილიონზე მეტი დამშეული იმყოფება და უდიდესი უმუშევრობა არსებობს. ამავე დროს იზრდება რევოლუციონური მოძრაობა, როგორც სამრეწველო ცენტრებში, ისე სოფლად. 162 მაზრაში გაჩაღებულია რევოლუციონური პარტიზანული მოძრაობა და უკვე დიდი ხანია, რაც წითელი არმიის რაზმები იბრძვიან მემამულეთა წინააღმდეგ. იმ მომენტიდან, როდესაც ეს მოძრაობა სოფლად დაუკავშირდება მსხვილი სამრეწველო ცენტრების მუშათა მოძრაობას, რევოლუციონური მოძრაობა ჩინეთში გაიკვლევს გზას მუშათა და გლეხთა რევოლუციონურ-დემოკრატიული დიქტატურისაკენ საბჭოების სახით. ჯერ კიდევ განმარტოებული საბჭოთა რაიონების ცენტრალური და სამხრეთ ჩინეთის მთელ რიგ რაიონებში დაუღალავად მუშაობენ ძალთა გაერთიანებისათვის. ჩინეთის რევოლუციონური მოძრაობა წინ მიდის და შეუძლია წავიდეს მხოლოდ საბჭოთა დროშის ქვეშ. ჩინეთის ახალგაზრდა კომუნისტური პარტიის სახით უკვე შეიქმნა და იზრდება ჩინეთის ახალი მოზარდი რევოლუციონური ტალღის გამძღოლი ძალა. ასეთი პარტიის შექმნა წარმოადგენს 1925—27 წლების რევოლუციის უმნიშვნელოვანეს შედეგს.

ინდოეთში რევოლუციონური მოძრაობა სულ უფრო და უფრო ფართო მასებს ედება. აქაც ეკონომიური კრიზისი იწვევს შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავებას. მუშათა მოძრაობამ უკვე 1928 და 1929 წლებში მიიღო ფართო ხასიათი მსხვილ სამრეწველო ცენტრებში: 1928 წელს გაფიცვებში მონაწილეობა მიიღო 507 ათასმა კაცმა, ხოლო 1929 წელს—531 ათასმა. რევოლუციონურ მოძრაობაში სულ უფრო და უფრო მეტად ებმება გლეხთა მასები.

ინდოეთის ბურჟუაზია ყოველნაირად ცდილობს თავის კალაპოტში ჩააყენოს რევოლუციონური მოძრაობა. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტები, განდის მეთაურობით, აშკარად აცხადებენ, რომ მათ რევოლუციონური მოძრაობის უფრო ეშინიათ, ვიდრე იმპერიალიზმის. სინამდვილეში ისინი იმპერიალიზმს უდგანან გვერდში მუშებისა და რევოლუციონური გლეხების წინააღმდეგ. ინდოეთის ახლანდელი რევოლუციონური მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად სუსტ მხარეთაგანს წარმოადგენს კომუნისტური პარტიის არ არსებობა—იგი აქ მხოლოდ ახლა იწყებს ჩამოყალიბებას.

უკანასკნელ ხანებში რევოლუციონური მოძრაობა იზრდება ინდო-ჩინეთში. ამ მოძრაობას საფუძვლად უდევს აგრარული კრიზისი და მასთან დაკავშირებით გლეხთა მასების განსაკუთრებული მძიმე მდგომარეობა.

შინაგან წინააღმდეგობათა ზრდასთან ერთად იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის განაგრძობს ზრდას გარეგანი წინააღმდეგობანიც. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ჰეგემონიისათვის ბრძოლა, რომელიც ჩაღდება უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს—ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის. ინგლის-ამერიკის ქიშპობა ახლა უფრო აშკარა ხდება და მას ცენტრალური ადგილი უჭირავს იმპერიალისტთა შორის წარმოებულ ბრძოლაში. გამწვავებული ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე ევროპის იმპერიალისტთა ბანაკშიც. განსაკუთრებით აშკარად ეს ბრძოლა იშლება საფრანგეთსა და იტალიას შორის. ამ ბრძოლას თან ახლავს იმპერიალისტურ ქვეყნების შეიარაღების მუდმივი ზრდა, რაც აახლოვებს ახალი მსოფლიო ომის დასაწყისს. ომისათვის მზადება იწვევს იმპერიალისტების ძალთა გადაჯგუფებას (ინგლის-საფრანგეთის დაახლოება, რაც გამოიხატა საზღვაო შეთანხმების ცდაში, საფრანგეთ - გერმანიის ეკონომიური დაახლოება და სხვ.). ომის მზადება ხდება პაციფისტური გამოსვლების, პაციფისტური კონფერენციებისა და ხელშეკრულებების დროშის ქვეშ. ერთა ლიგა, რომელიც ინგლისის ჰეგემონიის ქვეშ იმყოფება, გადაიქცა ომის მზადების იარაღად ინგლისისა და საფრანგეთის მხრით. კელოგის პაქტი იმ მიზანს ისახავს, რომ ახალი ომის დაწყება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური ძალების ნება-სურვილს დაუქვემდებაროს.

ასეთია, სხვათა შორის ლონდონის უკანასკნელი კონფერენციის შედეგი. ამ კონფერენციის შემდეგ გრძელდება იმპერიალისტური სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალთა სწრაფი ზრდა.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისი აღრმავებს კაპიტალისტური ქვეყნების ბრძოლას ბაზრებისა და კაპიტალის გავლენის სფეროებისათვის. ვერავითარი სარეპარაციო შეთანხმება (იუნგის გეგმა), ვერავითარი „პან-ევროპის" შექმნის პროექტები ვერ მოსპობენ საგარეო და შინაგან იმპერიალისტურ წინააღმდეგობებს. კაპიტალისტური ქვეყნების მისწრაფება—თავი დაიხწიონ კრიზისს—ნიშნავს მხოლოდ ბაზრისათვის ბრძოლის გაძლიერებას და მსოფლიო განაწილებისათვის წარმოებული ბრძოლის გამწვავებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი მსოფლიო იმპერიალისტური ომის საფრთხე უკიდურესად არის გაზრდილი. ამიტომ კომუნისტური ინტერნაციონალი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევს ახალ იმპერიალისტური ომების მზადების წინააღმდეგ ბრძოლას.

ამასთან ერთად ჩვენ უნდა აღვნიშნოთ წინააღმდეგობათა კიდევ უფრო მეტად გამწვავება საბჭოთა კავშირსა და მისი იმპერიალისტური გარემოცვას შორის. მართალია ამ პერიოდის განმავლობაში სავაჭრო ეკონომიური ურთიერთობანი გაუმჯობესდა. განსაკუთრებით ეს შეეხება ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს. მაგალითად, 1924 წელს საბჭოთა კავშირს მანქანათა ექსპორტის ბაზარზე მე-25 ადგილი ეჭირა, ხოლო 1928 წელს—მეორე. მაგრამ მეორეს მხრით არ შეწყვეტილა იმპერიალისტური სახელმწიფოების აშკარა მტრული გამოსვლები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ ახლო წარსულში შორეულ აღმოსავლეთში მოხდა აშკარა პროვოკაცია საბჭოთა კავშირთან ომის დასაწყებად. საბჭოთა კავშირი ერთგული დარჩა თავისი სამშვიდობო პოლიტიკის და ზომიერად გამოიყენა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ჩამოვარდნილი კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის ყოველგვარი შესაძლებლობანი და იმავე დროს მოიგერია ჩინეთის ბურჟუაზიულ-მემამულურ ძალების თავდასხმა, რომელიც თავისი ავაზაკური შემოტევით მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებას. ამ კონფლიქტში ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების და საფრანგეთის დიპლომატიური ჩარევა ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, თუ რა აქტიურ როლს თამაშობენ ამ ქვეყნების იმპერიალისტები შორეულ აღმოსავლეთში, მაგრამ საბჭოთა კავშირმა უარყო ეს ჩარევა და უშუალოდ შესძლო გაება მოლაპარაკება ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან და აღედგინა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ძველი მდგომარეობა, ამჟამად მოსკოვში ხდება ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის გახსნა. ამ კონფერენციაზე უნდა მოწესრიგდეს ხაბაროვსკის ოქმის ხელის მოწერასთან დაკავშირებული საკითხები.

საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოზიციების განმტკიცების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის. ამ შემთხვევაშიც საბჭოთა კავშირმა მთლიანად შეინარჩუნა თავისი პრინციპიალური პოზიციები. ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შემდეგ, რაც ეს ურთიერთობა კონსერვატიულმა მთავრობამ 1927 წელს გაწყვიტა, დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების თვალსაზრისით.

მაგრამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა ბურჟუაზიულ ქვეყნებში არა თუ არ სუსტდება, არამედ პირიქით ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ იგი გაღრმავდეს. განსაკუთრებით დამახასიათებელია ეგრეთწოდებული „ჯვაროსნული ლაშქრობის" მოწყობის ცდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ეკლესიის თავდათა მხრით, რომის პაპის მეთაურობით. ტყუილად როდი იწერებოდა თვით იმპერიალისტურ პრესაშიც კი, რომ ამ ლაშქრობას, რომელსაც ვითომ საბჭოთა კავშირში დევნილი სარწმუნოების დაცვა აქვს მიზნად, „ძლიერი ნავთის სუნი ასდის" და რომ ეს კამპანია წარმოადგენს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო სამხედრო შეთქმულების ნაწილს. ანტისაბჭოთა კამპანია კაპიტალისტურ ქვეყნებში განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელ წელს. უმაღლეს წერტილს მიაღწია მან საფრანგეთში „კუტეპოვის საქმესთან", სასამართლოს პროცესებთან და სხვა ამგვარებთან დაკავშირებით. ინგლისში მარტო თებერვლის განმავლობაში, ანტისაბჭოთა განწყობილების მიზნით, მთავრობის პარლამენტში მისცეს ასზე მეტი „შეკითხვა", პოლონეთში რამდენჯერმე განიზრახეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების მოკვლა. სულ ცოტა ხნის წინად აღმოჩენილ იქნა ბოროტი განზრახვა, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შენობის აფეთქებას ვარშავაში და ჩვენ დღემდე არ გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ პოლონეთის მთავრობამ მიიღო ზომები იმ დამნაშავეთა აღმოსაჩენად, რომლებიც ცდილობენ ომის პროვოკაციულად გამოწვევას. აშკარად გაძლიერდა ანტისაბჭოთა გამოსვლები გერმანიაში. ანტისაბჭოთა კამპანიის ახალ სახეს წარმოადგენს აგიტაცია საბჭოთა საქონლის ექსპორტის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ექსპორტი ჯერ კიდევ ძლიერ ჩამორჩება ომის წინა დროინდელ დონეს, იმპერიალისტური პრესა გაცოფებულ აგიტაციას ეწევა საბჭოთა ექსპორტის წინააღმდეგ.

თურმე ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი განსაკუთრებული ზომებია მიღებული საბჭოთა ასანთის შეტანის წინააღმდეგ, რადგან, თურმე, ეს ასანთი ძლიერ საფრთხეს უქმნის ამერიკის მრეწველობას. ამ და სხვა ამგვარ კამპანიათა აზრი სრულიად ნათელია. ეს არის საავიტაციო ხერხი, რომლის მიზანი ისაა, რომ საბჭოთა კავშირი პასუხისმგებელი გახადოს მოზარდ ეკონომიური კრიზისის შედეგებისათვის. ამგვარი ხერხი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ბურჟუაზია სუსტია კაპიტალისტური მეურნეობის გახრწნასთან ბრძოლაში.

მიუხედავად იმისა, რომ მტრული იმპერიალისტური ძალები აძლიერებენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლას, ჩვენ მტკიცედ და თანამიმდევრობით ვიცავთ სამშვიდობო პოლიტიკას და ანტისაბჭოთა პროვოკაციის სისტემატიური მხილების პოლიტიკას. ამავე დროს ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ყოველგვარ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების საქმეში. ჩვენ გაძლიერებულად უნდა ვიზრუნოთ ჩვენი წითელი არმიისათვის, განსაკუთრებით მისი ტეხნიკური შეიარაღებისათვის. ჩვენ უნდა გვახსოვდეს კომინტერნის აღმასკომის მე-10 პლენუმის შემდეგი მითითება: „მიუხედავად იმისა, რომ იმპერიალისტურ ბანაკში ქიშპობა და გაფართოებული ბრძოლაა, კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირს შორის, როგორც პრინციპიალურად დაპირისპირებულ ორ სამეურნეო-პოლიტიკურ სისტემის შორის, ძირითადი მსოფლიო წინააღმდეგობა სულ უფრო მწვავდება. იმპერიალისტების თავდასხმა საბჭოთა კავშირზე მთავარ საფრთხეს წარმოადგენს".

აქედან გამომდინარეობს ის, რომ ჩვენ უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ წითელი არმიის განმტკიცების, თავდაცვის, მრეწველობის გაუმჯობესების და საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის გადიდების საქმეზე. სოციალისტური მშენებლობის გაშლის, ხუთწლიანი გეგმის განხორციელებით და საერთაშორისო პროლეტარიატის მოზარდ მხარის დაჭერაზე დაყრდნობით საბჭოთა კავშირი ისეთ ძალად ხდება, რომელსაც შეუძლია ძლევამოსილად იბრძოლოს იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ. მსოფლიო ეკონომიური კრიზისი ძირს უთხრის ჩვენი მტრების ძლიერებას. ხუთწლიანი გეგმის მიღწევები უდიდესად ზრდიან სოციალიზმის ძალებს.

ხუთწლიანი გეგმა და სოციალისტური ინდუსტრიის ზრდა

მუშათა კლასის ყურადღების ცენტრში ამჟამად სდგას საკითხი ხუთწლიანი გეგმის შესახებ. პარტიის მე-15 ყრილობამ მოგვცა დირექტივები ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის შედგენის შესახებ. ხუთწლიანი გეგმის შედგენის ის გამოცდილება, რომელიც ყრილობას წინ უძღოდა, არადამაკმაყოფილებელი იყო. მხოლოდ მე-16 პარტკონფერენციამ გასული წლის აპრილში და საბჭოთა კავშირის საბჭოების მე-5 ყრილობამ შესძლეს განეხილათ და დაემტკიცებინათ ხუთწლიანი გეგმა. როგორც ვიცით, სახელმწიფო საგეგმო კომისიას შედგენილი ჰქონდა ხუთწლიანი გეგმის ორი ვარიანტი: მინიმალური და ოპტიმალური. პარტიამ თავის მუშაობას საფუძვლად დაუდო ოპტიმალური ვარიანტი და ხუთწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობაში მინიმალურად გადააქცია იგი.

მიღება ხუთწლიანი გეგმისა, რომელიც გამოხატავს სოციალიზმის მშენებლობის კონკრეტულ გეგმას პარტიის ლენინური პოლიტიკის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა მხოლოდ ბრძოლაში წვრილბურჟუაზიული მერყეობისა და მუშათა კლასის ძალისადმი რწმენის უქონლობის წინააღმდეგ, რომელსაც იჩენდნენ პარტიის მემარჯვენე უკლონისტური ელემენტები. ხუთწლიანი გეგმის ტემპებს ისინი ძლიერ მაღლად სთვლიდნენ. სწორედ რწმენის უქონლობა პარტიის მიერ მიღებულ ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპებში წარმოადგენდა მემარჯვენე უკლონისტურ განწყობილებათა ყველაზე დამახასიათებელ თვისებას. მე-16 პარტკონფერენციის მიერ მიღებულ ხუთწლიან გეგმასთან ფორმალურად თანხმობის დროსაც კი მემარჯვენენი აყენებდნენ თავიანთ კონტრ-გეგმას ეგრეთწოდებული „ორწლედის" სახით. ხუთწლიანი გეგმის ღერძი იყო და რჩება სოციალისტური ინდუსტრია და უწინარეს ყოვლისა მძიმე მრეწველობა. ამის ნაცვლად მემარჯვენე უკლონისტები სოფლის მეურნეობის ჩამორჩენასთან ბრძოლის საბაბით აყენებდნენ ორწლიანი გეგმის პროგრამას, რომელშიაც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მთავარი ამოცანები—მძიმე ინდუსტრიის განვითარების ამოცანები დაყენებული იყო უკანა რიგში და სოფლის მეურნეობის აღდგენის საკითხები შორდებოდა პარტიის მიერ ინდუსტრიალიზაციისაკენ აღებულ კურსს. ეს ორწლიანი გეგმა სინამდვილეში განისაზღვრებოდა ინდივიდუალურ სოფლის მეურნეობაზე დაყრდნობით და მიწადმოქმედებაში კაპიტალისტური ელემენტებისათვის ხელფეხის გახსნით. პარტიამ უარჰყო მემარჯვენე უკლონისტური ორწლიანი გეგმა, მიიღო ხუთწლიანი გეგმის ოპტიმალური ვარიანტი და შეუდგა მის შესრულებას. მას შემდეგ ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება უკვე გადაიქცა ფართო მასების ლოზუნგად. საკმაოა ითქვას, რომ უკანასკნელი საპირველმაისო დემონსტრაციის ყველაზე პოპულარული ლოზუნგი იყო ლოზუნგი—„ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში". ამ ლოზუნგის პოპულარობა ეყრდნობა უკანასკნელ წლებში სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების უდიდეს წარმატებებს.

უკვე 1927-28 წელს, რომელიც წინ უძღოდა ხუთწლიანი გეგმის განხორციელების დასაწყისს, პარტიამ მიაღწია მრეწველობის განვითარებისათვის მოცემულ დავალებათა არათუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულებას. სამრეწველო პროდუქციის ზრდა მიმდინარე წელს წინა წელთან შედარებით შეადგენს 26 პროცენტს, საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული 24,5 პროცენტის ნაცვლად, ხოლო მძიმე ინდუსტრიაში ფაქტიური ზრდა შეადგენდა თითქმის 29 პროცენტს, 21 პროცენტის ნაცვლად.

ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის შედეგმა ცხადჰყო, რომ სოციალისტურმა ინდუსტრიამ აქამდეც გაუსწრო დასახულ დავალებებს, 1928-29 წელს მოგვცა პროდუქციის ზრდა 24 პროცენტით, ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 21,4 პროცენტის ნაცვლად. ამასთან ერთად გამოირკვა იმის შესაძლებლობა, რომ არათუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულებულ იქნა ხუთწლიანი გეგმის შემდგომი დავალებანი. ამიტომ 1929-30 წლისათვის დასახულ იქნა პროდუქციის ზრდა წინანდელთან შედარებით 31 პროცენტით, ხოლო ხუთწლიანი გეგმით ეს ზრდა დასახული იყო მხოლოდ 21,5 პროცენტით. ამრიგად პროდუქციის ზრდა მიმდინარე წელს ერთნახევარჯერ გადააჭარბებს ხუთწლიანი გეგმის ვარაუდებს. მიმდინარე წლის შედეგად მე-15 ყრილობის წინა სამეურნეო წელთან (1926-27) შედარებით, ჩვენ გვექნება ს.მ.უ. საბჭოს გამგებლობაში მყოფი მრეწველობის საერთო პროდუქციის ორჯერ მეტად ზრდა (205 პროცენტი). მძიმე მრეწველობაში (ჯგუფი ა) ეს გადიდება 260 პროცენტს მიაღწევს, ხოლო მსუბუქ მრეწველობაში (ჯგუფი ბ)—163 პროცენტს.

განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენ დიდ მიღწევად ვთვლიდით, რომ ჩვენი მრეწველობის პროდუქცია მიუახლოვდა ომის წინადროინდელი სამრეწველო პროდუქციის დონეს. მას შემდეგ სურათი რადიკალურად შეიცვალა აი დამამტკიცებელი საბუთიც: მომავალ წელს ჩვენი მრეწველობის პროდუქციის მარტო მატება იქნება იმდენი, რაც ომის წინადროინდელი მრეწველობის მთელი წლიური პროდუქცია.

ამ უკანასკნელ წლებში სწრაფად ვითარდება მრეწველობის ახალი დარგები, ახალი წარმოებანი ძველ ფაბრიკებსა და ქარხნებში. 1929-30 წელს ისინი მოგვცემენ 3 მილიარდ მანეთზე მეტად ღირებულ პროდუქციას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის მანქანათმშენებლობის ახალი დარგები: ტრაქტორების მშენებლობის, ავტომობილების მშენებლობის, ნავთის მრეწველობის მოწყობილობის, ქიმიური აპარატურის, მილების მშენებლობის განვითარება. ახალი წარმოების წილი საერთო მანქანათმშენებლობის პროდუქციის გამოშვებაში მიმდინარე წელს უკვე დაახლოებით 20 პროცენტს შეადგენს. ჩვენი დამოკიდებულება საიმპორტო მოწყობილობაზე, მისი აბსოლუტური ზრდის მიუხედავად, შეფარდებით მცირდება. მაგრამ ამ საქმეში ჩვენი მიღწევები ჯერ კიდევ მეტად არასაკმაოა და ჩვენ აქ გადამწყვეტ გარდატეხას უნდა მივაღწიოთ.

ხუთწლიანი გეგმის შესრულების წარმატებებს თვალსაჩინოდ ადასტურებს ის ფაქტი, რომ მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ჩვენ საშუალება გვეძლევა შევასრულოთ ხუთწლიანი გეგმა ბევრად უფრო მოკლე ვადებში.

ჩვენ, მაგალითად, ყველა საფუძველი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ხუთწლიან გეგმას სამ წელიწადში შევასრულებთ მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიც არის ქვანახშირის, ნავთის, ტორფის, ტრაქტორების, ავტომობილების, ფეხსაცმელის და მარილის მრეწველობა. ჩვენ შევძლებთ 4 წელიწადში შევასრულოთ [illegible] მრეწველობის ისეთ მნიშვნელოვან [illegible], როგორიც არის რკინის მადნის [illegible], ცემენტის მრეწველ[illegible] ერთი სხვა დარგები. ამრიგად [illegible] წელიწად[illegible] ჩვენი [illegible] კლასის რეალურ წარმატებებს [illegible] ოდა. მაგრამ არ შე[illegible] [illegible] გულდამ[illegible] [illegible] კიდევ უფრო დიდი [illegible] წლის სამრეწველო[illegible] [illegible] შესრულება მოწყობილობის [illegible] ებში და მთელ რიგ რაიონებ[illegible] [illegible] ებით არადამაკმაყოფილებლად [illegible] წლის პირველი ნახევრის შედეგები ცხადჰყოფენ, რომ ჩვენ გვაქვს სამრეწველო პროდუქციის გადიდება 29,4 პროცენტით გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით. ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენ თვალსაჩინო გადაჭარბებით ვასრულებთ ხუთწლიანი გეგმის ვარაუდს მიმდინარე წლისათვის, მაგრამ სამრეწველო-საფინანსო გეგმის დავალებას მიმდინარე წლისათვის—პროდუქციის 31 პროცენტით გადიდების შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვასრულებთ. შრომის ნაყოფიერების ზრდის მხრივაც ჩვენ ჩამორჩენილნი ვართ: მიღებულია ზრდა 19 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებული 25,3 პროცენტის ნაცვლად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აპრილისათვის დასახული სამრეწველო გეგმების შესრულების გაუარესების ფაქტი. წინასწარი ცნობები მოწმობენ, რომ მიმდინარე თვის განმავლობაში ჩვენ გვქონდა სამრეწველო პროდუქციის გადიდება 28,3 პროცენტით გასული წლის იმავე თვესთან შედარებით. მაშასადამე, ჩვენ აუცილებლად უნდა გავაძლიეროთ მუშაობა სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების საქმეში.

კაპიტალური მშენებლობის სფეროშიაც ჩვენ გვაქვს ისეთი მიღწევები, რომლების მოლოდინიც მე-16 ყრილობის წინ არ გვქონია. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა მიმდინარე წელს, 1926-27 წელთან შედარებით 363 პროცენტს აღწევს, ხოლო მძიმე მრეწველობაში—454 პროცენტს. მაგრამ ამ დარგში ჩვენ მაინც გვაქვს დიდი ჩამორჩენები მიმდინარე წლის პირველ ნახევარში. კაპიტალურ სამუშაოთა გეგმა, კერძოდ ლენინგრადის ოლქში, ჯერ-ჯერობით არადამაკმაყოფილებლად სრულდება და ჩამორჩება შესრულების გასული წლის ტემპებს.

ამასთან პარტიამ გაშალა ულმობელი ბრძოლა კაპიტალური მშენებლობის მრავალრიცხოვან დეფექტებთან (სიძვირე და მოწყობილობის არარაციონალურად გამოყენება). თვითღირებულების მხრივ ჩვენ მეტი მიღწევები გვაქვს, ვიდრე გასულ წელს. თვითღირებულების შემცირება წლის პირველ ნახევარში თითქმის 6 პროცენტს აღწევს. მაგრამ გეგმის შესრულებისათვის (11,5 პროცენტი) ჩვენ კიდევ გვესაჭიროება ყველა ჩვენი ორგანიზაციების უდიდესად სერიოზული ღონისძიებანი, განსაკუთრებით წარმოებაში.

როგორ მივაღწიეთ ასეთ წარმატებებს ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში? ეს წარმატებები მიღწეულ იქნა პარტიისა და ცენტრალური კომიტეტის უდიდესი მუშაობის მეოხებით, დასახული გეგმების მთლიანად გადაჭარბებით შესრულებისათვის მუშათა კლასის ყველა ძალების მობილიზაციის მეოხებით.

პარტიამ სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის ბრძოლა წამოაყენა თავის ძირითად ამოცანად. როდესაც მიმდინარე წლის იანვარში გამოირკვა ჩამორჩენა სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებაში, ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა განსაკუთრებული მიმართვა იმ მოწოდებით, რომ მომხდარიყო მუშათა კლასის ძალების მობილიზაცია ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის. ამასთან ცენტრალურმა კომიტეტმა მისცა ჩვენს პრესას დავალება თვალყური ედევნებინა მდგომარეობისათვის მრეწველობის ცალკე დარგებში, ცალკე რაიონებში, ცალკე ფაბრიკებსა და ქარხნებში, თვალყური ედევნებინა ყოველი წარმატებისათვის წარმოების მუშაობაში და ამასთან ერთად ულმობლად გაემათრახებინა ყველა ჩვენი ორგანიზაციების, სამეურნეო, პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციების დეფექტები. გაზეთის ფურცლებზე ოპერატიული ნაკრები ცნობები, წითელი და შავი დაფების შემოღებამ და მთელმა რიგმა სხვა ღონისძიებებმა სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის ბრძოლა მოაქციეს პარტიის და მუშათა კლასის ყურადღების ცენტრში. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ცალკე უმნიშვნელოვანესი საწარმოების მუშაობას ფხიზელ და მუდმივ კონტროლს უწევს მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობა. ისეთი გიგანტების მუშაობას, როგორიც არის „კრასნი პუტილოვეც"-ი არათუ დღითი-დღე ამოწმებენ ადგილობრივი და უმაღლესი ორგანიზაციები, არამედ ამ მუშაობას ცენტრალური პრესაც მუდმივად აშუქებს.

მაგალითად, „პრავდა" თვეში რამდენჯერმე ბეჭდავს ცნობებს ტრაქტორების მშენებლობის მდგომარეობის შესახებ ამ ქარხანაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველივე ეს ხელს შეუწყობს „კრასნი პუტილოვეც"-ს შეასრულოს ტრაქტორების მშენებლობის ახლანდელი პროგრამა (12.000 ტრაქტორზე). პრესა აღნიშნავს არა მარტო ჩამორჩენათა ფაქტებს, არამედ ამ ჩამორჩენათა ლიკვიდაციისათვის ბრძოლის ფაქტებსაც. ოპერატიული სატელეგრაფო ნაკრები ცნობები გაზეთებში ამათრახებენ ჩვენი ორგანოების დეფექტებს და ამასთან ერთად ცნობებით მშენებლების წარმატებათა შესახებ იწვევენ მუშათა მასების აღფრთოვანებას შემდგომი ბრძოლისათვის. ცალკე ქარხნებში კონკრეტულ დეფექტებსა და მიღწევებზე ყურადღების მიპყრობამ ჯერ კიდევ უნახავ სიმაღლეზე ასწია სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის ბრძოლა. ცენტრალური კომიტეტი სხვა ზომებსაც იღებდა პარტიული ძალებისა და მუშათა ფართო მასების მობილიზაციისათვის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესასრულებლად. ამ მიზნით, მაგალითად, ადგილებზე გაიგზავნა ცენტრალური კომიტეტის წევრების დიდი ჯგუფი.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური კომიტეტი ხუთწლიანი გეგმის შესრულების დასაწყისიდანვე განსაკუთრებით გულმოდგინეთ ადევნებდა თვალყურს სამეურნეო მშენებლობის კონკრეტული გეგმების შესრულებას. 1928-30 წლის განმავლობაში ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა მრეწველობის მთელი რიგი უდიდესი დარგების მდგომარეობა და ტრესტების თვალსაჩინო რიცხვის მოქმედება. ეს დარგებია მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიც არის მებამბეობა, ტრაქტორების მშენებლობა, ავტომობილების მშენებლობა, შავი მეტალურგიის რეკონსტრუქცია, ფერადი მეტალურგიის მნიშვნელობა, ქვანახშირის მრეწველობა დონბასში, „დნეპროსტროი" და მისი სამრეწველო კომბინატი, ახალი რკინის გზების მშენებლობა, სამხედრო მრეწველობა, აგრეთვე ისეთი ტრესტების მუშაობა, როგორიც არის „იუგოსტალ"-ი, „ლენმაშტრესტ"-ი, ვემთხაშენი ტრესტი, ჩრდილოეთის ქიმიური ტრესტი, სახელმწიფო ელექტროტრესტი, „გომზა", სამხრეთის მადნეულის ტრესტი და „ურალმეტ"-ი.

მრეწველობის ცალკე დარგების, ცალკე ტრესტებისა და სატრანსპორტო საწარმოთა (ვოლგის სახელმწიფო ნაოსნობა, მოსკოვ-კურსკის რკინის გზა) და აგრეთვე ცალკე რაიონების (უკრაინა, ჩრდილოეთ-კავკასია, კაზაკსტანი, ჩრდილოეთის მხარე და შუა ვოლგა) მდგომარეობის დაკვირვებული ანალიზის წყალობით, ცენტრალურ კომიტეტს საშუალება ჰქონდა მოეცა უმნიშვნელოვანესი და კონკრეტული დირექტივები სამეურნეო მშენებლობის განვითარებისათვის, დიდი მონაწილეობა ამ მუშაობაში მიიღო ცენტრ. საკონტროლო კომისია—მუშგლეხინმა, რომელმაც ამ პერიოდში ჩაატარა მრავალი სამეურნეო გაერთიანებათა და ტრესტების შემოწმება. ამის შედეგად ცეკას საშუალება ჰქონდა მიეღწია მრეწველობისა და ტრანსპორტის შემდგომი მნიშვნელოვან გაშლისათვის.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში ჰქონდა იმ ფაქტს, რომ ბრძოლა საწარმოო-საფინანსო გეგმისათვის ეყრდნობოდა აქტივობის გაშლაზე და უდიდეს ამოძრავებაზე მუშათა მასებში, რამაც ყველაზე ნათელი გამოხატულება ჰპოვა სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ზრდაში. პარტია სათავეში ჩაუდგა ამ მოძრაობას და უკანასკნელი წლის განმავლობაში შესძლო მისი წარმართვა საწარმოო-საფინანსო გეგმის წარმატებით შესრულების გზით.

საწარმოო პროგრამისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში ჩვენში სულ უფრო და უფრო აქტიურ როლს თამაშობენ შრომის გმირები და დამკვრელები. დამკვრელთა მოძრაობა უკვე 1.500.000 მუშაზე გავრცელდა. მართალია, ამ მოძრაობაში კიდევ არის დიდი ნაკლოვანებანი. ზოგიერთ შემთხვევაში კარგ დამკვრელებისა და სანიმუშო დამკვრელი ბრიგადების გვერდით არის ერთგვარი ნაწილი დამკვრელებისა მხოლოდ სახელად. მაგრამ მთლიად დამკვრელობისა და სოციალისტური შეჯიბრების ზრდამ მოგვცა შესაძლებლობა ძლევამოსილი წინსვლისათვის ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში. დამკვრელთა მოძრაობაში ამჟამად მონაწილეობას იღებს წარმოებაში კომუნისტების 60-65 პროცენტი და კომკავშირელების 55-60 პროც.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ყველა კომუნისტი და კომკავშირელი დამკვრელების რიგებში იმყოფებოდეს, მაგრამ ჩვენ მივდივართ ამ ამოცანის განხორციელების გზით. ბრძოლამ სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის საჭირო გახადა, რომ საწარმოო დავალებანი მივიტანოთ არა მარტო ცალკე ამქრებამდე, არამედ ცალკე მუშებამდე. ამით სამრეწველო-საფინანსო გეგმის განხორციელებაში ჩაებმება მთელი მუშათა მასა და ცალკე ყოველი მუშა.

პროფკავშირების ამოცანაა — ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა. ამ ამოცანას ისინი მით უფრო წარმატებით შეასრულებენ, რაც უფრო მტკიცედ მოხდება პროფკავშირების მიბრუნება პირით წარმოებისაკენ. მოწინავე დამკვრელობაზე დაყრდნობით, სოცშეჯიბრების მოწყობაში აქტიური მონაწილეობით, მუშათა მასებისაგან ახალი ძალების დაწინაურებით პროფაპარატის გასაჯანსაღებლად,—პროფკავშირი უდიდესად გააუმჯობესებენ თავიანთ მუშაობას მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების საქმეში, სოციალიზმის მშენებლობის ძირითადი ამოცანების განხორციელების საქმეში. მიუხედავად უდიდესი წარმატებებისა, რომელსაც ჩვენ სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებაში მივაღწევთ, ჩვენ ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ ვიყენებთ ჩვენში არსებულ რეზერვებს.

სულ რამდენიმე თვეა, რაც დავიწყეთ საწარმოების გადაყვანა განუწყვეტელ მუშაობაზე. ამჟამად განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადაყვანილია სამრეწველო საწარმოთა მუშების 62 პროცენტი. განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლას დიდი მნიშვნელობა აქვს ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულების დაჩქარებისათვის.

მრეწველობის თეზისებში პარტიის მომავალ ყრილობისათვის წამოყენებულია ჩვენს საწარმოებში წყებათა რიცხვის გადიდების ამოცანა. ამჟამად მრეწველობაში წყებათა რიცხვის კოეფიციენტი აღწევს მხოლოდ 1,6. წყებათა დიდი რაოდენობით შემოღება გადიდებს მოწყობილობათა გამოყენების კოეფიციენტს და მოგვცემს ახალ შესაძლებლობას სოციალისტური ინდუსტრიის აღორძინებისათვის.

7 საათიანი სამუშაო დღის შემოღება თავის მხრივ საშუალებას აძლევს ჩვენს მრეწველობას დააჩქაროს ცვლების გადიდება.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს რაციონალიზატორულ მუშაობას ფაბრიკებსა და ქარხნებში. ზოგიერთ შემთხვევებში არა თუ წარმოების რაციონალიზაცია, არამედ საწარმოო საქმიანობის ელემენტარული მოწესრიგება იძლევა უკვე პროდუქციის მნიშვნელოვან გადიდებას. ამ რამდენიმე ხნის წინათ ამხ. ს. ორჯონიკიძემ ცეკაში მოიყვანა საინტერესო ფაქტი მდგომარეობისა ამხ. სტალინის სახელობის ლითონის ქარხანაში ლენინგრადში. როცა ამხ. ორჯონიკიძე ათვალიერებდა ამ ქარხანას, უჯრედის მდივანმა ამხ. სემენკომ მისი ყურადღება მიაქცია არანორმალობაზე ტურბინების დაკვეთის საქმეში. ქარხანა, რომელიც ჯერ-ჯერობით ტურბინების ერთად-ერთი მშენებელი ქარხანაა საბჭოთა კავშირში, დატვირთული აღმოჩნდა სხვადასხვა სიმძლავრის ტურბინებით და ამიტომ მეტად არასაკმაოდ იყენებს თვის საწარმოო შესაძლებლობებს. ქარხნის საწარმოო პროგრამა ტურბინების მშენებლობის დარგში მომავალ წლისათვის გათვალისწინებული იყო 358.000 კილოვატის ფარგლებში. ტრესტმა შესაძლებლად სცნო 36.500 კილოვატის სიმძლავრის მქონე რამდენიმე ტურბინის დაკვეთის მოხსნა და ტურბინების ახალი დაკვეთის მიცემა 84.000 კილოვატის ფარგლებში. მაგრამ საწარმოო პროგრამის 450.000 კილოვატამდე გადიდება 1930-31 წლისათვის სრულიად არასაკმაო აღმოჩნდა. რამდენიმე მსხვილ ტურბინის სერიებად დამზადების შემოღებამ შესაძლებლობა მისცა ამხ. სტალინის სახელობის ქარხანას უკვე 567.000 კილოვატამდე გაედიდებინა ტურბინების წარმოების პროგრამა. ამას შეიძლება კიდევ დაემატოს, რომ ამ საქმესთან უფრო ახლო გაცნობილი პირები ამტკიცებენ, რომ ქარხანას შეუძლია შეასრულოს არა მარტო ეს გადიდებული პროგრამა (567.000 კილოვატი 1930-31 წ., ნაცვლად 200.000 კილოვატისა 1929-30 წ.), არამედ გაადიდოს იგი მეტი—ერთ მილიონ კილოვატამდე. ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ ცუდათ ვიყენებთ ჩვენ ჩვენს საწარმოო შესაძლებლობებს და რამდენად დიდია ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელობის ნაკლოვანებები.

ინდუსტრიის შემდგომი განვითარების ამოცანების ცენტრში დასმულია მანქანათ-მშენებლობის საკითხები. მანქანათმშენებლობის, ქვაბების და მილების მშენებლობის, ავტომობილებისა და ტრაქტორების მშენებლობის განვითარების გაძლიერება წარმოადგენს მთელი ინდუსტრიის უპირველეს ამოცანას. ამას უნდა ექცეოდეს ამჟამად ჩვენი ყურადღება. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ხაზი უნდა გავუსვათ შავი და ფერადი მეტალურგიის განვითარების მნიშვნელობას. ამჟამად შენდება შავი მეტალურგიის სამი ახალი გიგანტი: მაგნიტოგორსკის, კუზნეცკის და ზაპოროჟიეს ქარხნები. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წარმატებით განხორციელება მოითხოვს, რომ სამხრეთის ნახშირ-მეტალურგიული ბაზასთან ერთად შეიქმნას მეორე ნახშირ-მეტალურგიული ბაზა საბჭოთა კავშირში. ამ მეორე ნახშირ-მეტალურგიულ ცენტრად საბჭოთა კავშირში უნდა იქცეს ურალის და ციმბირის რაიონი თავისი ნახშირისა და მადნების უმდიდრესი საბადოებით. ც. კ-ის სათანადო გადაწყვეტილების განხორციელება, ეჭვს გარეშეა, მოწონებული იქნება პარტიის მე-16 ყრილობის მიერ.

ზემოდ ნათქვამიდან გამომდინარეობს შემდეგი ძირითადი დასკვნები: ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ის ტემპები, რომელთაც მივაღწიეთ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამ ტემპების დასაჩქარებლად. უნდა გავაძლიეროთ მუშათა კლასის ძალების მობილიზაცია ხუთწლიანი გეგმის ამოცანების განხორციელების ირგვლივ, უფრო გადაჭრით უნდა განვავრძოთ ბრძოლა ბიუროკრატიულ გადამახინჯებებთან ჩვენს სამეურნეო აპარატში.

სოციალისტური ინდუსტრიის ზრდის მრავალი რეზერვი ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ გამოვიყენეთ. ხუთწლიანი გეგმის განხორციელების პირველი წარმატებებიდან ჩვენ უნდა გადავიდეთ სოციალისტური მშენებლობის უფრო დიდ და გადამწყვეტ გამარჯვებებზე.

სასოფლო მეურნეობის აღორძინება და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნა

თუ სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ ხუთწლიანი გეგმის განხორციელების დაწყებამდე მივაღწიეთ უდიდეს წარმატებებს, სასოფლო მეურნეობის დარგში ჩვენ სულ სხვა მდგომარეობა გვქონდა.

პარტიის მე-15 ყრილობამ მიუთითა სასოფლო მეურნეობის განვითარების ძლიერ ჩამორჩენაზე ინდუსტრიისაგან. მიწადმოქმედების დაბალმა დონემ და ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობის განვითარების ნელმა ტემპმა პირდაპირ შეაფერხეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპი. ამასთან ერთად ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი წლების შედეგად სოფლად რამდენიმედ გამაგრდნენ კაპიტალისტური ელემენტები. ყოველივე ამან ყველაზე უფრო მკვეთრად იჩინა თავი უკანასკნელი წლების პურის დამზადების კამპანიების პერიოდში.

უკვე 1927-29 წლის პურის დამზადების კამპანიის დროს პარტიამ განავითარა გაძლიერებული ბრძოლა კულაკობასთან და მიღებულ ზომების შედეგად მიაღწია პურის დამზადების გეგმის შესრულებას. შემდეგი წლის კამპანიაც ჩატარდა ასეთ გაძლიერებულ ბრძოლაში კულაკურ ელემენტებთან, რომლებიც სცდილობდნენ ჩაეშალათ საბჭოთა პურის ფასების პოლიტიკა და ამით მძიმე მდგომარეობაში ჩაეყენებიათ მუშათა ცენტრებისა და წითელი არმიის მომარაგება პურით. პარტიის მიერ სოფლად გაშლილი მუშაობის შედეგად ჩვენ შევსძელით კულაკობასთან ბრძოლის ამოცანების გარშემო დაგვერაზმა სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხთა ძირითადი მასები. პურის დამზადების უკანასკნელი კამპანია დიდის წარმატებით ჩატარდა და ამასთანავე დასრულებულ იქნა პირველ ხუთ თვეში. ამავე დროს პარტიას უნდა დაესვა და მართლაც დასვა სასოფლო მეურნეობის აღორძინების ძირითადი საკითხები. მე-15 ყრილობის დადგენილებასთან შეფარდებით პარტიამ არა მარტო გაშალა გაძლიერებული შეტევა კულაკობაზე, არამედ დასვა საკითხი სასოფლო მეურნეობის აღორძინებისა სოციალისტური რეკონსტრუქციის საფუძველზე. აქ პირველ რიგში დაისვა ხორბლეულის პრობლემის გადაჭრის ამოცანა, რადგან ამ მხრივ ჩვენ ყველაზე მეტად ვიყავით ჩამორჩენილი. მართლაც, გასულ წლამდე ხორბლეულ მეურნეობაში ჩვენ ომის წინადროინდელ დონესაც ვერ მივაღწიეთ ნათესების ფართობის მხრივ და მხოლოდ მიმდინარე წელს ისმება პირველად ამ ომის წინადროინდელი დონის გადაჭარბების ამოცანა. განსაკუთრებით დაბალი იყო ხორბლეულის პროდუქციის სასაქონლო ნაწილი. მიმდინარე წელსაც კი იგი აღწევს სულ, დაახლოებით, ომის წინადროინდელ დონეს 50 პროც. აქედან ნათელია, თუ რატომ განსაკუთრებული ღონისძიებები მიიღო პარტიამ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და, პირველ რიგში, ხორბლეულის პრობლემის გადასაჭრელად.

ამოცანებმა, რომლებიც პარტიის წინაშე წამოიჭრა სასოფლო მეურნეობის დარგში, მთელი სიგრძე-სიგანით დასვეს მიწადმოქმედების განვითარების გზების საკითხი. მემარჯვენე ელემენტები სწორედ ამ საკითხში აწარმოებდნენ პარტიასთან განსაკუთრებულ მწვავე ბრძოლას. სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის გაძლიერების პოლიტიკა მემარჯვენეებმა გამოაცხადეს მუშათა კლასის მიერ საშუალო გლეხობასთან კავშირის გაწყვეტის პოლიტიკათ. მემარჯვენეები სცდილობდნენ სასოფლო მეურნეობაში სოციალისტური ელემენტების ყოველმხრივ გაძლიერების პოლიტიკა შეეცვალათ კაპიტალისტურ ელემენტებისათვის თავისუფალი განვითარების საშუალების მიცემის პოლიტიკით; მემარჯვენე გადახრის კაპიტალისტური ბუნება ყველაზე ნათლად გამოაშკარავდა სწორედ სასოფლო მეურნეობის განვითარების გზებისა და კულაკობასთან ბრძოლის საკითხში. პარტია გადაჭრით ანხორციელებდა თავის გადაწყვეტილებებს მუდმივ ბრძოლაში მემარჯვენე უკლონისტებთან და აშკარად ოპორტუნისტულ მერყეობასთან პარტიის ზოგიერთ ფენებში.

ახლა პარტიას უკვე აქვს შესაძლებლობა წინასწარ ჯამი გაუკეთოს თავის ბრძოლას მემარჯვენე უკლონისტებთან სასოფლო მეურნეობის აღორძინების გზების საკითხებში.

უკანასკნელ წლებში ჩვენ უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ საბჭ. მეურნ. მშენებლობაში. სულ ორი წლის წინად ამხ. სტალინის ინიციატივით სულ სხვანაირად დაისვა ხორბლეულის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საკითხი. ამის შემდეგ რადიკალური გარდატეხა მოხდა ამ საქმეში. თუ პარტიის მე-15 ყრილობის წინ ყველა საბჭოთა მეურნეობების ნათესების ფართობი 1 მილიონ ჰექტარზე ცოტა მეტს შეადგენდა, მიმდინარე წელს იგი უდრის 3 მილიონ ჰექტარზე მეტს, მომავალ წელს კი გვექნება საბჭოთა მეურნეობების ნათესის ფართობი 8 მილიონ ჰექტარამდე. განსაკუთრებით დიდია წარმატებები „ხორბლეულის ტრესტის („ზერნოტრესტი")", რომლის საწარმოო დავალებები წელს სამმაგად გადიდდა. ამის შედეგად „ზერნოტრესტის" საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარე წელს მოხნული იქნება 4 ნახევ. მილიონ ჰექტარამდე.

თუ ორი წლის წინ „ზერნოტრესტის" წინაშე დასმული იყო ამოცანა 4-5 წლის დასასრულისათვის მიეღო 1.660.000 ტონამდე სასაქონლო პური, „ზერნოტრესტის" წარმოების შედეგად მომავალ წელს გათვალისწინებულია 3.500.000 ტონამდე სასაქონლო ხორბლეული პროდუქციის მიღება. ეს იმას ნიშნავს, რომ „ზერნოტრესტის" 4-5 წლიანი პროგრამა მესამე წელიწადს იქნება ორჯერ მეტის გადაჭარბებით შესრულებული.

მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წარმატებებს საკოლმეურნეო მშენებლობაში. პარტიის მე-15 ყრილობამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„ახლანდელ პერიოდში წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა მსხვილ კოლექტივებში გაერთიანებისა და გარდაქმნის ამოცანა დასმულ უნდა იქნას, როგორც პარტიის ძირითადი ამოცანა სოფლად".

ამ გადაწყვეტილებით მუშათა კლასისა და სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით იქნა დასმული სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანა. ამ დროის განმავლობაში პარტიამ გაშალა გაძლიერებული მუშაობა საკოლმეურნეო მოძრაობის გასაძლიერებლად. იმის დაუვიწყებლად, რომ საჭიროა ხელისშეწყობა ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის, პარტიამ განსაკუთრებული ზომები მიიღო კოლმეურნეობათა ზრდისა და ხელისშეწყობისათვის. ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ახალი საწარმოო ფორმების განვითარების საფუძველზე, საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გაშლის, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შექმნის და ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების და სხვ. მიწოდების გაძლიერების საფუძველზე პარტიამ უზრუნველყო ძირითადი გარდატეხა საშუალო გლეხთა მასების დამოკიდებულებაში კოლექტივიზაციის საქმისადმი. წარსული წლის ნახევარში ღარიბ გლეხების შემდეგ კოლექტივიზაციის გზაზე მობრუნდა საშუალო გლეხიც. საშუალო გლეხთა მასების ამ მობრუნებამ სოციალიზმისაკენ გამოხატულება მიიღო რაიონებისა და ოლქების მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლაში. შეიქმნა წინასწარი პირობები მსხვილი კულაკური მეურნეობის შესაცვლელად კოლმეურნეობათა მსხვილი წარმოებით.

ამან საშუალება მისცა პარტიას, სოფლად კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვისა და შევიწროების პოლიტიკიდან გადასულიყო კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ახალ პოლიტიკაზე. ლოზუნგი კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისა მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე გადაიქცა სოფლად ჩვენი პარტიის ძირითად ლოზუნგად.

საკოლმეურნეო მოძრაობის ასეთი წარმატება შესაძლებელი გახდა მხოლოდ პარტიის სწორი პოლიტიკის მეოხებით. ლენინიზმის საფუძვლებთან შეფარდებით პარტია დაუღალავად აღნიშნავდა, რომ კოლმეურნეობანი შეიძლება წარმოადგენდნენ ღარიბ და საშუალო გლეხთა მხოლოდ ნებაყოფლობით გაერთიანებებს, რომ კოლმეურნეობებად გაერთიანება შეიძლება ხდებოდეს მხოლოდ მშრომელ გლეხთა თანხმობით, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობა შეიძლება ვითარდებოდეს მხოლოდ თვით გლეხთა მასების ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარების საფუძველზე.

თავის 1930 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებაში ცენტრალურმა კომიტეტმა არათუ საჭიროდ სცნო გადასვლა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ახალ პოლიტიკაზე, ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, არამედ კონკრეტული მითითებანიც მოგვცა კოლექტივიზაციის უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ საკითხებში. აღვნიშნოთ სამი ძირითადი მითითება ცენტრალურ კომიტეტის ამ გადაწყვეტილებაში. აქ, ჯერ ერთი, მოცემული იყო კოლექტივიზაციის განხორციელების სავარაუდო ვადები მარცვლეულ კულტუ-

(გაგრძელება იხ. მესამე გვერდზე)

ბით ძირითად რაიონებში, ამასთან მხოლოდ ერთი ოლქისათვის, სახელდობრ ქვემო ვოლგის, შუა ვოლგის და ჩრდილოეთ-კავკასიისათვის, — დასახული იყო ის ამოცანა, რომ იქ გლეხურ მეურნეობათა უდიდესი უმრავლესობის კოლექტივიზაცია განხორციელებულიყო 1930 წლის შემოდგომაზე ან 1931 წლის გაზაფხულზე. დანარჩენი რაიონებისათვის დანიშნული იყო უფრო შორეული ვადა. მეორე — ამ გადაწყვეტილებაში პირდაპირ აღნიშნული იყო, რომ ეხლანდელ პერიოდში კოლმეურნეობის ძირითად ფორმად სასოფლო-სამეურნეო არტელი უნდა ჩაითვალოს. ამით ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საკოლმეურნეო მოძრაობა უკვე გადავიდა მეორე საფეხურზე — მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობიდან სასოფლო - სამეურნეო არტელზე, მაგრამ იგი მხოლოდ შემდეგში შესძლებს გადავიდეს საკოლმეურნეო მოძრაობის უმაღლეს ფორმაზე — კომუნაზე. მესამე — ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში კოლექტივიზაციის ტემპის შესახებ პარტიულ ორგანიზაციებს მიცემული ჰქონდათ სერიოზული გაფრთხილება — არ დაეწყოთ „საკოლმეურნეო მოძრაობის მოწყობიება ზემოდან, დეკრეტებით, რასაც შეუძლია, შექმნას ის საფრთხე, რომ ნამდვილი სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობათა ორგანიზაციის საქმეში კოლექტივიზაციობის თამაშით შეიცვალოს“.

პარტიის ამ გადაწყვეტილებათა მიუხედავად, საკოლმეურნეო მშენებლობაში გვქონდა პარტიული ხაზის დიდი გამრუდებანი. ეს გამრუდებანი წარმოიშვენ, უმთავრესად კოლექტივიზაციის გაზვიადებული მაღალი ტემპებით გატაცების გამო, ცალკე რაიონების ნაციონალური და საერთოდ ადგილობრივი განსაკუთრებული პირობებისათვის ანგარიშის არ გაწევის შედეგად, კოლმეურნეთა თანხმობის გარეშე კომუნების შექმნის ცდების გამო, საშუალო გლეხების „განკულაკების“ გამო და სხვ. ყველა ამ გადახვევათა რაოდა მდგომარეობდა საშუალო გლეხის მიმართ არასწორ დამოკიდებულებაში, საშუალო გლეხის მიმართ ხელმძღვანელობის მეთოდების ძალადობის მეთოდებით შეცვლაში. პარტიის პოლიტიკის ამ, საშუალო გლეხის საწინააღმდეგო, გამრუდებებმა საფრთხე შეუქმნეს საშუალო გლეხთან კავშირის შენარჩუნებას. ეს გადახვევები ხელსაყრელი იყო მხოლოდ კულაკობისათვის და რევოლუციის სხვა მტრებისათვის. პარტიას გადაჭრით უნდა დაეცხო ამ გამრუდებებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებულ გადაწყვეტილებებში ამხ. სტალინის წერილებში, რომლებიც მან ცენტრალური კომიტეტის დავალებით დასწერა; დაიწყო ულმობელი ბრძოლა პარტიული პოლიტიკის გამრუდებებთან კოლმეურნეობათა მშენებლობაში. ეს გადაწყვეტილებები და ამხ. სტალინის წერილები თავის დროზე და თან ძირიანად ასწორებდნენ დაშვებულ შეცდომებს. ამის შედეგად გაჭრა კოლექტივიზაციის გაზვიადებული პროცენტები, მაგრამ განმტკიცდა საკოლმეურნეო მოძრაობის ნამდვილი წარმატება. როგორია ეს წარმატება? უწინარეს ყოვლისა შევეხოთ ცნობებს კოლექტივიზაციის მიმდინარეობის შესახებ ოლქების მიხედვით. აი რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ციფრი ამ ცნობების მიხედვით 20 მაისისათვის. ჩრდილოეთ კავკასიაში ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების კოლექტივიზაციის პროცენტი (ნაციონალური და მთა რაიონების ჩაუთვლელად) 60-ზე მეტს შეადგენს. უკრაინის ველებიან ზოლში და ქვემო ვოლგის მხარეში კოლექტიურად გაერთიანებულია მეურნეობათა დაახლოვებით 40 პროცენტი, ყირიმში — 42 პროცენტი, საშუალოდ კი საბჭოთა კავშირში — დაახლოვებით 25 პროცენტი. თუ ამ ცნობებს შევადარებთ იმ მდგომარეობასთან, რაც გვქონდა საკოლმეურნეო მოძრაობაში ამ ერთი წლის წინად, როდესაც 1929 წლის 1 ივნისს კოლექტიურად გაერთიანებული იყო მეურნეობათა მხოლოდ 4 პროცენტი, ცხადი გახდება, რამდენად დიდია კოლექტივიზაციის წარმატებანი განვლილ პერიოდში.

კოლექტივიზაციის წარმატებათა განსაზღვრის გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენს გაზაფხულის თესვის კამპანია. ცენტრალური კომიტეტის 5 იანვრის გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო, რომ 1930 წლის გაზაფხულზე კოლმეურნეობათა ნათესი ფართობი თვალსაჩინოდ გადააჭარბებს 30 მილიონ ჰექტარს. ფაქტები ადასტურებენ ცენტრალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილებას. გაზაფხულის ნათესის გეგმით გათვალისწინებული 93 მილიონი ჰექტარიდან 1 ივნისისათვის დათესილია 70 მილიონი ჰექტარი. ამ რაოდენობიდან 28,6 მილიონი ჰექტარი კოლმეურნეობებზე მოდის. ვინაიდან გაზაფხულის თესვის კამპანია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ კოლმეურნეობათა 3 მილიონ ჰექტარ შემოდგომის ნათესთან ერთად, კოლმეურნეობათა საერთო ნათესი ფართობი მიმდინარე თესვის კამპანიის დამლევისათვის 35 მილიონ ჰექტარზე ნაკლები არ იქნება. ამრიგად, ცენტრალური კომიტეტის ვარაუდი არათუ განხორციელდება, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდება.

თესვის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ დასკვნების გამოყვანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე შემდეგ ფაქტებს მარცვლეულ კულტურათა ძირითადი რაიონების შესახებ. გაზაფხულის კულტურათა ნათესი ჩრდილოეთ კავკასიაში, უკრაინაში, ქვემო და შუა ვოლგის მხარეებში თვალსაჩინოდ სჭარბობს გასული წლის ნათესს. წორედ ამ რაიონებში საკოლმეურნეო მოძრაობამ განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის აღნიშვნას, რომ ის ნათესი ფართობი, რაც კოლმეურნეობებში შესულ მეურნეობებზე მოდის, თვალსაჩინოდ უფრო მაღალია ინდივიდუალურ მეურნეობათა ნათეს ფართობზე. ასე, მაგალითად, მარცვლეულ კულტურათა ძირითად რაიონებში, როგორიც არის ველებიანი უკრაინა, კავკასია (ნაციონალური რაიონების ჩაუთვლელად), შუა ვოლგის მარცხენა მხარე, ქვემო ვოლგა (კალმიკის ჩაუთვლელად), ვოლგის მხარის გერმანელთა ავტონომიური ს. ს. რესპუბლიკა, ყირიმი, — კოლმეურნეობებში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი 52 პროცენტს შეადგენს, ხოლო მათ ნათეს ფართობს ამ რაიონების მთელი ნათესი ფართობის თითქმის 68 პროცენტი უჭირავს. ასეთმა შედეგმა არ შეიძლება ხელი არ შეუწყოს საკოლმეურნეო მოძრაობის თვალსაჩინოდ განმტკიცებას.

დასასრულ, თესვის კამპანიის შედეგებიდან აღვნიშნავ ორ ფაქტს: ბამბის ნათესი ფართობი, გასულ წელთან შედარებით, გაიზარდა 57 პროცენტით, ხოლო შაქრის ჭარხლის — 31 პროცენტით. ორივე შემთხვევაში ჩვენ გვაქვს დასახული გეგმის თვალსაჩინო გადაჭარბება. ამაში უთუოდ დიდი როლი ითამაშეს საბჭოთა მეურნეობებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა.

მაგრამ ზოგიერთ რაიონში (განსაკუთრებით ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში და დასავლეთ ოლქში) საჭიროა ჯერ კიდევ სერიოზული ზომები საბჭოების, კოოპერაციისა და პარტორგანიზაციების მხრივ, რათა იქაც უზრუნველყოფილ იქნას თესვის წარმატებით დამთავრება.

კოლმეურნეობათა მშენებლობის შემდგომი წარმატებების საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელობა აქვს სოფლისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანების, განსაკუთრებით ტრაქტორების მიწოდების გაძლიერებას. შემოდგომის სასოფლო - სამეურნეო კამპანიისათვის ტრაქტორების საერთო ძალოვნობა უკვე 1 მილიონ ცხენის ძალაზე მეტი იქნება. ჩვენი ქვეყნის შიგნით ტრაქტორების მშენებლობის გაძლიერებასთან დაკავშირებით, მომავალ წელს სოფლის მეურნეობაში ტრაქტორების რიცხვი თვალსაჩინოდ გადიდდება. ეს საშუალებას მოგვცემს გავაძლიეროთ კოლმეურნეობებისათვის ტრაქტორების მიწოდება და გავშალოთ სამანქანო - სატრაქტორო სადგურების უფრო ფართო ქსელი. სამანქანო - სატრაქტორო სადგურებმა მიმდინარე წელსვე (1 ივნისისათვის) დათესეს 4 მილიონ ჰექტარზე მეტი. ამით სამანქანო - სატრაქტორო სადგურებმა უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიჭირეს სოფლის მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

თესვის კამპანიის შედეგები (თუმცა ეს შედეგები ჯერ კიდევ არ არის საბოლოო), საშუალებას გვაძლევენ ეხლავე გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ ჩვენ წარმატებით ვსწყვეტთ სოფლის მეურნეობის ცენტრალურ პრობლემას — მარცვლეულ პრობლემას. სოციალისტური სექტორის სწრაფი ზრდა, საერთოდ ნათესი ფართობის გადიდება საფუძველს გვაძლევს თვალსაჩინოდ გავადიდოთ პურის დამზადების გეგმა ახალ სამეურნეო წელს. ამასთან პურის დამზადების გეგმის ნახევარზე მეტი შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების პროდუქციით. ამრიგად შევუდექით პირველი დიდი ამოცანის რეალიზაციას მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის საქმეში.

სხვა მდგომარეობაშია ამჟამად მესაქონლეობა. სწორედ ამ დარგში გვაქვს ამჟამად განსაკუთრებით დიდი სიძნელე. სოფლად კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ გაშლილი შეტევის საპასუხოდ და, განსაკუთრებით, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონების რიცხვის გადიდებასთან დაკავშირებით, კულაკი შეუდგა პირუტყვის მოსპობას. გასულ წელთან შედარებით ჩვენ გვაქვს თვალსაჩინო შემცირება მესაქონლეობის ყველა ძირითად დარგებში, რაც შესამჩნევ გავლენას ახდენს მუშებისათვის, ხორცისა და კარაქის მიწოდების საქმეზე. ეს გარემოება ერთ-ერთ პირველ ადგილზე აყენებს მესაქონლეობის პრობლემას. ამასთან დაკავშირებით მიღებულია გეგმა, რომ, მარცვლეულ კულტურების საბჭოთა მეურნეობების მაგალითის მიხედვით, ფართოდ გავშალოთ მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობები. მოეწყობა ორი ახალი უდიდესი სასოფლო-სამეურნეო ტრესტი „სკოტოვოდ“-ი და „სვინოვოდ“-ი. ხორცისა და კარაქის მიწოდების საქმეში ამჟამად არსებულ სიძნელეებიდან თავის დასაღწევად ამ ტრესტების მუშაობას და კოლმეურნეობებში მესაქონლეობის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

საკოლმეურნეო მოძრაობის წარმატების შედეგად და იმის გამო, რომ პარტია გადავიდა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე, ახალი სახით იჭრება ჩვენი ამოცანები სოფლად. ამხ. იაკოვლევის თეზისებში ნათქვამია: „ახალი სახით იჭრება ამჟამად საკითხი საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენის შესახებ სოფლად. ამიერიდან საბჭოთა კავშირის მარცვლეულ კულტურების უმნიშვნელოვანეს რაიონებში სოფელი იყოფა ორ ძირითად ნაწილად: კოლმეურნეობად, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ მკვიდრ დასაყრდენს წარმოადგენს და არაკოლმეურნე ღარიბ და საშუალო გლეხებად, რომელთაც ჯერ კიდევ არა სურთ კოლმეურნეობებში შესვლა, მაგრამ კოლმეურნეობათა მასიური გამოცდილება მათაც უთუოდ შედარებით უმოკლეს ვადაში დაარწმუნებს, რომ საჭიროა ისინიც კოლექტივიზაციის გზას დაადგნენ“.

თეზისების ეს მითითება ეხება მარცვლეულ კულტურათა უმნიშვნელოვანეს რაიონებს, სადაც ღარიბ გლეხებს შემდეგ კოლმეურნეობებში უკვე იწყო შესვლა საშუალო გლეხთა თვალსაჩინო ნაწილმაც. ამ რაიონებში უკვე ხორციელდება კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. აქ ბუნებრივია სოფლის გაყოფა ორ ძირითად ნაწილად — კოლმეურნეობებად და არაკოლმეურნე ღარიბ და საშუალო გლეხებად. ამ რაიონებში კოლმეურნეობებისათვის ბრძოლა გადაიქცა სოფლის ცხოვრების ძირითად ფაქტად. ცხადია, რომ ის, ვინც ამ ბრძოლაში არ ადგება კოლმეურნეობათა მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის გზას, ის ჯერ კიდევ არ გამხდარა საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ მკვიდრ დასაყრდენად სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ამ რაიონებში ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხებს შეუძლიათ გადაიქცენ საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ მკვიდრ დასაყრდენად, მხოლოდ კოლექტივიზაციის გზაზე გადასვლის შემდეგ. მეორეს მხრივ, აქ არა მარტო ღარიბ გლეხებს, არამედ კოლმეურნეობებში შესულ საშუალო გლეხებსაც უჭერიათ ხელისუფლება, ვინაიდან სწორედ კოლმეურნენი არიან კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის გამტარებელნი. ამრიგად, საკოლმეურნეო მოძრაობის ზრდაში მომხდარ გარდატეხასთან დაკავშირებით, ფართოვდება და მტკიცდება კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე — მუშათა კლასის სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეში შეუძლია დაეყრდნოს და უნდა დაეყრდნოს კიდეც უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეთა კადრებს.

კოლმეურნეობებისათვის ბრძოლა მოითხოვს შემდეგ თავგამოდებულ მუშაობას ინდივიდუალურ მეურნეთა შორის — ღარიბ და საშუალო გლეხთა შორის. უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი თავის დროზე ჩაებმებიან კოლმეურნეთა რიგებში და ამასთან სისტემატიური მუშაობა ღარიბ გლეხების ორგანიზაციულად დასარაზმავად, ღარიბ და საშუალო გლეხებისათვის ყოველნაირი დახმარების გაწევა სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეში დააჩქარებს მათ გადასვლას კოლექტივიზაციის გზაზე.

ამრიგად, ჩვენს სოფლად მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის განხორციელება მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მიექცეს საკოლმეურნეო მოძრაობისათვის მასობრ დახმარებას. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მეურნეობის განვითარების ამოცანა და მათი თანდათანი მომზადება კოლექტივიზაციის გზაზე გადასაყვანად. ჩვენ შემდგომშიაც უნდა გავძლიეროთ ღარიბი გლეხების და მოჯამაგირეების დარაზმვისა და საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცებისათვის. ამავე დროს ღარიბ გლეხობასთან მუშაობამ კოლმეურნეობების შიგნით არ უნდა იქნას დაშვებული ღარიბების დაპირისპირება საშუალო გლეხობისათვის. ჩვენ უნდა მივაღწიოთ გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმატების ჩატარებას. ახლავე უნდა დავიწყოთ მზადება მოსავლის აკრეფისათვის. უნდა შევუდგეთ აგრეთვე შემოდგომის თესვის კამპანიის ორგანიზაციის საქმეს. საკოლმეურნეო მშენებლობაში არსებულ სიძნელეებს ჯერ კიდევ შეუძლიათ შეიტანონ მერყეობა კოლმეურნეთა ცალკე რიგებში. მაგრამ კოლექტივიზაციასა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებაში მიღწეული შედეგები მთელი სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის მტკიცე საფუძველს წარმოადგენენ.

ახლა შევეხებით ჩვენი სამეურნეო განვითარების უმნიშვნელოვანეს შედეგებზე. ავიღოთ სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების მთელი პროდუქცია. მე-15 ყრილობიდან გასული დროის განმავლობაში აქ უდიდესი ცვლილება მოხდა. იმ დროს, როდესაც საერთო პროდუქციაში მრეწველობის ხვედრითი წონა 1926-27 წელს 41 პროც.-ს შეადგენდა, ხოლო სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა —49 პროცენტს, მიმდინარე წელს მრეწველობა შეადგენს 53 პროც.-ს, ხოლო სოფლის მეურნეობა — 47 პროც.-ს. ამრიგად, მრეწველობამ პირველად მოიპოვა უპირატესობა სახალხო მეურნეობის მთელ პროდუქციაში. უფრო მეტია ეს უპირატესობა სახაქონლო პროდუქციის დარგში: 1929-30 წლის საკონტროლო ციფრებით, მთელი მრეწველობის ხვედრითი წონა მიაღწევს 76 პროცენტს. სახალხო მეურნეობაში სოციალისტური ელემენტების როლის თვალსაზრისით ამ ციფრებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ სოფლის მეურნეობაში წელს ჩვენ სოციალისტური ელემენტების უდიდესი ზრდა გვაქვს, ამჟამა გახდება, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის პოზიციები ფართოვდება და გადაჭრით მაგრდება. უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ურთიერთობა ამიერიდან ემყარება არა მარტო მსხვილ მრეწველობას, არამედ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორსაც, რომელიც საგრძნობლად ფართოვდება და სწრაფად განაგრძობს ზრდას. მეორეს მხრით, სახალხო მეურნეობაში სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონის სწრაფი ზრდა გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ წლებში მრეწველობის განვითარება ბევრად უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე სოფლის მეურნეობის ზრდა. 1926-27 წელთან შედარებით, მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1929-30 წელს გაიზარდა 67 პროც.-ით, სოფლის მეურნეობის პროდუქცია კი გაიზარდა მარტო 6,4 პროც.-ით, მხოლოდ ახლა, კოლექტივიზაციის მიღწეულ დონის შედეგად და საბჭოთა მეურნეობების წარმატების საფუძველზე იშლება სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის გადაჭრით აჩქარების პერსპექტივები.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ზრდა უდიდეს მოთხოვნილებას უყენებს ტრანსპორტს. მაგალითად, მომავალ წელს რკინის გზების მუშაობა ტვირთების გადაზიდვის საქმეში უნდა გადიდდეს 50 პროც.-ით, წყლის ტრანსპორტში წელსვე მუშაობის გადიდებამ უნდა მიაღწიოს 67 პროც.-ს. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საკითხს იმის შესახებ, რომ პროლეტარულმა საზოგადოებრიობამ მეტი ყურადღება მიაქციოს ტრანსპორტის საჭიროებებს, ტრანსპორტის ორგანოთა დეფექტებთან ბრძოლას.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს საქონლის ბრუნვაში მომხდარი ცვლილება. საქონლის ბრუნვაში განსაზოგადოებული სექტორის წილი 1926-27 წლის 81 პრ.-დან მიმდინარე წელს 97 პრ.-მდე ავიდა. ამრიგად კერძო სექტორის როლი უმნიშვნელო დონემდე დაეცემა.

მოსახლეობის მომარაგების საქმე თითქმის მთლიანად ექვემდებარება სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოების მუშაობას. ეს სოციალისტური მშენებლობის უდიდესი მიღწევაა, მაგრამ ამასთან ერთად ეს ფაქტი მოითხოვს, რომ მუშათა კლასმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მომარაგების მოწყობის საქმეს. ამავე დროს ჩვენი კოოპერაციის აპარატი, რომლის მოვალეობაც ფართოდ გადიდდა, ფრიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება და მრავალ დარგში იგი ვერ უძლევს თავის ამოცანებს.

მუშათა მასების მომარაგების საქმეში ჯერ კიდევ დიდი ნაკლი და შეფერხებაა. ამავე დროს კოოპერაციის მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული რეალური ხელფასის გადიდება. სახუთწლედო პერიოდის განმავლობაში ჩვენ გადამწყვეტ წარმატებას მივაღწიეთ მუშებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების და სამრეწველო საქონლის მიწოდების მოგვარების საქმეში.

შეჩერდები აგრეთვე მუშათა ცხოვრების მატერიალური პირობების საკითხზე. ცნობილია, რომ საბჭოთა სახელმწიფო წლითიწლობით ადიდებს მუშათა კლასის საცხოვრებელ დონეს. ამის წყალობით უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მუშათა ხელფასი 79 პრ.-ზე მეტად გაიზარდა და აღწევს ომის წინადროინდელი რეალური ხელფასის 139 პროც.-ს, ხოლო სოციალურ დაზღვევაზე და მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საქმეზე გაწეულ ხარჯებთან ერთად, აღწევს ომის წინადროინდელი დონის 167 პრ.-ს. მიმდინარე წელს გადიდდა ფულადი ხელფასი, რამაც სამეურნეო წლის პირველ ნახევარში უკვე წლიური დავალებას მიაღწია. ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ ფაქტსაც, რომ წელს მუშის ოჯახის შემოსავალი, ჩვენს მრეწველობაში ჩაბმული მუშა-ხელის რიცხვის სწრაფი ზრდის გამო, საშუალოდ გადიდდა 15 პროცენტით.

კვალიფიციური მუშა-ხელის მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით, ხდება დაბალი ხარისხის მუშების მასიური გადასვლა საშუალო და მაღალ ხარისხებში. გარდა ამისა, საგრძნობლად იზრდება იმ მუშათა რიცხვი, რომლებიც დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში იგზავნებიან. ეს რიცხვი წარსულის წლის 546 ათასი კაციდან წელს 681 ათას კაცამდე ავიდა. მუშათა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებელი ფონდის ზრდის წყალობით, ერთ მუშაზე გადადებული თანხა წარსული წლის 33 მანეთიდან წელს 42 მანეთამდე ავიდა. წლიდან-წლობით, განსაკუთრებით მიმდინარე წელს, იზრდება იმ მუშების და მუშის შვილების რიცხვი, რომლებიც სახელმწიფო ხარჯზე უმაღლეს სასწავლებლებსა და ტეხნიკუმებში იგზავნებიან. უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე ის გარემოება, რომ კვალიფიციურ და ნახევრად კვალიფიციურ მუშათა შორის უმუშევრობას ფაქტიურად თითქმის ადგილი არა აქვს. სახელმწიფო სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავს კვალიფიციური მუშების ახალი კადრების მოსამზადებლად და ამ საქმეზე იგი დიდ თანხებს ხარჯავს. ამრიგად, მენშევიკების ლაპარაკი, მუშათა ცხოვრების მატერიალური პირობების გაუარესების შესახებ მთლიანად ბათილდება ფაქტებით.

დასასრულ, 7 საათის სამუშაო დღის შემოღება წარმატებით მიდის წინ. ამ წლის დამლევისათვის მრეწველობის მუშების 46,5 პრ. უკვე გადაყვანილი იქნება შემცირებულ სამუშაო დღეზე. ყველა ეს ფაქტები სრულიად გარკვეულად ამტკიცებენ მუშათა ცხოვრების მატერიალური პირობების გაუმჯობესებას. ამასთან ერთად სწარმოებს მუშათა კლასის კულტურული ზრდა.

სოციალისტური მშენებლობის გაშლის თვალსაზრისით, მეტად დამახასიათებელია სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა. სახელმწიფო ბიუჯეტის სწრაფი ზრდა ახასიათებს შემდეგი: პარტიის მე-15 ყრილობის წინა პერიოდთან შედარებით, ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი გადიდდა 215 პროცენტით. წარსული წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან შედარებით, წლევანდელი ბიუჯეტი დაახლოვებით გაიზრდება 50 პრ.-ით და გადააჭარბებს 12 მილიარდ მანეთს.

საბანკო-საკრედიტო სისტემის ორგანიზაციის საქმეში ჩვენ ბოლო დროს დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ. ახლა არა მარტო მთლიანად უზრუნველყოფილია მთელი საბანკო-საკრედიტო სისტემის ერთიანობა, არამედ მისი მუშაობა ნამდვილად და სრულიად ემყარება გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის ამოცანებს.

სოციალისტური მშენებლობის მიღწევები მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში, ამოცანების გაფართოება არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების საქმეში, არამედ ქალაქისა და სოფლის გეგმიანი მომარაგების მოგვარების საქმეშიაც, ყოველივე ეს მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევს საკითხს სახელმწიფო აპარატის შესახებ. ამიტომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლას პარტიის მიერ ერთი პირველი ადგილთაგანი აქვს დათმობილი.

თვითკრიტიკის ლოზუნგმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მშრომელთა ფართო მასებში. პარტიამ, მუშათა და გლეხთა ინსპექციის დახმარებით, დიდი მუშაობა ჩაატარა სახელმწიფო აპარატის წმენდის საქმეში. მუშებმა ათი ათასობით მიიღეს მონაწილეობა წმენდაში, წმენდის კომისიების ფურცლების ხაზით. შემმოწმებელ კრებებზე მონაწილეთა რიცხვმა ოთხნახევარ მილიონს მიაღწია. უცხო ელემენტების გაწმენდის შედეგად სახელმწიფო აპარატიდან განიდევნა 51 ათასი მოსამსახურე. ამავე დროს საგრძნობლად გაძლიერდა მუშების დაწინაურება. მან მასიური ხასიათი მიიღო. მიმდინარე წლის განმავლობაში დაწინაურებული იქნება სხვადასხვა დაწესებულებაში 9 ათასზე მეტი მუშა. გარდა ამისა, ხორციელდება ფაბრიკებთან და ქარხნებთან დაწესებულებათა დაკავშირების ახალი მეთოდები. მუშები და მუშა-ქალები უფრო მეტად ებმებიან სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობის ქვევიდან დაწყებული კონტროლის საქმეში. ამრიგად, მართვა-გამგეობის საქმეში მრავალი ათასი ახალი მუშა ებმება.

კლასობრივად მტრული ბიუროკრატიული და უცხო ელემენტების წმენდა ამჟამად მიმდინარეობს არა მარტო საბჭოთა აპარატში, არამედ კოოპერაციის, აგრეთვე პროფაპარატის ხაზითაც. სოციალისტური მშენებლობის ზრდასთან და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან ერთად, აგრეთვე კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეტევის გაშლასთან დაკავშირებით, ახალი სახით წარმოიშვა საკითხი სპეციალისტების კადრების შესახებ. უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა რიცხვი ჩვენში ამჟამად 300 ათასსაც კი არ აღწევს. სოციალისტური მშენებლობა ხუთწლედის დამლევისათვის უკვე მოითხოვს ამ ციფრის გაორკეცებას. ამასთან ერთად უკანასკნელ წლებში ჩვენს მრავალ ორგანოებში აღმოჩენილ იქნა კონტრრევოლუციური მავნებლობა ბურჟუაზიული სპეციალისტების ერთი ნაწილის მხრით. ორი წლის განმავლობაში მავნებლობა აღმოჩენილ იქნა მრეწველობის თითქმის ყველა დარგში, აგრეთვე ტრანსპორტში, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის და სავაჭრო დაწესებულებებში. მავნებლობა სახალხო მეურნეობაში დღეს წარმოადგენს პროლეტარულ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნათელ გამოხატულებას.

მავნებლობასთან ბრძოლას ჩვენ გადაჭრით შევუდექით. მავნებლობის ფართო გარკვევამ მეტად მწვავედ წამოაყენა ახალი პროლეტარული სპეციალისტების შექმნის პრობლემა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად პარტიამ მიიღო სხვადასხვა ღონისძიება. კერძოდ ხდება უმაღლესი სასწავლებლების სრული რეორგანიზაცია, მათი სპეციალიზაციისა და მუშაობის დასაკავშირებლად სოციალისტური მეურნეობის სათანადო დარგებთან.

კადრების მომზადების საქმეში წამოჭრილი ახალი ამოცანები წარმოადგენენ კულტურული რევოლუციის პრობლემის ერთ ნაწილს. გადაუდებელი ხდება აგრეთვე საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლების განხორციელება, განსაკუთრებით სამრეწველო დარგებში და მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში.

შემდგომისათვის ყოველმხრივ უნდა გამოვიყენოთ სოციალისტური მშენებლობისა და მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული პირობების გაუმჯობესების დარგში მოპოვებული მიღწევები. თვითკრიტიკის ლოზუნგით უნდა განვავრცოთ ბრძოლა სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიული იარების წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში უნდა ჩავაბათ მშრომელთა უფრო და უფრო ფართო მასები. კონტრ - რევოლუციონური მავნებლობის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის გაძლიერებასთან ერთად ჩვენ გადამწყვეტ გარდატეხას უნდა მივაღწიოთ წითელი სპეციალისტების და ახალი კადრების მომზადების საქმეში

პარტია და ბრძოლა ლენინური ხაზისათვის

მე-15 ყრილობის შემდეგ ჩვენი პარტია საგრძნობლად გაიზარდა რიცხობრივად და განმტკიცდა იდეურად. მის რიგებში ეხლა ირიცხება 1.840 ათასი კომუნისტი. პარტია უმთავრესად იზრდებოდა საწარმოო მუშების ხარჯზე. (77 პროც.). წარმატებით ტარდება ცხოვრებაში ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ამოცანა — პარტიის შემადგენლობაში მუშათა რიცხვი აყვანილ იქნას არა ნაკლებ 50 პროც.-მდე. მე-16 ყრილობის მოწვევისათვის ეს დავალება დაახლოვებით შესრულებული იქნება. როგორც მუშათა მასების ლენინური პარტიისადმი უდიდესი ნდობის მაჩვენებელი, უნდა დავასახელოთ მრავალი ათი კომუნისტური საამქრო, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში წარმოიშვნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში და რომელთა მუშების უმრავლესობა პარტიაში შევიდა. საფუძვლიანად შეიცვალა პარტიული ორგანიზაციის სახე სოფლად. მე-15 ყრილობის შემდეგ კოლმეურნეობათა წევრად სოფლის კომუნისტების მხოლოდ 8 პროც. ირიცხებოდა. 1930 წლის აპრილის პირველისათვის კოლმეურნეები შეადგენდნენ სოფლის პარტიული ორგანიზაციების 72 პროც.-ს.

თვითკრიტიკის ლოზუნგით პარტიამ გაშალა გადამწყვეტი ბრძოლა გადაგვარებისა და ბიუროკრატიული ელემენტებთან პარტიულ ორგანიზაციებში. ამავე დროს პარტია სისტემატიურ იბრძოდა ორ ფრონტზე — ლენინური ხაზიდან მემარჯვენე და „მემარცხენე“ გადახრების წინააღმდეგ.

მე-15 ყრილობამ ჯამი გაუკეთა ტროცკიზმთან ბრძოლას. ყრილობამ ტროცკისტული შეხედულებების პროპაგანდა შეუთავსებლად სცნო პარტიაში ყოფნასთან. ცხოვრებამ მთლიანად დაადასტურა პარტიის პოზიციის სისწორე ტროცკიზმთან ბრძოლაში.

ტროცკიზმის ძირითად იდეას წარმოადგენს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შეუძლებლობის თეორია, ე. ი. საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის უარყოფა. ამით აიხსნება ლაყბობა საბჭოთა სახელმწიფოს და ჩვენი პარტიის ტერმიდორიანული გადაგვარების შესახებ. ამ შეხედულებათა მენშევიკურ შინაარსს პარტიამ დიდი ხანია ფარდა ახადა, ხუთწლიანი გეგმის მიღწევებმა დაადასტურეს პარტიის პოზიციის სისწორე და საბოლოოდ გამოასრულეს ტროცკისტები პროლეტარულ რევოლუციის მტრების ბანაკში, კონტრრევოლუციონერების ბანაკში.

ახლანდელი ტროცკიზმის მენშევიკური შინაარსი უფრო და უფრო აშკარავდება. ტროცკისტები დაიჩემნენ იქამდე, რომ უარყოფენ პარტიის მიერ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში აღებულ სწრაფ ტემპს, სოფლად მთლიანი კოლექტივიზაციის და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკას. როგორც მენშევიზმის ნამდვილი დამქაშები, ისინი ბურჟუაზიის და სოციალიმპერიალიზმის იდეოლოგებთან ერთად, გამოდიან ბოლშევიკური პოლიტიკის „ავანტიურიზმის“ წინააღმდეგ და მომხრეებს პოულობენ მხოლოდ იმათ წრეში, ვინც მზად არის ჯილდო გაიღოს ანტისაბჭოთა მუშაობისათვის. ასეთია ტროცკიზმის დასასრული.

ჩვენს პარტიაში მე-15 ყრილობის შემდეგაც ჰქონდა ადგილი ტროცკისტული განწყობილებისადმი შემრიგებელ დამოკიდებულების ფაქტებს. ისინი გამოიხატებოდნენ საშუალო გლეხის საწინააღმდეგო გამრუდებებში. ცილისწამებებით პარტიულ რეჟიმზე იერიშის მიტანაში, ძველ ბოლშევიკურ კადრებისათვის სახელის გატეხაში და სხვ. საკმარისია გავიხსენოთ სტენის, შაცკინის და სხვების გამოსვლები, რომლებმაც შემდეგში უარჰყვეს თავიანთი შეცდომები.

საშუალო გლეხის საწინააღმდეგო გადახვევები საკოლმეურნეო მშენებლობაში მიგვითითებენ იმაზე, რომ საჭიროა შემდგომი ბრძოლა ტროცკისტულ იდეოლოგიასთან შემრიგებელ დამოკიდებულების წინააღმდეგ. პარტიული ხაზის ეს გამრუდებანი სამსახურს უწევენ მხოლოდ მემარჯვენე უკლონისტებს. მეორეს მხრივ, ამ გამრუდების სწრაფი ლიკვიდაცია მოწმობს, რომ წინად ჩატარებულმა ბრძოლამ ტროცკიზმის წინააღმდეგ განამტკიცა და გამოაწრთო პარტია, როგორც მუშათა კლასის ჭეშმარიტი ლენინური ავანგარდი.

მთავარი იერიში პარტიის ხაზის წინააღმდეგ პარტიის მე-15 ყრილობის შემდეგ გამოხატა მემარჯვენეების გამოსვლებში. იმდენად, რამდენადაც პარტიამ განავითარა შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე, რასაც არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ჩვენს ქვეყანაში, გაძლიერდა წვრილ - ბურჟუაზიული მერყეობა პარტიის ზოგიერთ ფენაში და მუშათა კლასის ძალებისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი გადახრა მისი ოპორტუნისტული იდეოლოგიით გადაიქცა მთავარ საფრთხედ პარტიაში. პარტია თავის მთავარ ამოცანას ხედავდა მუშათა კლასის ძალების მობილიზაციაში და მუშათა კლასის ხელმძღვანელობით სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასების დარაზმვაში კაპიტალისტურ ელემენტებზე იერიშის მიტანით, კაპიტალიზმის ფესვების ამოძირკვის ხელყოფით. მემარჯვენე უკლონისტების პოლიტიკა მოასწავებდა კაპიტულაციას კაპიტალისტური ელემენტების წინაშე. მას ახასიათებდა უიმედობა მუშათა კლასის ძალებისადმი, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის სიმტკიცისადმი სოფლად. ამრიგად, პარტიის ბრძოლა მემარჯვენე ელემენტებთან არსებითად იყო ბრძოლა ჩვენი ქვეყნის და, პირველ ყოვლისა, ჩვენი სოფლის განვითარების სოციალისტური გზებისათვის. მემარჯვენეებთან ბრძოლაში პარტიამ წარმატებით განავითარა შეტევა ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე. ეს წარმატება აიხსნება იმით, რომ არსებულ პირობებში პარტიის მიერ გატარებული პოლიტიკა ხელს უწყობდა მუშათა კლასის და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების რევოლუციური ძალების გაშლას, რამაც თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა სოციალისტური შეჯიბრების გაძლიერებაში ფაბრიკა-ქარხნებში, აგრეთვე სოფლად კოლექტივიზაციის წარმატებებში.

პარტიის პოლიტიკას საფუძვლად ედო გადამწყვეტი ბრძოლა სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა დასაძლევად. მემარჯვენე ელემენტები კი არსებითად მივიდნენ ამ სიძნელეებთან ბრძოლაზე უარის თქმამდე, მათ მოითხოვეს სოციალისტური იერიშის პოლიტიკის შეცვლა კაპიტალისტური ელემენტების თავისუფლად განვითარების პოლიტიკით. მემარჯვენე უკლონისტების ასეთი პოლიტიკა არა თუ არ იძლეოდა გამოსავალს სიძნელეებიდან, არამედ არსებითად ჰქმნიდა მეტ სიძნელეებს და მით იწვევდა დამარცხებულ შედეგებს სოციალიზმის მშენებლობისათვის. ეხლა ცხადია, რომ მხოლოდ პარტიის სიმტკიცემ და თანამიმდევრობამ საბჭოთა მეურნეობების განვითარებისა და საკოლმეურნეო მოძრაობისათვის ხელის შეწყობის საქმეში შექმნა წინასწარი პირობა მარცვლეულის პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის. მემარჯვენე ელემენტების გადამწყვეტი ბრძოლის გარეშე ჩვენ ვერ მივაღწევდით მთავარ ამოცანის — მარცვლეულის პრობლემის — გადაჭრას.

ამის გარეშე ჩვენ ვერ შევუდგებოდით სოფლის მეურნეობის ვერც მეორე უძნელესი პრობლემის — მესაქონლეობის აღდგენის გადაჭრას.

თუ რაოდენ საშიშროებას წარმოადგენდა მემარჯვენე გადახრა, შეიძლება წარმოიდგინოთ თუნდაც, რომ მემარჯვენე - უკლონისტურ მერყეობას თავის დროზე ადგილი ჰქონდა მოსკოვის ორგანიზაციის, ჩვენი პარტიის ამ უდიდეს ორგანიზაციის, ზედა ფენებშიაც. მემარჯვენე - უკლონისტურმა ელემენტებმა დახმარება ჰპოვეს პროფკავშირთა მოძრაობაშიაც. საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს ხელმძღვანელი ჯგუფის საგრძნობი ნაწილიც მემარჯვენე - უკლონისტურ განწყობილების გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. წარმოიშვა პროფკავშირთა აპარატის ნაწილის პარტიისათვის დაპირისპირების საფრთხე. თავისი ბელადები მემარჯვენე გადახრამ ჰპოვა ც. კ-ის შემადგენლობაში და მის პოლიტბიუროშიაც. საკმარისია მოვიყვანოთ ფაქტები, რომ ხაზი გავუსვათ მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის სერიოზულ მნიშვნელობას იმ ქვეყანაში, სადაც წვრილ - ბურჟუაზიული მასა სჭარბობს მოსახლეობაში. მემარჯვენე გადახრის გაძლიერება აუცილებლად გამოიწვევდა სოციალისტური მშენებლობის ჩაშლას. ამიტომ პარტიამ ფართოდ გაშალა ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან და მასთან შემრიგებელ დამოკიდებულებასთან.

მემარჯვენე - უკლონისტური მერყეობანი ჩვენი პარტიის ზოგიერთ ნაწილში საბოლოოდ ჯერაც არ არის აღმოფხვრილი. ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა აშკარა ოპორტუნისტული გამოლაშქრების ცდები პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ. მემარჯვენე განწყობილების ერთ-ერთი ტიპიური გამოხატულებაა ამჟამად მერყეობა იმ საკითხში, თუ რამდენად დროული [illegible] პარტიის მიერ წამოყენებული ლოზუნგი [illegible] კობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის [illegible]. ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენში [illegible] არის გარდაქმნა გლეხთა ფართო [illegible] მოკიდებულება-ში სოციალიზმი [illegible] მდგომარეობა მთლიანი [illegible] რაიონების სწრაფი ზრდის [illegible] მხოლოდ უიმედობას მოა[illegible] სადმი და ამხელ ამ მერყეობათა ანტილენინურ ბუნებას.

პარტიამ გაანადგურა ტროცკიზმი და მემარჯვენე გადახრა. მაგრამ ამით არ მოხსნილა, როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე“ ოპორტუნისტებთან ბრძოლის ამოცანა. შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე ვითარდება მთელ ხაზზე. ამასთან დაკავშირებით ადგილი აქვს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას და ეს თავის გამოხატულებას პოულობს ახალ ოპორტუნისტულ მერყეობაში, რაც ჩვენს პარტიაში ხან აქ, ხან იქ იჩენს თავს.

ბრძოლა ორ ფრონტზე, განსაკუთრებით ბრძოლა მთავარი საფრთხის — მემარჯვენე გადახრის — წინააღმდეგ ამჟამად ყველაზე უფრო აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

ამხანაგებო, მე-16 პარტიულ ყრილობას ჩვენ უახლოვდებით შემჭიდროებული რიგებით. დიდი მიღწევებით სოციალიზმის მშენებლობის საქმეში ამას ჩვენ მივაღწიეთ ბრძოლით მემარჯვენე და „მემარცხენე“ უკლონისტებთან, ანტილენინურ მერყეობებთან, შეუპოვარი მუშაობით მუშათა კლასის დასარაზმავად სოციალისტური მშენებლობისათვის.

განმტკიცდა საბჭოთა კავშირი, როგორც სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანა, როგორც საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ბაზა:

პარტიის მე-16 ყრილობა განამტკიცებს ჩვენს წარმატებებს. ხელს შეუწყობს მუშათა კლასის უფრო მეტად შემჭიდროებას ლენინური პარტიის დროშის ქვეშ.

ლენინგრადის მუშები, როგორც ყოველთვის, იქნებიან ბოლშევიკური პარტიის მოწინავე რიგებში.

გაუმარჯოს ბოლშევიკების ლენინგრადის ორგანიზაციას!

გაუმარჯოს ლენინურ პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ბოლშევიკური პარტიის მე-16 ყრილობას! (მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციად გადაიქცა).

მოსკოვი. (გადმოცემულია ტელეგრაფით).

აღვზარდოთ ახალი კადრები კოლექტივებისათვის

„კოლმეურნეობათა კადრების შექმნისათვის წარმოებულ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს ახალი კადრების დაწინაურება თვით კოლმეურნეობათა მასიდან“. (ამხ. იაკოვლევის თეზისებიდან კომ. პარტიის (ბ) XVI ყრილობისათვის)

აღვზარდოთ საკოლმეურნეო კადრები

კოლმეურნეობის შინა-ორგანიზაციული განმტკიცება უმთავრესად დამოკიდებულია სათანადო კადრების მომზადება-დაწინაურებისაგან. კოლექტივების ორგანიზაციულად გამაგრება და მათში შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების ამოცანები პირველ რიგში აყენებს საკოლმეურნეო კადრების აღზრდის საკითხს. ამას კი ჩვენი სამეურნეო და კოოპერატიული ორგანოები არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას.

შემჩნეულია, რომ უპასუხისმგებლო და უნიჭო მომუშავეებს, რომლებიც მრავალ სხვადასხვა პოსტებზე არ ამართლებენ იმედებს—გზავნიან კოლექტივების ხელმძღვანელებად. ზოგან მტკიცდება ისეთი აზრი, თითქოს კოლექტივი მეორე ხარისხოვანი ორგანიზაციაა და მისი ხელმძღვანელობა ყველას (!) შეუძლია.

ასეთ შეხედულებას გადაჭრით ბოლო უნდა მოეღოს და მიღებული უნდა იქნას ყოველგვარი ზომები კოლექტივებისათვის საჭირო მუშაკების აღსაზრდელად. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა მოხდეს თვით კოლექტივის წევრთა დაწინაურება კოლმეურნეობათა აპარატის საპასუხისმგებლო პოსტებზე. ამხ. იაკოვლევის თეზისებში, რომელიც განსახილველად წარედგინება მეთექვსმეტე პარტყრილობისათვის ნათქვამია: „კოლმეურნეობათა კადრების შექმნისათვის წარმოებულ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს ახალი კადრების დაწინაურება თვით კოლმეურნეობათა მასიდან“.

ეს მეტად რთული და სერიოზული ამოცანაა, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა შესრულდეს.

კოლმეურნეობების კადრებით უზრუნველყოფის მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ მუშებს, რომლებიც 25 ათასის ანგარიშში გაიგზავნენ კოლმეურნეობებში სამუშაოდ; საქართველოს სამრეწველო ცენტრებიდან სოფლად მუშაობისათვის გაიგზავნა 300-მდე მოწინავე კვალიფიციური მუშა; ცხადია, თუ ეს მუშები გონივრულად იქნენ განაწილებულნი და გამოყენებულნი, ისინი უდიდეს როლს ითამაშებენ კოლმეურნეობების ორგანიზაციულად განმტკიცების საქმეში.

საკოლმეურნეო კადრების საკმარისად მომზადების ამოცანას ზემოხსენებული ღონისძიებანი ვერ ამოსწურავს. გარდა ამისა, საჭიროა საკოლმეურნეო მუშაკების მასიური მოკლევადიანი გადამზადება. ამისათვის სპეციალური განზრახ უნდა მიეცეს ყველა ტიპის სასოფლო-სამეურნეო და მეორე საფეხურის სკოლებს. საჭიროა აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებთან და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან შეიქმნას მოკლევადიანი კურსები, რომლებიც სისტემატიურად მოამზადებს საკოლმეურნეო მუშაკებს. ადგილებზე მოწყობილი უნდა იქნეს აგრეთვე სპეციალური კურსები კოლმეურნეობების საქმის და ანგარიშების წარმოების რაციონალიზაციის გასატარებლად.

საკოლ. კადრების მასიური მომზადების საუკეთესო საშუალებად ითვლება საწარმოო თათბირების მუშაობა. სამწუხაროდ ჩვენს კოლექტივებთან საწარმოო თათბირები, ან სრულებით არ არსებობენ და სადაც ასეთები არის, მათი არსებობა ქაღალდს არ სცილდება.

ამ მდგომარეობის მოთმენა ყოვლად შეუძლებელია. კოლმეურნეობების და განსაკუთრებით საშუალო გლეხკაცობის მდიდარი სამეურნეო პრაქტიკის ფართოდ გამოყენება შეუძლებელია კოლექტივებში საწარმოო თათბირების გარეშე.

საწარმოო თათბირების მუშაობა კოლექტივებში უნდა გამოცოცხლდეს და ისინი (საწარ. თათბირები) უნდა გადაიქცნენ მოწინავე კოლმეურნეთა მიზანშეწონილად დაწინაურების საუკეთესო საშუალებად.

კოლექტივების ხელმძღვანელი კადრების შერჩევის დროს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს დაწინაურებული პირის კლასობრივ სიმტკიცეს. პირველ რიგში დაწინაურებული უნდა იქნენ ის კოლმეურნენი, რომლებიც კოლექტივიზაციის და კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში კლასობრივი სიმტკიცის და თავდადების მაგალითებს გვიჩვენებენ. გარდა ამისა, უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს კოლექტივების ხელმძღვანელ ორგანოებში ქალების და საშუალო გლეხების აქტიური ნაწილის წამოყენებას. ამას დღემდე ვერ აქცევს ყურადღებას და ეს აძლიერებს ქალთა მასის და საშუალო გლეხების მერყეობას საკოლმეურნეო მოძრაობაში.

პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ იქ, სადაც კოლმეურნეობები ძლიერნი იყვნენ ხელმძღვანელი კადრებით ადგილი არ ჰქონია დეზორგანიზაციას, ადვილად განმტკიცდა შრომის ორგანიზაცია და საკმარისად ალაგმეს კულაკობის მავნებლობა, პირიქით, იქ, სადაც საკოლმეურ. კადრები სუსტი აღმოჩნდნენ გაძლიერდა კულაკების კონტრ-რევოლუციონური პროპაგანდა და კოლექტივებმა ვერ მოიპოვეს ორგანიზაციული სიმტკიცე.

ეს მდგომარეობა გვავალებს სიტყვებიდან საქმეზე გადასვლას და საფუძვლიანი გარდატეხის მოხდენას საკოლმეურნეო კადრების აღზრდის საქმეში.

ზემოთ დასახელებული ღონისძიებათა პრაქტიკულად გატარება საშუალებას მოგვცემს სასურველად გადავჭრათ საკოლმეურნეო კადრების აღზრდის ურთულესი პრობლემა.

ფართხუ.

მეტი ყურადღება სამელიორაციო ამხანაგობებს

აღმოსავლეთ საქართველოში დაარსებულია 34 სამელიორაციო ამხანაგობები, ამათგან 3 ამხანაგობა უკვე დაიშალა. ამხანაგობათა დაშლის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის მდგომარეობა, რომ მომუშავე თანამშრომლებს არ ეძლევათ მტკიცე ხელფასი.

სამელიორაციო კოოპერაციის დავალებული აქვს მიწების მორწყვის საკითხი, რაზედაც დამოკიდებულია მოსავლიანობის გადიდება და სხვ; ამიტომ საჭიროა სათანადო ორგანოებმა გაუწიონ მათ შესაფერი დახმარება, წინააღმდეგ შემთხვევაში სამელიორაციო ამხანაგობები ვერ შესძლებენ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებსა და სამელიორაციო ამხანაგობებს შორის არ არის კონტაქტიური მუშაობა. თუ სამელიორაციო კოოპერაციის და ადგილობრივი ხელისუფლების შორის არ იქნება შეთანხმებული მუშაობა, შეუძლებელია ამხანაგობების ნაყოფიერი მუშაობის მიღწევა.

საჭიროა განემარტოს ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ სანამ გადაიყვანენ ან შეცვლიდენ სამელიორაციო დარგში მომუშავე ამხანაგებს წინასწარ შეუთანხმონ საკითხი, ამხანაგობების უშუალო ხელმძღვანელ ორგანოს.

მელიორაციის საქმეს საქართველოში ხელმძღვანელობენ: საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო და სოფლის კავშირი. წყალთა მეურნეობის სამმართველო იმდენათ აქცევს ყურადღებას სამელიორაციო ამხანაგობების არსებობას, რამდენათაც ჩამოყალიბებული ამხანაგობები სახელმწიფოდან ღებულობენ გრძელვადიან სესხებს. რომლებსაც ფაქტიურად ეპატრონება წყალთა მეურნეობის სამმართველო; სხვა მხრივ კი არ სჩანს მათი ხელმძღვანელობა სამელიორაციო ამხანაგობებზე.

სოფლის კავშირის სისტემაში სამელიორაციო ამხანაგობები გადმოვიდნენ 1928 წლის 15 დეკემბრიდან. ამ დღიდან სოფლის კავშირის მიერ იქმნა გამოყოფილი ერთი ინსტრუქტორი სამელიორაციო საქმეებზე, რომელიც ორგანიზაციულ საკითხში ხელმძღვანელობას უწევდა 40 სამელიორაციო ამხანაგობას, უნდა ითქვას, რომ ძნელი საქმეა 40 ამხანაგობების ხელმძღვანელობის გაწევა ერთი ინსტრუქტორის საშუალებით, ისიც მაშინ, როდესაც სამელიორაციო ამხანაგობების ამოცანების შესახებ არ არის მტკიცე დებულება და ინსტრუქცია შემუშავებული.

მიუხედავად იმისა, რომ სამელიორაციო ამხანაგობები არ იყო უზრუნველყოფილი ხელმძღვანელობის მხრივ და მათ მუშაობაში მრავალ დაბრკოლებას ჰქონდა ადგილი, — მაინც თვალსაჩინოა სამელიორაციო კოოპერაციის მიღწევები.

ამ წლის პირველ მაისისათვის სამელიორაციო ამხანაგობების წევრთა რიცხვი უდრის 23.953 კაცს. შესასვლელი და საპაიო თანხა 47.195 მან. საერთო სარწყავის ფართობი — 126.935 ჰექტარი. ასეთია დღეს სამელიორაციო ამხანაგობების მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოში.

მომავალში სამელიორაციო ამხანაგობებს უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება, საჭიროა მოხდეს ყველა ამხანაგობების გადასინჯვა, რის შემდეგ დამთავრებული არხები და ნაგებობანი აუცილებლად უნდა გადაეცეს სამელიორაციო ამხანაგობებს ამასთან დაკავშირებით გარკვეული უნდა იქნეს საქართველოს წყალთა მეურნეობის და მელ. კოოპერაციის შორის დამოკიდებულება და ფუნქციები.

მიზანშეწონილათ უნდა იქნეს ცნობილი სამელიორაციო ამხანაგობებში მცოდნე მოანგარიშეების ყოლა, რომ მომავალშიაც არ ექნეს ადგილი ანგარიშწარმოების არეულობას, რაც ადგილი აქვს დღემდის. ამრიგად თუ დროზე იქნება მიღებული ყველა საჭირო ზომები სამელიორაციო კოოპერაციის გასაჯანსაღებლად, ეჭვი არაა, რომ ის შესძლებს პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

ძ. უნგიაძე.

„ტრაქტორის დღისათვის“ არ ემზადებიან

(ოჩიგვარა, აფხაზეთი)

მიუხედავად იმისა, რომ ოჩიგვარას გაეგზავნა მასალები და ბრიგადა—„ტრაქტორის დღის“ ჩატარებისათვის, მუშაობა ჯერ არც კი დაუწყიათ.

მუშათა კომიტეტი ვერც კი არკვევს ამ საკითხში. სხვა ორგანიზაციებიც და განსაკუთრებით ოჩიგვარას საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაცია ჯერ არ ამოძრავებულა. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება ტრაქტორების რაციონალურად გამოყენების უზრუნველსაყოფად.

ახალი.

ახალი კადრები სოფლის მეურნეობისათვის

ქალაქის მსხვილი ინდუსტრიის და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად განვითარების დღევანდელი ეტაპი უდიდეს მოთხოვნილებებს უყენებს მუშათა კლასს და გლეხობას. კერძოთ სოფლის მეურნეობის განვითარების არსებული დონე და მისი შემდგომი ზრდა განათლებისა და სამეურნეო ორგანოების წინაშე აქტუალურათ სვამს საკითხს სოფლის მეურნეობისათვის მუშაკების მოსამზადებლად. აგრონომები, რომლებიც დღეს ჩვენ გვყავს წვეთია ზღვაში იმ უდიდეს საქმეთა შესასრულებლად, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან. სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აგრონომების არსებულ კადრებს არ ძალუძს.

თბილისის სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტი რიცხობრივად აგრონომების მცირე კადრს იძლევა. მიუხედავად ამისა, ბევრ შემთხვევაში, მრავალი კურსდამთავრებული გამოუყენებელია: ხშირად შეხვდებით აგრონომებს თბილისის შრომის სკოლების ტანვარჯიშის და ჯგუფის მასწავლებლად. ეს მაშინ, როცა სახელმწიფო ათეულ თანხებს ხარჯავს სპეციალურ სასწავლებლებზე და სპეციალისტების მომზადებაზე; შეუწყნარებელი დანაშაულია სპეციალისტების არა მიზანშეწონილი გამოყენება.

განათლების ორგანოების დახმარებით უნდა ვაიძულოთ კურსდამთავრებული აგრონომები დატოვონ შრომის სკოლების ტანვარჯიშის და ჯგუფების მასწავლებლობა. და გამგზავრებულ იქნენ მაზრებში. სასოფლო მეურნეობის წევრთა წრიდან გამოსული ახალგაზრდობა, თვით უნდა გამოეხმაუროს მის სოფლად მუშაობისათვის გამოყენებას.

მეორე საკითხია ახალი კადრების მომზადება. აქ საქმე გვაქვს მომავალ სპეციალისტებთან. მომავალში საჭირო იქნება რამოდენიმეთ შეცვლილ იქნას სას.-სამეურნეო ინსტიტუტში მიღების წესი. არ არის საკმარისი სტუდენტების კონტრაქტაციით დაინტერესება. დღევანდელ პირობებში ახალგაზრდობა გატაცებულია სწავლის სურვილით და, თუ კი მას მატერიალურად უზრუნველყოფთ, დიდის ხალისით ეგებება ამ გარემოებას. ჩვენი სოფელი და მისი მეურნეობა სულ სხვა პირობებს აყენებს. სოფლის მეურნეობისათვის საჭიროა სათანადოთ მომზადებული სპეცი, რომელიც მთელს თავის ცოდნასა და ენერგიას სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას მოახმარს. ამისათვის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი მომავალ სასწავლო წლიდანვე უნდა გადაიქცეს ისეთ ქარხნად, სადაც მომზადებული იქნება მოჯამაგირეების, ღარიბ გლეხების და კოლმეურნეობის წევრთა წრიდან გამოსული ახალგაზრდობა.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს. არსებული სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმები ერთგვარ დიფერენციაციას მოითხოვენ. ტეხნიკუმების კურსდამთავრებული ახალგაზრდობა უშუალოთ უნდა ჩაებას ჩვენი სოფლის მრავალფეროვან მეურნეობაში. საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტები სოფლის მეურნეობისათვის უნდა წარმოადგენდენ ნამდვილ პრაქტიკულ მომუშავეებს და არა ზოგად აგრონომიულ ცოდნით აღჭურვილ პირებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობა გადაუდებელ ამოცანად აყენებს ჩვენს წინაშე საკითხს პრაქტიკულ მომუშავეების კადრის შექმნის შესახებ თუნდაც მოკლევადიანი გადასამზადებელი კურსების საშუალებით.

სოფლის მეურნეობისათვის საკმაო კადრის მომზადება პროლეტარულ სახელმწიფოს მტკიცე დასაყრდენს მისცემს გლეხობაში და დააჩქარებს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეს.

ვ. ფანცულაია.

თბილისის ოლქში დამთავრდა თესვა

თესვის კამპანია წარმატებით იქნა ჩატარებული

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე თბილისის ოლქში თესვის კამპანიის შედეგების შესახებ მოისმინა ამხ. გორდელაძის მოხსენება.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ხორბლეული მიმდინარე წელს გაზაფხულზე თბილისის ოლქში გეგმით უნდა დათესილიყო 46.055 ჰექტარზე, უკვე დათესილია — 48.622 ჰექტარი. თუ ამას მივუმატებთ ხევის რაიონს და დუშეთის მთაგორიან ადგილებს, სადაც კლიმატიური პირობების გამო თესვა ეხლა სწარმოებს, დათესილი ფართობი გაცილებით იმაზე მეტი იქნება, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, რაც ამჟამად დათესილია. ამჟამად დათესილ ფართობიდან ხორბლის ნათესებს უჭირავს 15,768 ჰექტარი, ქერს — 18.839, სიმინდს — 10.227, ჭვავს და შვრიას — 352 და სხვა კულტურებს — 3.506 ჰექტარი. ხორბლეულის თესვის გეგმა განსაკუთრებით დიდი გადაჭარბებით შეასრულა თბილისის რაიონმა 1223 პროც. გეგმა ვერ შეასრულა მხოლოდ ახალქალაქის რაიონმა (72,4 პროც.).

იმავე მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სოიის 200 ჰექტარის ნაცვლად დაითესა 101 ჰექტარი, რაც აიხსნება თესლის უქონლობით.

სოიას თესვა გათვალისწინებული იყო 20 ჰექტარზე, ნამდვილად კი დაითესა 48 ჰექტარზე, ანუ გეგმა შესრულებული იქნა 204 პროც. აგრეთვე გადაჭარბებით იქნა შესრულებული კენაფის გაშენების გეგმა; კენაფი უნდა დათესილიყო 200 ჰექტარზე, დაითესა კი 217 ჰექტ. (108,5 პროც.).

მზესუმზირას თესვის გეგმა შესრულებული იქნა 86,2 პროც. მზესუმზირა უმთავრესად დაითესა გარე-კახეთის რაიონში.

სხვადასხვა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ბამბის პლანტაციების გაშენების გეგმა ვერ იქნა მთლიანად შესრულებული. ბამბის დათესვა გეგმით გათვალისწინებული იყო 11.477 ჰექტარზე, დაითესა კი — 10.477 ჰექტარზე ანუ გეგმა შესრულებულ იქნა 91,5 პროც.

ლობიო დათესილი იქნა გეგმის გადაჭარბებით. ნაცვლად 600 ჰექტარისა, ლობიო დაითესა 1.044 ჰექტარზე. ბოსტნები არე 1499 ჰექტარამდის გაფართოებული იქნა 1.989 ჰექტარამდე.

ცუდათ იქნა შესრულებული საკვებ ბალახების თესვის გეგმა. საკვებ ბალახების მცირე რაოდენობით დათესვა უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ თესლი მიღებულ იქნა საკმაო რაოდენობით. წელს განზრახული იყო საკვები ბალახები უმთავრესად გაშენებულიყო წალკის რაიონში. და მიღებულ თესლის დიდი ნაწილი გადაეგზავნა აღნიშნულ რაიონს, რომელმაც დავალების შესრულება ვერ შესძლო.

ვერც ხეხილის ბაღების გაშენების გეგმა იქნა შესრულებული. ხეხილის ბაღები 86 ჰექტარის ნაცვლად გაშენდა მხოლოდ 11 ჰექტარზე, ხოლო ახალი ვენახი 50 ჰექტარის ნაცვლად — 30 ჰექტარზე. (ამაში არ შედის საბჭოთა მეურნეობების მიერ გაშენებული ვენახები). ბრინჯის დათესვა წელს არ იყო გათვალისწინებული, მიუხედავად ამისა, ბრინჯი დაითესა 9 ჰექტარზე.

თესლი თითქმის მთლიანად იქნა გარკვეული და შეწამლული. აგრეთვე ჩატარებული იქნა სხვა აგროკულტურული ღონისძიებანი მოსავლიანობის ასაწევად.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა ოლქში ჩატარებული გაზაფხულის თესვის კამპანია დამაკმაყოფილებლად სცნო.

ი.

მზადება მოსავლის ასაკრეფად

მანქანების ახალი პარტია

მოსავლის წარმატებით ასაკრებად „სოფლის კავშირმა“ დამატებით მიიღო და რაიონებს განაწილა 199 სათიბი, 200 ძნის საკონავი, 19 კევრი, 33.000 ცელი და სხვ. აღნიშნული იარაღ-მანქანები პირველ რიგში მიეცემათ კოლექტივებს.

კვალიფიციური მუშა-ხელი

მოსავლის ასაკრებ კამპანიის კვალიფიციურ მუშა-ხელით უზრუნველყოფის მიზნით, შრომის კომისარიატი შეუდგა საჭირო კადრების მომზადებას. სოფლად მოსავლის ასაკრებად გაიგზავნება შრ. ბირჟაში აღრიცხული უმუშევრები და სეზონური მუშები, რომელთა მოსამზადებლად იქნება სპეციალური კურსები.

ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

(ჩვენი საქ. კორესპონდენტებისა და ა.-კ. დეპეშ. სააგენტოსაგან)

საბჭოთა მეურნეობა „ილიჩ“-ის გამოკვლევა

სოხუმი, 12 ივნისი. სპეციალურმა კომისიამ დაამთავრა აფხაზეთის უდიდესი საბჭოთა მეურნეობის „ილიჩ“-ის გამოკვლევა სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დავალებათა შესრულების მხრივ. გამოკვლევამ გამოარკვია, რომ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრების შედეგად, რომელიც მეურნეობის ყველა დარგებს მოედო, კამპანიის საერთო გეგმა შესრულებულია 27 პროცენტის გადაჭარბებით.

გეგმა 88 პროცენტით შეუსრულებელია ახალი ატმების დარგვაში, რაც დასარგავი მასალის უქონლობით აიხსნება. (ადს).

კოლმეურნეობები აფხაზეთში

სოხუმი, 12 ივნისი. უკანასკნელ ხანებში კოლმეურნეობებიდან გასვლის შემთხვევები შეწყდა. დარჩენილმა კოლმეურნეებმა გაშალეს მუშაობა დაჩქარებით ტემპით. გაცდენილი დრო ნაზღაურდება. კოლმეურნეობების უმრავლესობაში თამბაქოს დარგვა 50 პროცენტით ჩატარდა. (ადს).

თამბაქოს დარგვა

სოხუმი, 12 ივნისი. თამბაქოს დარგვა ყველგან გაძლიერდა. მთელი დაკონტრაქტებული ფართობის 50 პროცენტი უკვე დარგულია. ზოგიერთ რაიონებში გლეხები აჭარბებენ საკონტრაქტაციო ციფრებს. იმათ მიმართ ვინც სისტემატიურად არ რგავს თამბაქოს პლანტატორები საჩვენებელ პროცესებს მოითხოვენ. პლანტაციებზე მავნებლები გაჩნდნენ. მიღებულია ზომები. დარგვის მოთავება მოსალოდნელია ივნისის დასასრულს. ამინდი ხელს უწყობს მუშაობას (ადს).

ჩაისა და ლუფის თესვა

სოხუმი, 12 ივნისი. გალის მაზარში ჩაისა და ლუფის თესვის გეგმა 100 პროცენტით არის შესრულებული. (ადს).

წყალდიდობა მდ. კოდორზე

სოხუმი, 12 ივნისი. მდ. კოდორზე დაწყებული წყალდიდობა ემუქრება „კოდორსტროი“-ს ტერიტორიას და გლეხურ მეურნეობებს. მიღებულია სათანადო ზომები (ადს).

განკულაკების მახინჯი მხარეები

გორი, 12 ივნისი. (საქ. კორ.) ირკვევა, რომ განკულაკებულთა სიაში მოყვნენ ისეთი საშუალო გლეხებიც, რომელთაც არას დროს არ ჰქონიათ კულაკური მეურნეობის ნიშნები. მაგ. სოფ. მოყამბში ვინმე გამხიტაშვილი განკულაკებულია იმის გამო, რომ მან ერთხელ იყიდა ორი ღორი დაჰკლა და შემდეგ ისევ გაყიდა, სახლში არიან 17 სული. დაქირავებულ შრომას არამც თუ იყენებენ, არამედ თითონ არის დაქირავებული. ქვ. გომში განკულაკებულია მცხოვ. ვინმე ამეწვაშვილი. ომის 75 პროც. ინვალიდი, განკულაკებული იყო ამ ნიშნით, რომ თითქოს ის ვაჭრობდა, მაშინ როდესაც იგი თითონ იყო დაქირავებული 35 მანეთად თვეში ვაჭრებთან. ამ ნიადაგზე მას ეწერა ინდივ. გადასახადი. სოფ. მეჯვრისხევში განკულაკეს „პეპიკი“ გოგიაშვილი იმის გამო, რომ სოფელში ის ხშირათ თვრებოდა და ხულიგნობდა. სოფ. ტინისხიდში 6 განკულაკებიდან კულაკის ნიშნები აღმოაჩნდა მხოლოდ 2 და 4 კი საშუალო გლეხი აღმოჩნდა.

ამჟამად ოლქში მუშაობს განსაკუთრებული კომისია, რომელიც ადგილზე მისვლით არკვევს და ასწორებს ამ შეცდომებს.

მზადება მოსავლის აკრეფისათვის

გორი, 12 ივნისი. (საქ. კორ.) ოლქაღმასკომმა სოფლებში მიავლინა სალეწი მანქანების შემკეთებელი მექანიკოსები. სულ ოლქში, 11 სალეწი მანქანა, რომლიდან შესაკეთებელია 3 მანქანა. 7 მანქანა მიღებული აქვს აგარის სადგურს წელს. სწარმოებს სახიფათო მისასვლელი გზების შეკეთება მანქანების ერთი სოფლიდან მეორეში გადასატანათ.

კულაკები აშინებენ გლეხობას

გორი, 12 ივნისი. (საქ. კორ.) სოფ. დოღლაურში ღარიბი და საშუალო გლეხობა მოითხოვს არტელის ჩამოყალიბებას, მაგრამ კულაკები და მათ გავლენის ქვეშ მყოფი პირები აშინებენ მათ და ემუქრებიან სიკვდილით. მაგ. ისინი ღამ-ღამეობით მიდიან საბჭოს წევრების სახლებში და ემუქრებიან, რომ არ გაბედონ არტელის დაარსების მოთხოვნა. ერთი ერთ ღარიბთა კრებაზე საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ თუ მთავრობა არ დაგვეხმარება ისე ჩვენ მიზანს ვერ მივაღწევთ, რადგანაც გვემუქრებიან ხულიგნური ელემენტები.

მთელი სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხობა მოითხოვს ამ სოფელში სასოფლო საბჭოს დაარსებას და სოფლის საბჭოდან გამოყოფას. ოლქაღმასკომმა დააკმაყოფილა მათი თხოვნა და სოფ. დოღლაურში დაარსდა სასოფლო საბჭო.

დაიწყო ნაადრევი ანეულის ხვნა

გორი, 12 ივნისი. (საქ. კორ.) კოლმეურნეობები და აგარის სამანქანო სადგური უკვე შეუდგა ნაადრევი ანეულების მოხვნას მარტო ტრაქტორებით მოხნული იქნება ნაადრევი ანეული 263680 ჰექტარი.

შემოდგომიდან ჩვენს ოლქში იმუშავებს აბაშის სატრაქტორო სადგურის 86 ტრაქტორი, რომელმაც გეგმით უნდა მოხნას 5400 ჰექტარი და მძრალათ 4718 ჰექტარი, შემოდგომის ცენტრის გეგმით შემოდგომაზე მიიღებს 50 ტრაქტორს, რომელიც შემოდგომაზე მოხნავს მარტო 20 დღის განმავლობაში 2000 ჰექტარს. სულ ოლქში ტრაქტორებით მოიხვნება 17,442 ჰექტარი. აქედან ნაადრევი ანეული 3630 ჰექტარი ნაგვიანები ანეული 9,100 ჰექტარი და მძრალათ 4712 ჰექტარი. შემოდგომის ნათესებისათვის ტრაქტორებით მოიხვნება 12.730 ჰექტარი ანუ დასათეს ფართობის 26,6 პროც., ხოლო გაზაფხულისათვის კი 4712 ჰექტარი ანუ გაზაფხულის ნათესების 10 პროც.

გუთნეულით მოხნული იქნება ნაადრევი ანეული 5370 ჰექტარი, ნაგვიანები ანეული 29.600 ჰექტარი და მძრალათ 14890 ჰექტარი. ამრიგად ტრაქტორებით და გუთნეულით მოხნული იქნება ნაადრევი ანეული 9000 ჰექტარი. ნაგვიანები ანეული 38.700 ჰექტარი და მძრალათ 19.000. ამ მუშაობასთან დაკავშირებით სწარმოებს იარაღ-მანქანების გეგმიანი შემოწმება.

შაქრის ქარხნის აღშენებლობა დაიწყება წელს

გორი, 12 ივნისი. (საქ. კორ.) აგარის შაქრის ქარხნის ასაგებათ წინასწარი მუშაობა უკვე დამთავრებულია. მოეწყო 3.200 ჰექტარი მიწა ჭარხლის საბჭოთა მამულის გასაშენებლად. სწარმოებს სააღმშენებლო მასალის ადგილზე მოტანა. ხე-ტყის მასალის დიდი რაოდენობა მიღებულია რუსეთიდან. აგურის და კირის დამზადება ადგილობრივ სწარმოებს. გახსნილია კრედიტი მუშაობის დასაწყებად ნახევარი მილიონი მანეთი.

ჭარხლის კულტურის ნათესებს წელს საუკეთესო პირი უჩანს. თუ საშუალო მოსავალი ჭარხლისა ერთ ჰექტარზე 700-800 ფ. უდრის წელს მოსავალი იძლევა გარანტიას, რომ ერთ ჰექტარიდან მიღებული იქნება 1000-1200 ფუთამდე ჭარხალი.

მოსავალს საუკეთესო პირი უჩანს

გორი, 12 ივნისი. (საქ. კორ.) როგორც შემოდგომის აგრეთვე გაზაფხულის ნათესებს მთელ ოლქში კარგი პირი უჩანს გარდა ტირიფონის ველისა, სადაც ნაწილობრივ დაზიანდა უკანასკნელ ხანებში სიცივეების გამო ნათესები. საოლქო საექსპერტო კომისიამ შეაფასა ნათესების ხარისხი მეურნეობის ყველა დარგში საშუალოთ 3,8 ნიშნის მიხედვით.

შეცდომის გასწორება

ამხ. ფ. მახარაძის საბოლოო სიტყვაში (საქ. კომპარტიის (ბ) მე-7 ყრილობაზე), რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა, გაიპარა შემდეგი შეცდომა: მეოთხე სვეტის მე-55-ე სტრიქონში ზევიდან სწერია: „რასაკვირველია, კოლმეურნეობებში არის თანასწორობა, მაგრამ ზოგს გონია“..., უნდა იყოს: „რასაკვირველია, კოლმეურნეობებში თანასწორობა არაა; ზოგს გონია, კოლმეურნეობა—ეს სოციალიზმია“.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

უგეგმო მუშაობა

(გურჯაანი)

ცნობილია, რომ ყოფილ სიღნაღ-თელავის მაზრების ერთ ოლქად გაერთიანების შემდეგ ზემოის ახალ ადმინისტრატიულ ერთეულის ცენტრად აღიარებულ იქნა ს. გურჯაანი, რომელიც წარმოადგენს ოლქის გეოგრაფიულ ცენტრს, ეკონომიურად ძლიერ სოფელს და რკინის გზის ცენტრალურ კვანძს.

ცხადია, ახალ ცენტრის შექმნამ გურჯაანში გამოიწვია ახალი მშენებლობა დიდი მაშტაბით. საჭირო იყო ამ მშენებლობისათვის გეგმიან მიმართულების მიცემა, რათა მომავალი ქალაქი ნამდვილ სოციალისტურ ყოფა-ცხოვრების მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს, რათა ქალაქის და სოფლის შორის მჭიდრო კავშირი პრაქტიკულ განხორციელებას ჰპოვებდეს სოფლის და ქალაქის შორის არსებულ მიჯნების გაუქმებით და ქალაქის და სოფლის მშრომელ მასების ახალ ყოფა-ცხოვრების პირობების შექმნით.

სწორედ გურჯაანის მაგალითზე ჩვენ შეგვეძლო სოციალისტურ ქალაქების პრობლემის პრაქტიკული გადაჭრა.

მაგრამ სინამდვილეში გურჯაანის ქალაქის ახალ მშენებლობას სრულიად არ ახასიათებს რაიმე გარკვეული გეგმიანობა ამ მხრივ.

ქალაქის გასაშენებლად სათანადო ადგილმდებარეობის ამოსარჩევად ამ ორი წლის წინად რამდენიმე კომისია მივლინა გურჯაანს. ეს კომისიები, საუკეთესო სპეციალისტებისაგან შემდგარი, არკვევდნენ მომავალ ქალაქის გაშენებისათვის ყველა პირობებს, მდებარეობებს, ჰავას, მიწის წიაღთა გეგლენის, ტოპოგრაფიას, მომავალ ქალაქის ზრდის მიმართულებას და სხვა მრავალ სპეციალურ საკითხებს. კომისიების დასკვნები და პროექტები უკვე დიდი ხანია წარმოდგენილია სათანადო უმაღლეს ორგანოებში. მაგრამ დღემდე არ არის გადაწყვეტილი გურჯაანის მომავალ ქალაქის მშენებლობის ადგილ-მდებარეობა. ამას გარდა, არ არის შესწავლილი და დეტალურად დამუშავებული გურჯაანის სოციალისტური ქალაქის მშენებლობის საკითხები.

პრაქტიკული შედეგები ასეთი გაურკვევლობისა, დღეს უკვე ნათელია ყველასათვის, ვინც თვალს გადაავლებს გურჯაანში ამჟამად წარმოებულ ახალ-მშენებლობათა მსვლელობას.

მთავარი, რაც პირველ რიგში აღსანიშნავი, ეს არის ის, რომ ქალაქი შენდება ქალაქის ტერიტორიის დაუგეგმავად. ის დიდი, ძეტად რთული შენობები ყველა უწყებათა დაწესებულებების მოსათავსებლად, რომელთა მშენებლობა უკვე დაწყებულია,—გარდა იმისა, რომ სრულიად არ ეთანხმებიან სოციალისტური ტიპის ქალაქის მშენებლობის პრინციპებს,—საერთოდ შენდებიან მთლიანად ქალაქის ტერიტორიის დაუგეგმავად. ეს იწვევს შენობების დაქსაქსულობას, ტეხნიკურ, ჰიგიენურ, კულტურულ და ყოფა-ცხოვრების პირობების შეუსრულებლობას.

ამჟამად გურჯაანში შენდება 11 შენობა: დიდი შენობა საოლქო აღმასკომისა 96 ოთახით, სადაც უნდა მოთავსდეს ოლქის ცენტრის ის დაწესებულებები, რომლებიც ექვემდებარებიან საოლქო აღმასკომს. შენობა, წინასწარ ცნობების მიხედვით, ჯდება 318.000 მანეთი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკვე მიმდინარეობს საალმშენებლო სეზონი, ხოლო ამ შენობის საბოლოო გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა ჯერაც არ არის განხილულ-დამტკიცებული სათანადო ორგანოების მიერ. წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა კი—უკვე დაწყებულია.

ამას გარდა, შენდება სახელმწიფო ბანკის საოლქო კანტორის შენობა, რომლის ღირებულება ხარჯთ-აღრიცხვით ნაგარაუდევია 96.000 მან.

შემდეგ საოლქო-სატყეოს შენობა—38.000 მან. ღირებულებით; ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო კანტორის შენობა 108.000 მან. ღირებულებით; კოოპერაციის—120.000 მან., სამი საბინაო შენობა—140.000 მან., საბჭოთა აფთიაქის შენობა—25.000 მან.; სამხედრო კომისარიატის—60.000 მან., ახტალის კურორტის დაახლოვებით 100.000 მანეთამდე.

სულ ამგვარად მიმდინარე სეზონში შენდება ჯერ-ჯერობით 11 შენობა. ხარჯთ-აღრიცხვების მიხედვით ამ შენობების მთელი ღირებულება შეადგენს 1 მილიონ მანეთამდე.

გურჯაანის მშენებლობის ეს ზოგადი მიმოხილვაც კი საკმარისია იმისთვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა და ძალების დაჭიმვაა საჭირო მშენებელ ორგანიზაციების მხრივ, რომ გადალახულ იქნას ყველა ის სიძნელენი, რაც ასეთ ფართო და კაპიტალურ მშენებლობას თან სდევს.

უდიდესი ამოცანა—ეს საალმშენებლო მასალის მომარაგებაა, დღეს მშენებლობის თანხებით და მუშა ხელით უზრუნველყოფას და სხვ. იმდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც საალმშენებლო მასალის მომარაგებას.

გურჯაანის სინამდვილეში დაბრკოლება საალმშენებლო მასალის მხრით, მეტად თვალსაჩინოა. საალმშენებლო სეზონი გაშლილია, მაგრამ ამ მშენებლობისათვის საჭირო მასალის 50 პროც. კი არ არის ჯერ მომარაგებული.

ამას გარდა საალმშენებლო ორგანოების მოქმედებაში შეჩნეულია დიდი უსისტემობა. ასე, მაგალითად, სხვადასხვა უწყებების მიერ წარმოებული მშენებლობა არ არის ურთიერთ შორის შეთანხმებული, რაც იწვევს მშენებლობაში ერთგვარ დაბნეულობას, ზედმეტ ხარჯების გაწევას, უგეგმობას და სხვა. ერთი და იმავე ტერიტორიაზე, რომლის ფართობი სულ 10-12 ჰექტარს შეადგენს, შენდება 12-13 დიდი შენობა და ყველა ამ შენობებისათვის კი —ცალკე დამხმარე შენობები—საწყობებისა და მუშათა ბინებისათვის, მაშინ, როდესაც შეიძლებოდა აგებულიყო ერთი დამხმარე შენობა ყველა მშენებლობისათვის. საალმშენებლო მასალის კრიზისის დროს მასალის ასე გაბნევა მარტოოდენ უსისტემობას და დაბნეულობას უნდა მიეწეროს.

ვერ არის სრულიად მოწესრიგებული მშენებლობის ტეხნიკურ ხელმძღვანელობის საკითხიც. ასეთ დიდ მშენებლობას არა ჰყავს სათანადო ტეხნიკური პერსონალი და, რაც მთავარია, ქალაქი შენდება უინჟინროდ. დღემდე სათანადო ორგანოებმა ვერ შესძლეს ერთი მუდმივი ინჟინრის მოწვევა, ალბად,/ „მომჭირნეობის“ მოსაზრებით, მაშინ,როდესაც უსისტემობის შედეგად მრავალი ზარალი მოსდის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებს შედეგი ასეთი „მომჭირნეობისა“ თვალწინ გვაქვს. წარსულ სეზონში აგებული ოთხი საბინაო შენობა (60 ოთახიანი), რომლის ღირებულება 200.000 მან. აღემატება, საალმშენებლო უმწეობის და უგეგმობის თვალსაჩინო სურათს წარმოადგენს. ამ შენობების განაწილებას და ქუჩების გაყვანას ქალაქის სახეობა არ ახასიათებს.

მიმდინარე სეზონში კი, როგორც ნათქვამი იყო, მთელი მშენებლობა, რომლის საერთო ღირებულება, როგორც ნათქვამი იყო საშუალოდ ერთ მილიონ მანეთს აღემატება, სწარმოებს უმაღლეს კვალიფიკაციის ტეხნიკურ პერსონალის ხელმძღვანელობის გარეშე.

ცხადია, ასეთ პირობებში ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მომავალი ქალაქი სოციალისტურ ტიპის ქალაქის სახეობას ატარებდეს, ყოველ შემთხვევაში ამ ფრიად დიდ საკითხზე ჯერ არავის უზრუნვია.

საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს მთლიანი გარდატეხა გურჯაანის ახალი ქალაქის მშენებლობის და ამ მშენებლობის ხელმძღვანელობის სისტემაში. საჭიროა ახალი, სოციალისტური ქალაქის მშენებლობის პრაქტიკულ განხორციელების საკითხები, კერძოდ, გურჯაანის მშენებლობის საკითხი,—ჩვენი მუშაობის ერთ -ერთ მთავარ ამოცანად გადაიქცეს.

ლიბანელი.

ყოფილი გამგეების სკოლა

(თბილისი)

ხძ. მე-5 შრომის სკოლის შენობა შედგება სულ 23 დიდ და პატარა ოთახისაგან. აქედან სკოლას უჭირავს 12 ოთახი, ხოლო დანარჩენი სკოლის ყოფილ გამგეებს. სკოლა აერთიანებს 500-მდე მოწაფეს, არსებობს 14 ჯგუფი, პიონერ-კოლექტივი, ა. ლ. კ. კ. უჯრედი და სხვა მრავალი ნებაყოფლობითი ორგანიზაცია (ავიაქიმი, რემედისი, სასკოლო კოოპერატივი, სხვადასხვა წრეები). ყველა ესენი უბინაობით ძალიან შევიწროებული არიან, რის გამო პედ-პერსონალს არა აქვს საშუალება მოწაფეებთან ერთად გაშალოს ფართო საზოგადოებრივი და პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

ვინ არის ეს ხალხი, რომელიც სკოლის შენობას სანახევროდ დაპატრონებია? 1. ყოფილი გამგე კლიმიაშვილი; მას უჭირავს 3 ოთახი და სამზარეულო. 2. ყოფილი გამგე მ. გოგინეიშვილი, რომელიც მოხსნილ იქნა თავის თანამდებობიდან და ამჟამად გამგის მოადგილედ ითვლება; მას უჭირავს 3 ოთახი, სადაც მხოლოდ 2 სული ცხოვრობს, 3. გ. სოსელია, —უჭირავს ერთი ოთახი (ამხ. სოსელია რატომღაც სკოლის შენობაში იქნა ჩასახლებული განათ. განყ. მიერ). 4. ყოფ. სახლის მესაკუთრე ო. ყაჯრიშვილი,—უკავია ორი ოთახი. 5. გ. მოსიძეა,—უჭირავს ერთი ოთახი; კანონით მას, როგორც სკოლის მეეზოვეს, ბინა ეკუთვნის.

საკითხავია — ეს სკოლა შეასრულებს თუ არა ასეთ პირობებში თავის დანიშნულებას? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვერა. ის უთავბოლობა, რომელსაც განათ. განყ. უშვებდა წინად და ყოფილ გამგეებს და სხვებს ასახლებდა სკოლის შენობაში, დღეს ჩვენი სკოლის მუშაობას დიდად აფერხებს. ოთახი არ აქვს პიონერკოლექტივს, რომელიც 150 პიონერს აერთიანებს. სამუშაო ადგილი არა აქვს ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს. ასეთ პირობებშია სკოლის კანცელარია, მოწ. თვითორგანიზაცია და მრავალრიცხოვანი ნებაყოფლობითი ორგანიზაციები.

ამას წინად კომკავშირის ქალაქის რაიკომმა გამოგზავნა კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია მდგომარეობა და პიონერ-კოლექტივისათვის აღმოეჩინა ოთახი. ოთახების დათვალიერების დროს, კომისიის ერთ-ერთმა წევრმა შემთხვევით შეხედა ყოფ. გამგის მ. გოგინეიშვილის ოთახში. გოგინეიშვილმა ამის გამო ეწვა აიღო ახალ გამგეზე და რამოდენიმე კვირა განზე იდგა.

სკოლამ რამოდენიმეჯერ დასვა საბინაო საქმის მოწესრიგების საკითხი, მაგრამ უშედეგოდ. მთელი მოწაფეობა და პედ-პერსონალი უბინაობის გამო, როგორც ვსთქვით, საზოგადოებრივ მუშაობას მოწყვეტილი არიან. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება და ყოფილი „გამგეები“ გაყვანილ იქნენ სკოლის შენობიდან. ყოფილი გამგეები ერთმანეთს ეჭიდებიან, რაც იჭრება სკოლის ცხოვრებაშიც და ცუდ გავლენას ახდენს მოწავლე ახალგაზრდობაზე. საჭიროა სკოლას მიეცეს ის შენობა მაინც, რომელიც კანონით მას ეკუთვნის.

კავალერისტი.

ადგილობრივი ორგანიზაციები საჭირო ყურადღებას არ იჩენენ საბჭოთა აპარატის წმენდისადმი

დავრაზმოთ მშრომელი მასები აპარატის წმენდის ირგვლივ

დაუნდობლად გავაძევოთ საბჭოთა დაწესებულებებიდან მავნე ელემენტები

როგორ შეიქმნა ასეთი შტატი

(ს. მესტია, ზემო-სვანეთი)

სვანეთის მაზრაღმასკომის კომუნალური განყოფილების გამგედ არის **ილია ფალიანი.** იგი ცნობილია, როგორც აშკარა ანტისაბჭოთა ელემენტი, ყაჩაღი და შანტაჟისტი.

ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს ის დახვდა ქუთაისიდან მიმავალ ქვემო სვანებს, წაართვა გაყიდული ყველის ფული, რომელიც მათ ბევრის გადასახდელად უნდოდათ. ბეგრის შეუტანლობის გამო ხელისუფლებამ გლეხებს აუწერა სახლკარი, ხოლო ფალიანი ტყეში დასეირნობდა. 1918 წელს დუშეთის ჯანყების დროს ის იყო საქართველოს სამხედრო გზის დაცვის კაპიტნად და ჰყავდა საკუთარი რაზმი, რომლითაც იგი მხეცურად უსწორდებოდა აჯანყების მეთაურ კომუნისტებს და მათ მომხრე მშრომელ გლეხობას.

თავის რაზმის დამარცხების შემდეგ საზიზღარი სიცრუით სავსე პატაკს აძლევს თბილისის გენ.—გუბერნატორს, სადაც კომუნისტები გამოჰყავს მეარცვლებად და ავაზაკებად, ხოლო თავისთავს უწოდებს „ნორჩი რესპუბლიკის სასარგებლო შვილს“. მაინც მენშევიკების დროსაც ფალიანი პასუხისგებაში იყო მიცემული, როგორც აფერისტულად კაპიტანის ხარისხის მიმთვისებელი.

მენშევიკების დამარცხებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ფალიანი ჩადის სვანეთში, პროვოკაციას ეწევა მუშურგლეხურ მთავრობის წინააღმდეგ, სვანებს აჯანყებისაკენ მოუწოდებს და რაზმავს ზნელ და უკმაყოფილო ელემენტებს. შემდეგ ის ქრება სვანეთიდან, ვინაიდან იქ მას უკვე არ ეცხოვრება, და მიდის მოსკოვში, სადაც ხსნის ბორჯომის წყლით სავაჭროს. „ცნობილ“ ქებანის წყალობით, მაგრამ თავს ასაღებს არა მისი საგენტოს გამგედ, არამედ ბორჯომის მინერწყლების მესაკუთრედ.

1924 წლის შემდეგ, როცა საბჭოთა ხელისუფლებისთვის სვანეთში შეიქმნა უფრო ნორმალური სამუშაო პირობები, 1927 წლის საბჭოთა არჩევნებამდე ფალიანი იყო შავ სიაში, როგორც ანტი-საბჭოთა ელემენტი და კონტრ-რევოლუციონერულ ბანდების ხელმძღვანელი. 1929 წლის არჩევნების დროს კი ის შავ სიაში გამორჩა მექანიკურად, მაგრამ, თანახმად არსებულ დებულებისა, ის მაინც შავ-სიებით ითვლება ცაკის დადგენილებამდე.

აი ასეთი პიროვნება 1929 წლის მიწურულში ჩამოვიდა სვანეთში და მისი მფარველობის წყალობით დაინიშნა კომუნ. განყ. გამგედ. ფალიანი ადგილობრივ მუშაკებს პირდებოდა თავის „ავტორიტეტით“ მოსკოვის და ა.-კ. ბანკებიდან სვანეთისთვის ორი მილიონი მანეთის კრედიტს, რაც რა თქმა უნდა, არ გამართლდა.

ფალიანმა თავის გარშემო ზნელი და უვარგისი ელემენტები შემოიკრიბა. მისი განყოფილება შესდგება 5 კაცისაგან. 1. გამგე: ფალიანი, რომელიც ზევით დავახასიათეთ, 2. ტეხნიკოსი: დამბაშიძე—საქმის არა მცოდნე, როგორც ამას თვით ფალიანი ამბობს, და სოციალურ-პოლიტიკურად გამოურკვეველი პიროვნება; 3. საწყობის გამგე—კომენდანტი: მურზოვან დადეშქელიანი, ყოფ. თავადი, ყოფ. ბოქაული და ხმა ჩამორთმეული; 4. საქმის მწარმოებელი: მიხა ნიჟარაძე—ყოფ. ღვდელი. ასეთი „სამედო“ შტატი შექმნა ფალიანმა კომ. განყოფილებაში.

ფალიანმა 8 თვის განმავლობაში (რაც ამ თანამდებობაზე ითვლება) უსაქმოდ და მივლინებებში (სადაც არაფერს აკეთებდა) გაატარა ოთხი თვე.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო სრულიად მომწიფებული იყო საკითხის დასმა მის წინააღმდეგ და დაისვა კიდეც მე-5 პარტკონფერენციაზე, რომელმაც სვანეთის ახალ არჩეულ ორგბიუროს დაავალა ფალიანის განთავისუფლება. მაგრამ ეს დადგენილება დღემდე სისრულეში არ არის მოყვანილი. საჭიროა სვანეთს მოაშორონ ეს ზედმეტი და ანტისაბჭოთა ელემენტი.

პარტიული.

გასაწმენდნი არიან

(ყრუ-მუნჯთა კოოპ. სარეწაო არტელი)

ყრუ-მუნჯთა კოოპერატიულ არტელში ეს ერთი თვეა რაც სოც. უზრუნველყოფის კომისარიატიდან გამგის თანაშემწის თანამდებობაზე გადმოგზავნეს ძველი მრეწველი, მენშევიკი და არა საბჭოთა ელემენტი აბესალომ ბუკია, თვიურად 250 მანეთი ჯამაგირზე. ნუ თუ ეს ცხვრის ტყავში გამოხვეული მგელი ვერავინ იცნო, როდესაც იგი სამსახურს დაიჭერდა? მაგრამ პროტექციას ბევრი რამ შეუძლია.

მიუხედავად იმისა, რომ ბუკია რაღაც ერთი თვის მოსულია სამსახურში, ჯერ-ჯერობით ბირჟის გარეშე მოაწყო სამი თავისი თანამოძმე: ესენი არიან 1) ონისიმე ფუანი, ღვინის საწყობის გამგედ (150 მანეთის ჯამაგირით), 2) ქუთაისიდან სპეციალურად გამოწერილი ვინმე ებანოიძე. ბუკია ამ უკანასკნელს მოწმობას აძლევს, რომ მას უფლება აქვს ხსენებული კოოპერატივისათვის შეიძინოს სხვადასხვა საქონელი და სურსათი; ებანოიძეს ჯამაგირის გარდა ეძლევა ერთი პროცენტი ნაყიდ საქონლის ღირებულებიდან; 3) ბირჟის გარეშე მიიღო არა კავშირის წევრი ქსენია შენგელია— მოანგარიშედ და სხვ.

გარდა ამისა, აღნიშნული არტელის შტატი გაბერილია. ვინმე მათიკაშვილი თვეში ღებულობს 120 მანეთს, მხოლოდ იმისათვის, რომ მას აბარია საკანცელარიო ნივთები და თანამშრომლებს ფანქრებს და კალმებს ურიგებს. ბევრი თვეა მოუყრიათ ზოგიერთ სხვა შეუფერებელ პირებსაც „სპეცების სახით“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყრუ-მუნჯთა საზოგადოების გამგეობის თანამშრომლებს ჯერ არც ადგილკომი და არც პროფრწმუნებული არ აურჩევიათ. ბუკიას რომ ჰკითხოთ, რა საჭიროა ადგილკომი, -რომელიც მას კრიტიკაში ჩაუდგება და გასაქანს არ მისცემს. საინტერესოა, თუ რას ფიქრობს ამაზე საბჭოთა და სავაჭროების მუშაკთა კავშირის გამგეობა.

ყოველი ზევით ნათქვამი მხედველობაში უნდა მიიღოს აპარატის გამწმენდმა კომისიამ.

მოკეთე.

ისევ მოაწყვეს

(ტობანიერი, ქუთ. ოლქი)

დამთავრდა აპარატის წმენდა ტობანიერის თემში. გამომჟღავნებულ იქნა მიტმასნილი და გადაგვარებული ელემენტების მოქმედება. მოხსნილ იქნა სასოფლო საბჭოს მდივანი: **შ. ჭოგლიძე,** რომელსაც ბრალად დაედვა ყალბი მოწმობების გაცემა, ხელგაშლილობა, გლეხობასთან ცუდათ მოქცევა და სხვ. აგრეთვე მოხსნეს კოოპერატივის მთავარი მაღაზიის ნოქარი **შ. ნაფეტვარიძე** — საქონლის ნაცნობობით გაცემისათვის, ძმა-ბიჭობისათვის და სხვ. წმენდა ტარდებოდა გლეხობის ცხოველი მონაწილეობით. აღნიშნული პირების მოხსნით ის კმაყოფილი დარჩა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამის შემდეგ შ. ჭოგლიძეს გამოუჩნდნენ მფარველები, რომლებმაც ის მეორე კვირას კოოპერატივის ნოქრად მოაწყვეს. ეს გლეხობის მხრით სამართლიან საყვედურს იწვევს. აშკარაა, რომ თუ შ. ჭოგლიძე საბჭოში შეუფერებელი აღმოჩნდა, ის არც კოოპერატივში გამოდგება.

ლ.—ლი.

კიდევ მსახურობს

(ლიუქსემბურგი, თბ. ოლქი)

ლიუქსემბურგის რაიმილიციის უფროსის თანაშემწედ არის ვინმე **კურლიანდერი,** რომელმაც თავისი უხეში ქცევით სახელი გაითქვა. ის სისტემატიურად არღვევს ადმინისტრატიულ წესებს, ამავე დროს მილიციელებთანაც ცუდ განწყობილებაში არის. რამდენჯერმე იყო კურლიანდერი შემჩნეული მილიციის თანამშრომლების ცემაში. მილიციის ცხლახან ჩატარებულ წმენდაზე გამოაშკარავდა კურლიანდერის მიერ ჩადენილი მთელი რიგი უმსგავსოებანი—ქრთამის აღება, უხეშობა, ლოთობა და სხვ. ლაპარაკობენ აგრეთვე, რომ იგი ინგლისის ოფიცერიც ყოფილა და მონაწილეობა მიუღია საბჭ. კავშირის მოსახლეობის აწიოკებაში.

კურლიანდერს რამდენჯერმე ჰქონდა სასტიკი გაფრთხილება გამოცხადებული. ბოლოს, თბილისის აღმასკომის ადმინგანის დადგენილებით (№ 4 ა. წ. 27 თებერვლის თარიღით) კურლიანდერი მოხსნილიყო სამსახურიდან, მაგრამ ის დღესაც განაგრძობს მუშაობას.

კურლიანდერს ზურგს უმაგრებს ლიუქსემბურგის რაიაღმასკომის თავმჯდომარის თანაშემწე თურაბოვი.

კურლიანდერი უნდა მოიხსნას სამსახურიდან.

დევნილი.

შურისძიება წმენდის შემდეგ

(გორი)

საბჭოთა აპარატის წმენდის დროს სახ. ბანკის გორის განყოფილების მთავარ ბუხჰალტერს და ამჟამად ბანკის დროებით მმართველ დავითაშვილს თანამშრომლების მიმართ უდიერი მოპყრობისა, მათ საქმის გაჭიანურებისა და თავის მოვალეობისადმი ჩინოვნიკური მიდგომისთვის სასტიკი საყვედური გამოეცხადა. გავიდა ორი კვირა. დავითაშვილმა ჩაიგდო განყოფილების გამგის უფლებები და ხელი მიჰყო იმის გამორკვევას, თუ მის წინააღმდეგ ვინ შეიტანა ბრალდებები გამწმენდ კომისიაში. მან ეჭვი მიიტანა ამ ბანკში მომუშავე დაწინაურებულ ქალ ელენე ყანჩელზე, რომელიც ხშირად ხვდებოდა გამწმენდ კომისიის თავმჯდომარეს, როგორც თავის ნაცნობს; ამასთან იგი კედლის გაზეთის რედკოლეგიის წევრი იყო, და წერილობით მასალებს უთუოდ ის გადასცემდა კომისიას. ერთ მშვენიერ დღეს ყანჩელს ქალს გამოუცხადეს, რომ იგი სამსახურიდან მოხსნილია.

მეორე დღეს მთავარ ბუხჰალტერს ღლონტს სამუშაოდან დათხოვნით ემუქრება დავითაშვილი,—თუ რატომ დაიცვა მან ყანჩელის ქალის ინტერესები და წინ აღუდგა მის განკარგულებას. მესამე დღეს პირადი შეურაცხყოფის გამო განთავისუფლების განცხადება შეიტანა კასრაძის ქალმა. მეოთხე დღეს კიდევ ორმა.

ბოლოს, გამგის მოადგილედ დაწინაურებულმა მუშამ ამხ. ნიკო მთვარელიძის განცხადება შეიტანა იმ ორგანიზაციაში, საიდანაც ის დაწინაურეს, რომ ისევ წარმოებაში დააბრუნებინათ. მიზეზად ასახელებდა ცუდ ატმოსფეროს, რომელიც შექმნა დროებითმა გამგემ დავითაშვილმა. მუშა მთვარელიძე ბიუროკრატების აბუჩად ასაგდები გახდა. მას გამგის მოადგილობის შესრულების ნაცვლად დარაჯის საქმე მიუჩინეს: პლაკატების გაკვრა წარმოება - დაწესებულებებში, მათი დაგზავნა სხვადასხვა ადგილას, კლიენტების მიღების მოწესრიგება დავითაშვილთან, უბრალო საქმეებზე სიარული და სხვა. დაწინაურებულ მუშას არ ასწავლიდენ საქმეს და დავითაშვილს ეხმარებოდნენ, რომ დაწინაურებულისათვის შიკრიკის და დამლაგებლის საქმე მიენდო.

ყოველივე ამის გამო შეიკრიბნენ ბანკის თანამშრომლები და მოითხოვეს ადგილკომისაგან ზომების მიღება. ადგილკომის თავმჯდომარე, ცაბაძე ძველი გვარდიელია. ეს კაცი ისეთი ხასიათისაა, რომ მუდამ ერთ ვინმეს ადგილკომს ემსახურება კი დაუოლავს. მან თავი მოიფხანა. დააპირა გამართლებოდა დავითაშვილი და დაიწყო თავის მართლება. მიუხედავად ამისა საერთო კრებამ გამწმენდ კომისია, რომელმაც დაადასტურა ზემოთ აღნიშნული ფაქტები და დაუმატა, რომ ადგილკომს ახასიათებდა კუდში ჩაწოლა და მისი თავმჯდომარე დ. ცაბაძე ქედს იხრიდა დავითაშვილის წინაშე. გამოირკვა, რომ დავითაშვილმა საქმე დაიწყო მოხერხებულად. შემდეგ კი, როცა დარწმუნდა, რომ წმენდა მორჩენილი იყო და მას ხელს აღარავინ ახლებდა, უფრო გააფართოვა თანამშრომლების დამონავლება. წიგნებს, ორდერებს და სხვა ქაღალდებს ცხვირში აყრიდა მათ და ზოგიერთს ცემითაც კი ემუქრებოდა.

გამწმენდმა კომისიამ ვერ გამოიჩინა საჭირო სიმწვავე და სწორი მიდგომა. სახბანკის თანამშრომლებზე უფრო მეტი ბრალდებები იყო შემოსული, მაგრამ ისინი კარგად ვერ გაარჩიეს, რის შედეგად სახბანკში შეიქმნა ასეთი ატმოსფერო, რომ ყველა, დაწყებული მთავარ ბუხჰალტერით დამთავრებული დარაჯით, აპირებდა წასვლას.

დავითაშვილი ტიპიური ბიუროკრატია. მისი მუშაობით უკმაყოფილო არიან არა მარტო თანამშრომლები, არამედ კლიენტებიც. მან დასწიხლა დაწინაურებული მუშა და საჯაროდ გასთელა პროფკავშირის ავტორიტეტი.

ნ.—ო.

მილიციაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს

(თბილისი)

ა.-წ. თებერვალში თბ. მილიციის მე-4 რაიონის უფროსის მოადგილედ დანიშნულ იქნა **აკაკი დათუაშვილი,** რომელიც სრულებით შეუფერებელია ამ თანამდებობისათვის.

1927-28 წლებში ის მსახურობდა აღმასკომის უჩის სახლების მმართველად. აქ მას აღმოაჩნდა მობინადრეთგან აღებული ფულის დანაკლისი, რისთვისაც პასუხისგებაში იყო მიცემული. 1927 წ. ხუთი თვით იყო დაპატიმრებული: ბრალდებოდა ბინის უკანონოდ გაცემა. სამსახურში თავის უფლების გადამეტებების გამო ორჯერ აღრიცხული სისხლის სამართლის მილიციაში და იქ რამდენიმეჯერ იჯდა. წითელარმიაში ყოფნის დროს მოიპარა საბნები და ათი დღე დაპატიმრებული იყო.

ასეთ კაცს რა უნდა მილიციაში, ისიც ხელმძღვანელ თანამდებობაზე? ის არავითარი ნდობით არ სარგებლობს მილიციაში. სხვათა შორის, დამახასიათებელია, რომ რაიონის მილიციის სამმართველოს ბეჭედი, უფროსის შვებულებაში ყოფნის დროს, არსებული წესისამებრ მას უნდა ჰქონოდა ჩაბარებული. მაგრამ იგი ჩვეას აქვს, რადგან დათუაშვილს ეჭვის თვალით უყურებენ.

საკვირველია, რომ ადმინგანს ყოველივე ეს აცნობეს, მაგრამ ის ზომებს არ ღებულობს. დათუაშვილი მილიციაში სამსახურიდან უნდა იქნას განთავისუფლებული.

მებრძოლი.

გამფლანგველს უკეთესი ადგილი მისცეს

(ფოთი)

„ჩემისთანა პატიოსანი კაცი მეორე არ არის სად. ფოთის ადგილკომში“-ო,—ხშირად იტყოდა სად. ფოთის ადგილკომის ყოფ. მდივანი **დ. ლალიაშვილი** და ულვაშებზე მაგრად გადაისვამდა ხელს. თურმე ნუ იტყვით, მასთანა გაქნილი კაცი მეორე იშვიათად მოიძებნება. ადგილკომის რევიზიის დროს ამ „პატიოსან“ კაცს აღმოუჩნდა ყალბი ფულის ორდერები, რისთვისაც ის პასუხისგებაში იყო მიცემული.

დღეს კი ასეთ კაცს გამოუჩნდა მფარველი: ლალიაშვილი ტყის უკეთესი ადგილზე წამოსკუპეს. მერე სად?—უბნის მეურნედ. ამავე დროს სპეციალური ვაგონიც კი დაუნიშნეს.

საკითხავია: თუ ლალიაშვილმა ადგილკომში შედარებით მცირე თანხებს კბილი გაუსინჯა, რას იზამს ის საუბნო სალაროში?

კოოპერატორი.

ყოფ. მიკიტანი რევიზორ-ინსტრუქტორად

(ქუთაისი)

გასული წლის დეკემბრის დამლევს ქუთაისის საოლქო ფინგანყოფილების თანამშრომლების წმენდის შემდეგ მეორე და მესამე კატეგორიით მოხსნილ იქნა ხუთი ფინინსპექტორი: ჯაკობაია, მოსიძე, ჩიქოვანი, გოგელაშვილი და სერგო თოფურია. წმენდის ხელმძღვანელობა მოხსნილთა პირველ ოთხ მათგანს არ დაუმტკიცდა წამოყენებული ბრალდებები, რის გამო ისინი აღდგენილი უნდა ყოფილიყვნენ თავიანთი თანამდებობებზე. **სერგო თოფურიას** დაუმტკიცდა, რომ ის ნამდვილად ყოფილა მსხვილი მიკიტანი 1923 და 1924 წლებში. გამწმენდ კომისიას საკითხის მეორედ განხილვისას ძალაში დაუტოვებია პირვანდელი კომისიის დადგენილება, რომლის თანახმად ყოფ. მიკიტანი სერგო თოფურია საგადასახადო დარგში მუშაობიდან უნდა მოხსნილიყო.

რა მოხდა შემდეგ? უდანაშაულოდ მოხსნილი, მაგრამ გამართლებული 4 ფინინსპექტორი დარჩა სამსახურის გარეშე, და ისინი იძულებულნი გახდნენ, როგორც უმუშევრებს, ეძიათ სადმე სამუშაო. ვაჭარი სერგო თოფურია კი მიიწვიეს ხელახლა ფინინსპექტორად წინა წლებში შეძენილ მეგობარ-მიკიტნების და ვაჭრების საწარმოთა დასაბეგრავად! მაგრამ მას არ აკმარეს მარტო ერთი საგადასახადო უბნის ხელმძღვანელობა. ერთი თვის შემდეგ დანიშნეს ოლქის ყველა გადასახადოთა ინსპექტორების რევიზორ-ინსტრუქტორად და დამატებით მას მიანდვეს სოფლად კულაკის დასაბეგრო ობიექტების აღრიცხვის საქმის ხელმძღვანელობა. ასე დააწინაურეს გამწმენდ კომისიის მიერ მოხსნილი კლასიური მტერი!

ვფიქრობთ, რომ მუშგლეხინი ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას. ყოფ. მიკიტანი მოხსნილ უნდა იქნას ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობიდან. ამასთან პასუხი უნდა მოეთხოვოს მის მფარველს, საოლქო ფინგანის გამგეს, პაპავას.

ბაბილინაშვილი.

გაძევებულ იქნენ

ჭავთისხევი, (კასპის რაიონი)

ჭავთისხევის სას. - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში მოკალათებული იყო „სამეგა“ მოქ. **მიხეილ სოლომონის ძე ოთიაშვილის** მეთაურობით. როგორც გამწმენდმა კომისიამ დაადასტურა, მას ბანდიტ-კულაკ ჩივაძის (1924 წლის ავანტიურაში აქტიური მონაწილე) ცოლთან ჰქონდა მოწყობილი გარყვნილების ბუდე, სადაც მიდიოდნენ ახალგაზრდა ვაჟები და ქეიფსა და დროის ტარებასა და ლაზღანდარობაში იყვნენ გართულნი. მან განკულაკების დროს მხარი დაუჭირა კულაკებს. ამასთან, თავისი კერძო ინტერესით რაიონიდან მიმაგრებული ამხანაგები შეიყვანა შეცდომაში და გამოასახლებინა მთავარი სახელოსნოს მუშა დავით ნადირაშვილი. მესამე ინდუსტრიალიზაციის სესხი ძალდატანებით გაავრცელა გლეხობაში.

მას გვერდს უმშვენებდა გოგი იოსების ძე კერესელიძე, რომელიც შიშის ზარს სცემდა გლეხობას. სესხებს აძლევდა ისეთ პირებს, რომლებიც ასეთს არც კი საჭიროებდნენ. გლეხებზე სესხად გასაცემი ფულით გახსნა სასადილო, რომელიც მოკლე დროში გაკოტრდა. როდესაც გლეხებს ეუბნებოდა: ვაშლი კოოპერაციას ჩააბარეთო, თავისი ვაშლი ამ დროს კერძო ვაჭრებს მიჰყიდა. არ აძლევდა სარწყავ წყალს ღარიბ გლეხობას.

მათ არ ჩრჩებოდა უკან ბუხჰალტერი **ზაქარია პეტრეს ძე ბერიძე,** ყოფ. მღვდელი, 24 წლის ავანტიურის აქტიური მონაწილე, კულაკ ჩივაძის ქალზე სესხის მიმცემი, ანტიკოოპერატიული პროპაგანდისტი, გლეხობის დამშინებელი და თბილისში სახლის მქონე.

ამ პირებს გამწმენდმა კომისიამ აღნიშნული ბრალდებები დაუმტკიცა და ისინი გაადევნა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობიდან პირველი კატეგორიით.

ნემსი.

„საქმის კაცის“ კომბინაციების შედეგი

სპეციალისტების საკითხი მწვავედ სდგას ხელოვნებისა და საზოგადოდ, იდეოლოგიურ ფრონტზეც. ნამდვილ სპეცებთან ერთად, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებასთან ხელიხელ - ჩაკიდებული მიდიან და თავიანთი თეატრალურ - საზოგადოებრივი მუშაობით პარტიის ლოზუნგებს ანხორციელებენ, ჰორიზონტზე ამოტივტივდნენ „ცრუ-სპეცები“, რომლებიც იფარებიან თეატრალობის ნეიტრალური და აპოლიტიური ნიღაბით, ხოლო თუ ჩაიხედავთ ამ ქერქს და მოვხსნით ნიღაბს, წარმოგვიდგება რევოლუციის წინადროის „საქმის კაცის“, კაპიტალისტური ფიზიონომია. „ცრუ-სპეცების“ ასეთ ტიპს ეკუთვნის მოქ. ილიკო მაჩაბელი.

ვინ არის ის და როგორია მისი წარსული? ძველ დროში მაჩაბელს ლენინგრადში ჰქონდა გახსნილი სახელგანთქმული ბურჟუაზიისათვის—კაბარე „ლეტუჩაია მიშ“. შემდეგ ის საზღვარგარეთ მიდის. იქ ცდილობს თეატრალურ საქმიანობას მოჰკიდოს ხელი, მაგრამ საბჭოთა სახელმწიფო განმტკიცდა და საზღვარგარეთული ემიგრაციის ყველა ოცნებები დაიმსხვრა. მოქ. მაჩაბელი ხელახლა გამოჩნდა საბჭოთა კავშირში, უკვე თავის „საშობლოში“—საქართველოში.

აქ ის რიგრიგობით ხსნის ჯერ გახრწნილების ბუდეს „ქიმერიონს“, რომელიც ბურჟუაზიულ-ევროპიული გემოვნებით არის მოწყობილი ,ცალკე კაბინეტებით, სადაც აყვავდა მაღალი წრის პროსტიტუცია. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს შანტანი დახურა და მოქ. მაჩაბელი აწყობს თბილისში ლოტოების ქსელს. როდესაც ეს წამოწყება გაკოტრდა და ხელისუფლებამ ლოტოების მავნეობა ტირებით და საზოგადოდ ლოტოები გახსნა, მოქ. მაჩაბელი, რაღაც, სასწაულმომქმედი ძალით თეატრალურ ჰორიზონტზე ამოცურდა.

აქაც მალე მოიხვეჭა „თეატრალური სპეცის“ სახელი, მისი „მოღვაწეობა“ სახელმწიფო თეატრის ყველასათვის საკმაოდ ცნობილია და მუშკავშირის დადგენილებით ის მოხსნილ იქნა თანამდებობიდან.

მაგრამ საუბედუროდ, ამით არ თავდება ამ „ცრუ-სპეცის“ და აშკარა „საქმის კაცის“ „მოღვაწეობა“. მაჩაბელი „საქმის კაცია“, ის ახალ „საქმეს“ ჰკიდებს ხელს. და აი ის ეწყობა რუსთაველის თეატრის რწმუნებულად, ამ თეატრის გასტროლების მოსაწყობად მოსკოვში. მაგრამ „თეატრალური სპეცის“ „ცხვირის ტყავი“ მაჩაბელს აქაც არ შეელის. ჟურ. „რაბის“-ის № 17-ში (28 აპრილი), გამოამჟღავნა ამ „ცრუ-სპეცის“ ანტისაბჭოთა ფიზიონომია.

გათავხედებულმა მაჩაბელმა მოსკოვში დაიწყო თავისი მოქმედება და შური დათესა საქართველოს ორ მსხვილ თეატრებს შორის. ამ გარემოებამ შეუწყო ხელი მოქ. მაჩაბლის ნამდვილ სახის გამოაშკარავებას საბჭოთა თეატრალური პრესის ფურცლებზე. კავშირის არაწევრი, ხმაჩამორთმეული, ყოფილი ვაჭარი გაძვრა თეატრის ადმინისტრატორად. ამის შესახებ არავინ იცოდა, არც თეატრის ადგილკომმა, არც თვით კავშირმა. თითქოს საქმე ამით უნდა გათავებულიყო და მაჩაბელ მოღვაწეობას ბოლო მოეღებოდა. მაგრამ, რადგა „საქმის კაცია“ მაჩაბელი, თუ მას მფარველებიც არ ეყოლება. ყოველივე ამის შემდეგ თეატრის ადგილკომში იძლება საკითხი მოქ. მაჩაბელის კავშირის წევრად გაყვანის შესახებ. როდესაც თეატრის ადგილკომი და პარტუჯრედი სრულიად კანონიერად აღშფოთდნენ კავშირის წევრად მიღების ამ „საიდუმლო საშუალებით“ და განაცხადეს, რომ ხმაჩამორთმეულს და ყოფილ ვაჭარს ადგილი არა აქვს კავშირში, მაშინაც ხელოვნების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარეს—ამხ. დიასამიძეს. და როგორ ჰგონიათ, რა გააკეთა ხელოვნების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარემ? უბრძანა ადგილკომს მიეღოთ მოქ. მაჩაბელი კავშირის წევრად. და რუსთაველის თეატრის თანამშრომელთა 18 აპრილის კრებაზე მოქ. მაჩაბელი დაუსწრებლად იქნა მიღებული კავშირის წევრად.

ეს ფაქტი საკმაოდ ნათლად ამტკიცებს ხელოვნების მუშაკთა კავშირის არა სწორ პოლიტიკას, რომელიც დირექტიული გზით სწევდა ყოფ. ვაჭრის კავშირის წევრად მიღების საკითხს.

ჩვენ ხელთა გვაქვს ხელშეკრულება, რომელიც დადებულია „საქ. განათლების კომისარიატის და რუსთაველის სახელობის სახ. თეატრის რწმუნებულის“ მაჩაბელის მიერ. მოვიყვანოთ ამ ხელშეკრულების ყველაზე საინტერესო ადგილები:

„რუსთაველის სახ. თეატრი იწვევს მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრს გასტროლებზე თბილისში 8 ივნისიდან 23 ივნისამდე, ჩათვლით, სულ 16 წარმოდგენაზე, საერთო თანხით 32.000 მან. (ოცდათორმეტი ათასი მანეთი), ე. ი. თითო წარმოდგენაში 2.000 მან. ერთი წარმოდგენით ვადის გაგრძელების უფლებით ორივე მხარის შეთანხმებით“.

მაჩაბელი, რომელმაც დასდო ასეთი ხელშეკრულება მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრთან, ზედმეტად სთვლის რუსთაველის თეატრის დირექციის ხელშეკრულების „წვრილმანებს“ და მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რომ გზავნის დეპეშას იმის შესახებ, რომ თბილისში მოემგზავრება მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრი და შეიძლება ბილეთების გაყიდვაც.

თეატრმა, დეპეშის თანახმად, დაიწყო ბილეთების გაყიდვა, იმ ანგარიშით, რომ თითო წარმოდგენიდან 1800 მან. შემოვიდოდა. მაგრამ ვინაიდან ბილეთები ყველა არ გაყიდულა, რუსთაველის თეატრის დირექცია „იძულებულია“ დარჩენილი ბილეთები პროფკავშირებს მიჰყიდოს 30 პროცენტის ფასდაკლებით. ამგვარად ყველაზე უკეთეს შემთხვევაში საშუალოდ შეიძლება შემოვიდეს 1200 მანეთი. მაშასადამე, რუსთაველის თეატრი იძულებული იქნება დაადოს „თავის ჯიბიდან“ (ხელშეკრულების თანახმად) 800 მანეთი თითო წარმოდგენაზე.

მაგრამ, საუბედუროდ, ეს კიდევ ყველაფერი არ არის.

„...შენობას, სინათლეს, ტეხნიკურ პერსონალს, რეკლამას, სავეტორო და ყველა გადასახადებს რუსთაველის დირექცია თავის თავზე იღებს“.

რუსთაველის თეატრმა, როდესაც საგასტროლოდ მოსკოვში მიემგზავრებოდა, თან წაიყვანა არა მარტო ტეხნიკური პერსონალი, არამედ თან წაიღო სცენის მოწყობილობაც, ელექტრონის ლამპებიც კი. ხელშეკრულების თანახმად კი მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის ყველაფერი ეს უნდა ჰქონდეს. ამჟამად მხოლოდ 4 სცენის მუშაა, დანარჩენი 6 კაცი გარედან უნდა აიყვანონ.

გავყვეთ შემდეგ:

„მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის წარმოდგენებისათვის თბილისში რუსთაველის თეატრის დირექცია აძლევს თავის ორკესტრს 20 კაცის შემადგენლობით. რუსთაველის თეატრის წარმოდგენებისათვის მოსკოვში მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის დირექცია აგრეთვე უფასოდ აძლევს თავის ორკესტრს 20 კაცის შემადგენლობით 5 ივნისიდან 18 ივნისამდე“.

თითქოს რუსთაველის თეატრს თან არ უნდა წაეყვანა თავისი ორკესტრი მოსკოვში, რადგან მოსკოვის სამხატვრო თეატრი აძლევდა მას ორკესტრს, მაგრამ რუსთაველის თეატრმა „რატომღაც“ წაიყვანა თან ორკესტრი და ამის შესახებ თავის დროზე არ აცნობა მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრს, ხოლო როდესაც უკანასკნელი თბილისში ჩამოვიდა ფაქტის წინაშე დადგა. ამ შემთხვევაშიაც რუსთაველის თეატრის დირექციას მოუხდა 20 ორკესტრანტის აყვანა, რომლებიც მას თითო წარმოდგენაზე 200-300 მანეთი დაუჯდა.

ამგვარად უპასუხისმგებლო მუშაობამ გამოიწვია 18.000 მანეთი დეფიციტი, ეს იმ დროს, როდესაც რუსთაველის თეატრი მატერიალურ კრიზისს განიცდის.

ვფიქრობთ, რომ დროა ამ საქმეს ხელი შეჰკიდოს იმან, ვინც მას განაგებს, მით უმეტეს, რომ 1930 წ. 1 ივნისიდან მაჩაბელი დანიშნულია თბილისის სახ. ოპერის დირექტორის მოადგილედ.

ვიმედოვნებთ, რომ სათანადო ორგანოები ამ გარემოებას გაითვალისწინებენ და სათანადო დასკვნებს გააკეთებენ.

ზ. ზ.

საქმის გაჭიანურების მაგალითი

(თბილისი)

ქალაქის სასაკლაოსთან არსებულ № 6 საბავშო კერაში, სადაც იზრდება 80 ბავშვი—სასაკლაოს და სადგურ ნავთლულის მუშების შვილები—მეცადინეობა ერთ თვეზე მეტი შეწყვეტილია, რის შედეგად ცდება 80 ბავშვი, აგრეთვე 8 თანამშრომელი და ტყუილ უბრალოდ იხარჯება სახელმწიფო თანხები. ყოველივე ეს გამოწვეულია „საქზოოვეტრესტის“-ს დირექტორის ამხ. ხუჭუას დაუდევრობით და ბიუროკრატიული მოქმედებით.

ამ დაწესებულებამ ა.-წ. მარტის პირველ რიცხვებში საბავშო ბაღს ჩამოართვა მისი შენობის მთელი ზედა სართული (ოთხი ოთახი) თავისი მოწყობილობით და ის ჩამოიყვანა დაბლა სართულში, უფრო ნაკლები ფართობის და საცხოვრებლად უვარგის ოთახებში. საფუძვლიანი შეკეთების გარეშე იქ ნორმალური მეცადინეობა შეუძლებელი ხდებოდა. ორი კვირაზე მეტი გაჭიანურდა მიწერ-მოწერა და მოლაპარაკება, ერთის მხრით, თბ. განგ. განყოფილებასა და სასაკლაოს, ხოლო მეორე მხრით „საქზოოვეტრესტის“-ს შორის შენობის შეკეთების შესახებ. სასაკლაოს პარტიული ორგანიზაცია კატეგორიულად მოითხოვდა საქზოოვეტრესტს საჭირო რემონტის აღნიშნული საბ. ბაღისათვის. შედეგად რას ვხედავთ? 6 მაისს, როგორც იქნა, ამხ. ხუჭუამ გასცა სათანადო განკარგულება. შენობის კედლები დაანგრიეს, მუშაობა დაიწყეს, მაგრამ რემონტი დღესაც არაა დასრულებული, მაშინ, როდესაც ტეხნიკოსის დასკვნით უნდა დამთავრებულიყო ათი დღის განმავლობაში. საბ. ბაღის გამგე თითქმის ყოველდღიურად სთხოვდა და აგონებდა ამხ. ხუჭუას, რომ რემონტი დროზე ჩატარებულიყო. ბოლოს, 29 მაისს, როდესაც საბ. ბაღის გამგემ სთხოვა ხუჭუას ოფიციალურად პასუხის გაცემა—ჩაატარებს თუ არა იგი რემონტს, ამხ. ხუჭუა მას საბ. ბაღის დახურვით დაემუქრა. აქვე აღვნიშნავთ, რომ მას ამ შემთხვევაში მხარი დაუჭირა „საქზოოვეტრესტის“-ს პრეზიდიუმის წევრმა ამხ. კილურაძემაც.

ასე „უწყობენ“ ხელს ამხ. ხუჭუა და კილურაძე მუშათა ახალი თაობის კომუნისტურ აღზრდას. ეს იმ დროს, როცა პარტიის და ხელისუფლების ლოზუნგია: არ უნდა დარჩეს საბ. ბაღის გარეშე არც ერთი მუშის და კოლმეურნის შვილი. საჭიროა სათანადო ორგანომ დროულად მიაქციოს ამას ყურადღება.

თებ. დოლიძე.

მოძალადე მასწავლებელი

(თბილისი)

მე-75 შრომის სკოლაში გამგის თანაშემწედ იყო მასწავლებელი ტიხონ მამალაძე, რომელსაც მიცემული ჰქონდა საცხოვრებელ ბინად ერთი ოთახი. გვერდით არის კიდევ მეორე ოთახი, რომელიც გამოყენებული იყო სკოლის მოწაფეთა ამბულატორიად, სადაც ექიმი დროგამოშვებით სინჯავდა ბავშვებს. მამალაძემ სკოლის გამგე ძიძიგურთან შინაურული შეთანხმებით გაალო ოთახის შუა კარები და შიგ შეიტანა საოჯახო ნივთები. მამალაძის ანგარიში ასეთი იყო: რადგან ორ თვეში ერთხელ უნდა გასინჯოს ექიმმა ბავშვები და რა საჭიროა ამისათვის განსაკუთრებული ოთახის დაზოგვა. მამალაძის მიერ ოთახის შინაურულად მითვისება გადაიქცა მის სამუდამოდ დაპატრონებად. ექიმი ვეღარც კი ბედავს იქ შესვლას.

მის გვერდით ყოფილ ფეხსადგილში და სრულიად უვარგის ბინაში სცხოვრობდა ოტიაშვილის ქვრივი (იმავე სკოლის დამლაგებელი), რომელსაც ცუდი ბინის გამო ოჯახი დაუავადმყოფდა და ერთი შვილიც მოუკვდა. ოტიაშვილის ქვრივის გაჭირვებულ მდგომარეობაში შევიდა თბილისის სახლთა მმართველობა. (სახლი ეკუთვნის თბ. აღმასკომის განათლების განყოფილებას) და მამალაძის მიერ მითვისებულ ბინაში ჩასახლებულ იქნა ოტიაშვილი, მაგრამ მამალაძემ ოტიაშვილის ქვრივს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და რევოლვერიც კი მიიშვირა. ნივთები ოთახიდან გარეთ გამოუყარა და გამოდევნა ბინიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ მამალაძე აღნიშნულ სკოლის თანამშრომლად აღარ ითვლება და ამიტომ მას ბინა მთლიანად უნდა გაენთავისუფლებინა. მიუხედავად ამისა, მამალაძე შეტევაზე გადავიდა და მან სრულიად უკანონოდ მიითვისა ის ბინა, რომელიც მას არ ეკუთვნოდა.

საჭიროა ასეთ მოძალადეს მოეთხოვოს სასტიკი პასუხი და ოთახი გადაეცეს ოტიაშვილის ქვრივს.

ნ. მკერვალი.

დავიწყებული ავტო-მანქანა

სამტრედიის რაიაღმასკომს ჰქონია მიცემული შესაკეთებლად ხანძრის მქრობი ავტომანქანა ამიერ-კავკ. ავტო-ტრანსპორტის საზოგადოების სახელოსნოში. მანქანა დიდი ხანია რაც უკვე შეკეთებულია და გამზადებული სდგას გარაჟში. სამტრედიის რაიაღმასკომი მის გატანაზე თავს არ იტკივებს. ამა წლის მარტსა და აპრილში ავტო-სახელოსნოს დირექციამ რამოდენიმეჯერ უცნობა რაიაღმასკომისათვის, რომ მანქანა მზად არის და გამოგზავნეთ მისი მიმღებიო, მაგრამ პასუხი ერთხელაც არ მოსულა.

ნუ თუ ელოდებიან ხანძარს, რომ მაშინ მოაგონდეთ თავიანთი მანქანა. თუ სამტრედიის ეს მანქანა არ ესაჭიროება, გადასცენ სხვა რომელიმე ქალაქს, რომელიც დიდს გაჭირვებას განიცდის ხანძრის მქრობ მანქანის უქონლობის გამო.

ქია ვანო.

მუშკოოპის საქმიანობა უნდა მოწესრიგდეს

დაუდევრობის ნიმუში

მუშკოოპი ხილით და ბოსტნეულით უნდა მოემარაგებია ა.-კ. მებაღეობა-მებოსტნეობის კავშირს, ეს უკანასკნელი კი საქ. მებაღეობა-მებოსტნეობის კავშირს. ზედნადები ხარჯების თავიდან აცილებისა და მომარაგების საქმის გამარტივების მიზნით, სათანადო ორგანოების დადგენილებით საქ. მებაღეობა-მებოსტნეობის კავშირს დაევალა ხილი და ბოსტნეული უშუალოდ მიეწოდებია მუშკოოპისათვის, რისთვისაც მათ შორის დაიდო სათანადო ხელშეკრულებაც.

ამ ხელშეკრულებით საქ. მებაღეობა-მებოსტნეობის კავშირს ეკისრებოდა სხვადასხვა რაიონებიდან მუშკოოპისათვის თავის დროზე მიეწოდებია ადრეული ხილი და ბოსტნეული, ხოლო მუშკოოპს დამზადების ადგილზე უნდა გაეგზავნა საჭირო ყუთები.

კავშირი შეუდგა ხილის და ბოსტნეულის დამზადებას, მაგრამ მუშკოოპმა ყუთები არ გააგზავნა, ზოგ რაიონში კი გააგზავნა ულურსმნოდ.

დამზადებული ხილი და ბოსტნეული რომ არ გაფუჭებულიყო, საქ. მებაღეობა-მებოსტნეობის კავშირმა მუშკოოპს 31 მაისს სთხოვა გაეგზავნა ქსნის, მცხეთის, ასურეთის, სანდარის და სხვა რაიონებში ყუთების საჭირო რაოდენობა, მაგრამ მუშკოოპმა პასუხიც არ გასცა ამ თხოვნაზე. კავშირმა თხოვნა რამდენჯერმე გაიმეორა 13 ივნისამდე, რაც აგრეთვე მუშკოოპის მიერ უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

ამ რიგად, დიდი რაოდენობით დამზადებული ხილი და ბოსტნეული ეხლაც დამამზადებელ პუნქტებშია და ფუჭდება.

იქნებ მუშკოოპს არ აქვს ყუთები?

ა.-კ. მებაღეობა-მებოსტნეობის კავშირს მომარაგებული ჰქონდა ყუთების დიდი რაოდენობა, რომელიც გამოუყენებელი დარჩა იმის გამო, რომ მუშკოოპისათვის ხილისა და ბოსტნეულის მიწოდება უშუალოდ დაევალა საქართ. მებაღეობა-მებოსტნეობის კავშირს. ა.-კ. მებაღეობა-მებოსტნეობის კავშირმა წინადადება მისცა მუშკოოპს წაეღო აღნიშნული ყუთები, მაგრამ მუშკოოპი რატომღაც ასე არ მოიქცა.

მუშკოოპის ასეთი დაუდევრობით ა.-კ. მებაღეობა-მებოსტნეობის კავშირს უქმად უყრია ყუთები, ხოლო საქ. მებაღეობა-მებოსტნეობის კავშირს დამზადებული ხილი ულპება, ბაზარზე კი ხილის ნაკლებობაა. რას გავს ეს?

ოკრიბელი.

რა ზრდის ფასებს ბოსტნეულზე

ზედნადები ხარჯების სიდიდისა და აგრეთვე მეტი მოგების მიზნით, მუშკოოპი ბოსტნეულს უფრო ძვირად ჰყიდის, ვიდრე კერძო პირები.

მაგალითად, ცენტრალურ ბაზარში მუშკოოპი კონა ხახვს ჰყიდის 17 კ., კერძო პირები—15 კ., ცალ კიტრს—35-40 კ., კერძო პირი—30 კ., მუშკოოპის სავაჭროებში კონა ქინძი იყიდება 10 კ., კერძო პირებთან—6-7 კ. და სხვ.

იქნება მუშკოოპმა თავი იმართლოს იმით, რომ დამამზადებელი ორგანიზაციები აწვდიან მას ძვირად ბოსტნეულს? შეიძლება, მაგრამ დამამზადებელ ორგანიზაციების გარეშე უშუალოდ შეძენილ ბოსტნეულსაც რომ ძვირად ჰყიდის?

ასურეთელმა გლეხებმა 11 ივნისს მუშკოოპს თბილისში, საკუთარ საწყობში კილო კარტოფილი ჩააბარეს 25 კაპეიკად, მუშკოოპში ეს კარტოფილი შეაფასეს 3 კაპეიკის მოგებით, ან 28 კაპ., შემდეგ დააწესეს მაზე საბაზრო ფასები და გაუნაწილეს სავაჭრო პუნქტებს. ამ რიგად 25 კაპეიკად შეძენილ კარტოფილს მუშკოოპი ჰყიდის 35-40 კაპეიკად.

ამას ეწოდება სპეკულაცია.

თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს

(საქ. მთიელთა კულტურული საზოგადოება)

ამ „საზ-ბის“ მიერ განვლილ 5 წელიწადს ნაკლებად ამჩნევია კულტურული საქმიანობის კვალი. ძალიან ცოტაა გაკეთებული იმასთან შედარებით, რის გაკეთება მას შეეძლო დასახულ ამოცანის (მთიელთა შორის კულტურის გავრცელება და ამ დარგში ხელისუფლებისათვის ხელის შეწყობა) მისაღწევად.

„მთიელთა საზოგადოების“ მუშაობის შემოწმება-შეფასებას და საერთოდ ანგარიშის მიღებას დიდი ხანია (1925 წ.) მოელის ფართო საზოგადოებრიობა, მაგრამ ამ „საზ-ბის“ მესვეურნი სდუმან; 1925 წ. დღემდე „საზ-ბის“ გამგ. თავისი მოქმედების სრული ანგარიში არავისათვის არ ჩაუბარებია. ნუ თუ ასეთი მდგომარეობა დასაშვებია?

ხელისუფლების სათანადო ორგანოებს არაერთხელ მოუხდენიათ ამ „საზ-ბის“ საქმიანობის გამოკვლევა, მაგრამ, სამწუხაროთ, აღნიშნულ გამოკვლევები „საზ-ბის“ მდგომარეობის ზერელე დათვალიერებით განისაზღვრებოდა. „საზ-ბის“ სარევიზიო კომისიას კი 4-5 წლის მანძილზე არც ერთი რევიზია არ ჩაუტარებია და ის სრულ უმოქმედობას იჩენს.

„მთიელთა კულტურული საზოგადოება“, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ფიქციაა. დაარსების პირველი დღიდანვე ამ „საზოგადოების“ ხელმძღვანელმა ორგანომ, მუშაობის მეთოდების უვარგისობის გამო, ვერ შესძლო ფართო მასების თავის გარშემო შემოკრება, ხოლო შემთხვევით შეძენილი „მასა“ დროთა განმავლობაში მას წვრილ-წვრილად შემოფანტვია და ჩამოშორდა. „მთიელთა საზოგადოების“ მესვეურებს დღემდე ვერ შეუგნიათ, რომ მასების მონაწილეობის გარეშე მუშაობა ჩვენს პირობებში შეუძლებელია და უნაყოფო. წევრთა მიღების და აღრიცხვის საქმე არეულ-დარეულია. გამგეობა ითვლის 200-ზე მეტ წევრს, მაგრამ სინამდვილეში კი ჩვენ საქმე უმეტესად გვაქვს „მკვდარ სულებთან“. „მთიელთა კულტურული საზ-ბა“ ჩვენი მთის ეკონომიურ-კულტურული დაწინაურებით დაინტერესებულ პირთა შემაკავშირებელ ორგანიზაციას უნდა წარმოადგენდეს, და არა ცხოვრების მიერ გარიყულ ვაჭარ-ჩარჩების და სხვადასხვა ჯურის კომბინატორთა თავშესაფარს. ამ „საზ-ბის“ გამგეობას არავითარი კავშირი არა აქვს არც თავის „უჯრედებთან“ და არც „წევრებთან“. წესდების მიხედვით „საზ-ბა“ მოქმედებს „კოოპერატიულ საფუძვლებზე“, მაგრამ სინამდვილეში კოოპერატიული მუშაობის ნიშნებს ადგილი არა აქვთ საწევრო გადასახადები არ აკრიფება და ამით სწყდება „წევრებთან“ პირველადი ნივთიერი კავშირის ძაფებიც.

„მთიელთა საზ-ბის“ გამგეობა არჩეულია 1926 წელში და ამ ხნის განმავლობაში არ გადაარჩეულა. იმავე დროის მანძილზე „საზოგადოების“ საბჭო არ მოიწვია და მის ცხოვრებაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს. გამგეობის მუშაობას ახასიათებს უგეგმობა, უსისტემობა, არეულ-დარეულობა, არაკოლეგიალურობა. შედეგად ვღებულობთ აურაცხელ ნივთიერ სახსრების მიზანშეუწონლად განიავებას. ჩამოვთვლით ზოგიერთ ფაქტებს:

1) 1929 წელში „საზოგადოება“-მ დასდო ხელშეკრულება „ყველ-ერბო-კარაქ კავშირთან“ უკანასკნელისათვის რამდენიმე ათასი მანეთის ყველის და კარაქის დამზადებაზე და ამ გარიგების ანგარიშში მიიღო მიზნობრივი ფულადი ავანსი 10.000 მანეთის რაოდენობით. პირდაპირი დანიშნულებით ამ თანხის გამოყენების მაგიერ გამგეობის ორიოდე წევრს შეეპარიანა მიღებული ავანსის „მომგებიან ბრუნვაში“ გაშვება. გამგეობამ გადაწყვიტა კინოსურათის გადაღება და მისი ექსპლოატაციით „გამდიდრება“, რისთვისაც მიმართა მოსკოვის ერთ-ერთ კინო-ამხანაგობას შესაფერ წინადადებით. დაიდო აქაც სათანადო ხელშეკრულება (გ.-წ. ოქტომბერში) და „ყველ-ერბო-კარაქ კავშირი“-საგან მიღებული ფული 10.000 მანეთი ჩააბარეს ამ ამხანაგობას. „საზ-ბამ“ ვერც შეპირებული ყველი და კარაქი დაამზადა და დღემდე ვერც კინო-სურათი მიიღო (სურათი გადაღებული იყო საქართველოში და მონტაჟისათვის კი წაღებული მოსკოვში?!). საჭირო გახდა სპეციალური წარმომადგენლის ორჯერ გაგზავნა მოსკოვში, რამაც მნიშვნელოვანი ხარჯები გამოიწვია. დღემდის დახარჯულია ამ სურათზე 15.000 მანეთამდე, სურათი კი, როგორც ვთქვით, ჯერაც არსად სჩანს.

2) გამგეობამ 1927 წელში მიზნად დაისახა ხევსურეთში (ორწყალში) კოოპერატივისათვის საჭირო შენობის აგება. ეს საქმე დაავალეს ტეხნიკოს-მშენებელს ა. თოფაძეს, რისთვისაც გასცეს 1,500 მანეთი), არც ხარჯთ-აღრიცხვა, არც პროექტი და არც სხვა რაიმე ასეთი არ სჩანს. უკვე 1930 წელია და ამ შენობის ბედიღბალი გამოურკვეველია. ამბობენ—შენობა აგებულია, თვითონ ტეხნიკოსი თოფაძეც ამასვე გაიძახის, მაგრამ, საკვირველია, ნუ თუ შენობის აგებას 1.500 მანეთი ეყო, თუ არა—საიდან მოიტანა თოფაძემ დანარჩენი თანხა. „საზ-ბის“ საქმეებში კი არავითარი კანონიერი საბუთები, ან ცნობები ამ შენობის შესახებ არ მოიპოება. ცხადია, ერთი რამ: უგეგმოთ იყო დაწყებული ამ შენობის საქმე და მისი მშენებლობაც უგეგმობის ნიშნებს ატარებს. 1500 მანეთი კი დღემდე ტეხნიკ თოფაძეზე ირიცხება და მის განაღდება-დაფარვაზე არც თვითონ მიმღები ფიქრობს და არც „საზოგადოების“ გამგეობა იწუხებს თავს.

3) გამგეობამ გადასწყვიტა ხევსურეთში „კულტურის შეტანის მიზნით“ ს. ორწყალში სავაჭრო გახსნა! გახსნეს დუქანი და ერთი წლის განმავლობაში ამ „კულტურულმა დუქანმა“ 4.000 მანეთის ზარალი მისცა „საზოგადოებას“.

4) 1929 წელში გამგეობამ დაადგინა საკინძავი სახელოსნოს შეძენა. შეეკაჟრნ ვინმე მოქ. აივაზიანს შესაფერ მანქანების ყიდვაზე. შესყიდულ იქნა მანქანები 5.000 მანეთად, რომლებიც თვის განმავლობაში მანქანები იდგენ უმოქმედოდ და ერთ დღეს სრულიად შემთხვევით მათი ტეხნიკური უვარგისობაც იქნა აღმოჩენილი. უპატრონობის გამო სახელოსნო ვერ ამუშავდა და, მაშასადამე, 5.000 მანეთი წყალში გადაყრილად უნდა ჩაითვალოს.

5) სატრიკოტაჟო სახელოსნოსათვის 3.500 მანეთად შეძენილ იქნენ საჭირო მანქანები. შესყიდვის დღიდანვე მოწვეულ იყო გამგე 120 მანეთის ჯამაგირით თვეში. სახელოსნო თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში ვერ ამოძრავდა და გამგეს კი ჯამაგირი ეძლეოდა. სახელოსნო არ ამუშავდა და მანქანების რემონტზე კი 1.500 მანეთამდე დაიხარჯა.

6) „საზ-ბამ“ მოაწყო 1929 წლის ზაფხულში „კულტლაშქრობა“ ხევსურეთში, რაზედაც დაიხარჯა 2.000-ზე მეტი მანეთი. ლაშქრობის შედეგები არსად სჩანან და, მაშასადამე, ეს ფულიაც განიავებულად უნდა ჩაითვალოს.

7) „საზ-ბამ“ 1927 წელს გასცა 500 მანეთი ექიმ ტასო კაიშაურზე ვითომ რაღაც საავადმყოფოს დასაარსებლად, მაგრამ ამ საავადმყოფოს არსებობის ნიშნები არ სჩანს.

მოყვანილი ფაქტები საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ „მთიელთა საზ-ბის“ არანორმალურ მდგომარეობაში და დაისვას მისი გაჯანსაღების, მუშაობის მეთოდების გადახალისების საკითხი.

„საზ-ბა“-ს აქვს მრავალი სავაჭრო და საწარმოო წამოწყება, რომელთა შემოსავალი წარმოადგენს მის ფინანსიურ საშუალებების ერთად-ერთ წყაროს. ამ „საზ-ბის“ ქონებრივ საშუალებანი, რომელთა ღირებულება ათეულ ათასებს უდრის, საჭიროებენ მიზანშეწონილ სამეურნეო ხელმძღვანელობას, მაგრამ ამას ჩვენ ვერ ვხედავთ.

„მთიელთა საზ-ბა“ ძალიან გატაცებულია ვაჭრობით. მისი სავაჭრო დარგი არეულ-დარეულია და ორგანიზაციული ნაკლოვანებანი აქ ნიადაგს ქმნიან ბოროტმოქმედებისათვის. სავაჭრო ნაწილის გამგე მოქ. მ. კაიშაური ამ თანამდებობისათვის შეუფერებელი პიროვნებაა. კაიშაური სარგებლობს „საზ-ბის“ საქმეების აბნეულობით და თავის თანამდებობას პირადი ინტერესებისათვის იყენებს. სავაჭრო წერტების მდგომარეობა სავალალოა. აღრიცხვის და კონტროლის საქმე დიდ გაუმჯობესებას მოითხოვს. გამგე კაიშაურს სავალანტერიო წერტებში „ჩამწკრივებული“ ჰყავს თავისი ძმა-ბიჭები, ყოველივე ეს ქმნის შესაძლებლობას კომბინაციებისათვის. კაიშაური ფართოდ სარგებლობს კერძო კაპიტალით (რასაც არ მალავს) და „საზ-ბის“ სახელზე გამოტანილ სადეფიციტო საქონელს კერძო ბაზარზე ასაღებს, რაიც, რასაკვირველია, შესაფერ „შემოსავალსაც“ აძლევს. სავაჭრო საგალანტერიო წერტებში მოკალათებული არიან ყოფილი ვაჭრები: მენთეშაშვილი, ნათელაძე, ბეჟანიშვილი, რომელნიც სანდონი არ არიან. ეს ხალხი დაუყოვნებლივ უნდა გაიწმინდოს. სხვა წერტებშიც მრავლად მოიპოვებიან საეჭვო პირები, მაგრამ გამგეობა ამას ყურადღებას არ აქცევს. „სა-ზა“-ს ჰყავს მოლარე—ინკასატორის თანამდებობაზე ვინმე ა. ციხისთავი (პენსიონერი), რომელსაც წვრილი „კომბინაციების“ წარმოება არ ეუცხოება. არავის მოუფიქრებია მოულოდნელი რევიზია მოეწყო, თორემ ალბად მისი ავ-კარგი გამომჟღავნდებოდა. 1925 წლიდან შეიპარა „საზ-ბაში“ ვინმე ვ. კიკნაძე, რომელმაც „წველა“ 1929 წლამდე საკანცელარიო ნივთების მაღაზია, და მნიშვნელოვანი ზარალიც მოუტანა „საზ-ბას“. ეს მაღაზია დაიკეტა, მაგრამ კიკნაძე ისევ დარჩა.

ასეთი ხალხით „მთიელთა კულტურული სა-ბა“ ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას: ამ ორიოდე თვის განმავლობაში „საზ-ბის“ აპარატში მოწვეულ იქნენ ორი-სამი პარტიული ამხანაგი, მაგრამ მათი მონაწილეობა აღნიშნულ „გარემოცვაში“ იჩრდილება. საჭიროა „მთიელთა საზ-ბის“ საფუძვლიანი გამოკვლევა და ზომების მიღება მისი მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

ვ. ხეველი.

გამოძახილი წერილებზე

ბრალდება არ დადასტურდა

ა.-კ. და საქართველოს მ.-გლ. ინსპექციის საჩივართა ბიუროს კოლეგიის დადგენილება

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 11-ში (16 მაისს) მოთავსებული იყო წერილი სათაურით „ბოროტმოქმედი ინსტრუქტორ-რევიზორი“. წერილი ეხებოდა კოოპკავშირის ინსტრუქტორ-ბუხჰალტერს ვლადიმერ ჩიქაშუას. აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით მ.-გ. ინსპექციის საჩივართა ბიურომ გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელმაც აწარმოვა კვლევა-ძიება. ვლად. ჩიქაშუას საწინააღმდეგოდ წამოყენებულ ბრალდებებზე. გამოირკვა, რომ აღნიშნულ წერილში წამოყენებული ბრალდებები ჩიქაშუას მიმართ არ შეეფერებოდა სინამდვილეს და აშენებულა ცილის წამებაზე, ამიტომ მ.-გ. ინსპექციის საჩივართა ბიუროს კოლეგიამ დაადგინა: კოოპკავშირის ინსპექტორ ლადო ჩიქაშუაზე წამოყენებული ბრალდებები გაზ. „კომუნისტ“-ში ა. წ. 16 მაისს ჩაითვალოს უსაფუძვლოდ და ცილის წამებაზე აგებულად, რაც გამოქვეყნებული იქნას პრესაში.

სოციალისტური შეჯიბრება

მეტი ყურადღება შეჯიბრების შედეგების შემოწმებას

ფოთის ნავთსადგურის მუშები შეჯიბრების მოწინავე პოზიციებზე

აბრეშუმის საქსოვ პირველ ფაბრიკაში პროდუქციის ხარისხი თანდათან უარესდება

სოცშეჯიბრების შედეგები ფოთში

ტვირთი

სოც. შეჯიბრებამ ფოთის თეთრი ტვირთის მუშებში ფართო ხასიათი მიიღო. მიმდინარე სამეურნეო წლის მეორე კვარტალში ტვირთის გადამუშავება თითო მუშაზე 3,32 ტონიდან 4,60 ტონამდე გაიზარდა. შრომის ნაყოფიერება 60 პროც. გაიზარდა. გემები დაჩქარებით წესით იცლება და იტვირთება. მაგ., გემი „დეკაბრისტი", რომელიც ელევატორის საშუალებით 11 დღის იტვირთებოდა, ფოთში და ცლილ იქნა სამ დღეში. გემი „ტემპი" უნდა დაცლილიყო 4 დღეში, დაიცალა 2 დღეში. გემი „ბოლშევიკი" 5 დღის ნაცვლად 2 დღეში დაიცალა.

საერთოდ საბჭ. და საგარეო ფლოტს თვითეული გემის გაჩერება ნავთსადგურში დღეში უჯდება 300—400 მანეთი. აქედან აშკარაა თუ რამდენ ეკონომიას იძლევა მუშების ასეთი დაჩქარებით წესით მუშაობა.

ფოთის თეთრი ტვირთის მუშებს თავი დამკვრელად აქვთ გამოცხადებული. საწარმ.-საფინანსო გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით.

შავი ტვირთი

საწარმოო გეგმის მიხედვით, საანგარიშო კვარტალში ფოთის ნავთსადგურში მარგანეცი უნდა გადამუშავებულიყო 250.000 ტონა. საზღვარგარეთ გაზიდულ იქნა 170.000 ტონა. ადგილობრივ გადამუშავდა 77.000 ტონა. ამრიგად გეგმა შესრულებულია 100 პროც.

თვითღირებულება თვიურად ტონაზე დაკლებულია 26 კაპ., რაც უდრის 8,36 პროც. შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად გაიზარდა. მაგ., ვაგონებიდან „კატკებში" დაცლა გაიზარდა 12 ტონიდან 16 ტონამდე. „კატკებიდან" გემებში დატვირთვა 13-დან 14 ტონამდე, ვაგონებიდან ბაქანზე დაცლა 11,5 ტონიდან 13,2 ტონამდე, ვაგონებზე დატვირთვა 9,6 ტონიდან 10,4 ტონამდე.

დღეების გაცდენა დაყვანილია 0,70 პროცენტამდე, დაგვიანება—კი 3 საათი და 40 წუთამდე. — შავი ტვირთის 390 მუშიდან 250 მუშამ დამკვრელად გამოაცხადა თავი.

დანაკარგებთან საბრძოლველად გამოყოფილია ცალკე კომისია, რომელიც ენერგიულ მუშაობას აწარმოებს.

მუშები კარგად იცნობენ საწარმოო-საფინ. გეგმას და სოცშეჯიბრების პირობებს და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მის წარმატებით შესრულებაში.

ხე-ტყის ქარხანა № 1

ქარხანას ცუდ პირობებში უხდება მუშაობა. ის განიცდის ნედლეულობის ნაკლებობას. ქარხნის ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის ერთის მხრივ ხე-ტყის საჭირო რაოდენობით უქონლობა და მეორეს მხრივ მისი ცუდი ხარისხი. მიუხედავად ამისა ქარხანამ შესძლო საწარ. გეგმის 20 პროც. გადაჭარბებით შესრულება.

გეგმის მიხედვით ქარხანას უნდა გადამუშავებინა 1500 კ. მეტრი მასალა. გადამუშავებულ იქნა 1813 კ. მეტრი. ფოთის ხე-ტყის ქარხანამ მესამე ადგილი დაიჭირა საქართველოს სატყეო ტრესტის ქარხნებს შორის.

ქარხანაში შეჯიბრება გამოცხადებულია დაზგებს შორის. გამარჯვებული გამოვიდა № 3 დაზგა ამხ. რადიონ ჟორჟოლიანის ხელმძღვანელობით, რომელსაც ჯილდოთ მიეცა 70 მანეთი და ამხ. სტალინის სურათი გარდამავალ ჯილდოდ. დანაკარგებთან საბრძოლველად გამოყოფილ ცალკე კომისია, რომელიც აწარმოებს გეგმიან მუშაობას.

საანგარიშო კვარტალში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 3 პროცენტით, თვითღირებულება: იაფია 3 პროცენტით. თვითღირებულების ზრდა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ქარხანას ხეთიდან უხდება ხე-ტყის მოტანა, რაც საგრძნობლად აძვირებს ნაწარმოებს.

შ. ელიავას სახ. ქარხანა

ამხ. ელიავას სახ. ქარხნის პროდუქციის ხარისხი მეორე კვარტალში გაუმჯობესებულ იქნა 14 პროც. საზეინკლო და სახარატო ცეხებში 11 პროც., ჩამომსხმელ ცეხში 5 პროც., მექვაბეთა ცეხში 12 პროც.

თვითღირებულება დაკლებულია: საზეინკლო ცეხში 10 პროც., სახარატოში 13 პროც., ჩამომსხმელში 14 პროც., სამჭედლო და სადურგლოში 26 პროც., მექვაბეთა ცეხში 10 პროც. სამუშაო დღების გაცდენა ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული სრულიად, ის დაყვანილ იქნა 7-მდე. დაგვიანება დაყვანილია 418 წუთზე. ინდივიდუალურ შეჯიბრში ჩაბმულია მხოლოდ 12 მუშა, გამოყოფილია 2 დამკვრელი ბრიგადა 20 მუშით. საწარ.-საფ. გეგმა შესრულებულია 105 პროც. ქარხნის მუშაობას საგრძნობლად ხელს უშლის ნედლი მასალის უქონლობა.

საერთოდ წარმოებებში ჯგუფების მიერ ვალდებულებათა პირნათლად შესრულება და მთელი მუშების ზედმიწევნით დაინტერესება გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ მუშები ღირსეულად ატარებენ დამკვრელების საპატიო სახელწოდებას.

მუშები იძლევიან კიდევ ახალ დაპირებებს, რომ ისინი შესძლებენ დასახული გეგმის წარმატებით შესრულებას.

გ. ჟღენტი.

შეჯიბრებამ გაადიდა შრომის ნაყოფიერება

(ბამბის ფაბრიკა)

ამიერ-კავკ. საფეიქრო ტრესტის ბამბის ფაბრიკაში სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლამ ხელი შეუწყო საწარმოო გეგმის შესრულებას. მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან მუშების პირველ ცვლამ (ფაბრიკაში ორცვლიანი მუშაობაა), სოცშეჯიბრებაში გამოიწვია მეორე ცვლაში მომუშავე მუშები. დადებულ ხელშეკრულებით თვითეულ ცვლას თვეში უნდა გამოეშვა შემდეგი რაოდენობის პროდუქცია: იანვარში 1812 შეკვრა, თებერვალში 1740 და მარტშიც 1740 შეკვრა.

ფაქტიურად კი გამომუშავებულია პროდუქცია შემდეგი რაოდენობით: იანვარში პირველ ცვლამ გამოიმუშავა 3682 შეკვრა, თებერვალში—3656, მარტში—3534. მეორე ცვლამ იანვარში გამოიმუშავა—3704, თებერვალში — 3632, მარტში—3554.

ამრიგად მიმდინარე სამეურნეო წლის მეორე კვარტალში პირველმა ცვლამ გამოიმუშავა — 10.872 შეკვრა, ხოლო მეორე ცვლამ—10.900. სოც. შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა მეორე ცვლა. არის აგრეთვე ინდივიდუალური შეჯიბრებაც. ბამბის ფაბრიკის ცეხკომებშიც ინდივიდუალურ შეჯიბრებაში გამოიწვია საპნის ქარხნის ცეხკომი, მაგრამ ხსენებული ქარხნის ქარხკომი შეჯიბრებას გულცივად შეხვდა.

კულტურული დახმარება სოცშეჯიბრების ფართოთ გაშლის საქმეში ძალზე მოისუსტებს. ქარხკომიც სუსტ ხელმძღვანელობას უწევს სოცშეჯიბრში ჩაბმულ მუშებს. ერთხელაც არ ყოფილა მოწყობილი კითხვა-პასუხის საღამო სოცშეჯიბრების მნიშვნელობაზე, არაა ჩამოყალიბებული თვითღირებულების შემცირებისა და დანაკარგებთან მებრძოლი წრეები. ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალები სოც. შეჯიბრებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ.

შრომის დისციპლინის მხრივაც ყველაფერი რიგზე ვერაა. მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში არა საპატიო მიზეზით გაცდენილია 24 კაც-დღე, საპატიო მიზეზით 7 კაც-დღე, ხოლო სამუშაოზე დაგვიანების ყველა შემთხვევათა ჯამი უდრის 23 კაც-დღეს, რაც არა ნორმალურ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

გარდა ამისა ადგილი აქვს შინაგანაწესის დარღვევას, როგორიც მაგალითად სიმთვრალეს, ადმინისტრაციის განკარგულების შეუსრულებლობას, თავისი ნებით სამუშაოდან წასვლას, ცეხის უფროსის მიერ მუშის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაყვანას, მანქანა-იარაღებისადმი გულგრილ მოპყრობას (რამაც გამოიწვია მანქანის დამსხვრევა), მუშაობის დროს ძილს და სხვა, რაც უნდა მიეწეროს როგორც ადმინისტრაციის, ისე ქარხკომისა და პარტუჯრედის სუსტ ხელმძღვანელობას.

ბამბის ფაბრიკაში შრომის დისციპლინის სათანადო ნიადაგზე დაყენებისათვის საჭიროა მუშებს შორის აღმზრდელობითი და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის ფართოდ გაშლა, რაც პირველ რიგში ქარხკომმა უნდა იკისროს. ამასთან ერთად საჭიროა სოცშეჯიბრებაზე უფრო მტკიცე ხელმძღვანელობის გაწევა და სოცშეჯიბრებაში ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალების ჩაბმა.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

შრომის დაცვის კანონი ირღვევა

შრომის ხელშეკრულება ჭიათურაში სამთამადნო ტრესტის მიერ დარღვეულია. საბიუჯეტო წლის პირველ ოქტომბრიდან დღემდე, მუშებს არ მიეცემათ სპეცტანსაცმელი. შრომის ინსპექცია არ სდგას თავის სიმაღლეზე. სამუშაო ადგილებზე ინსპექტორები არ დადიან. სამრეწველო რაიონები არაა შემოწმებული ინსპექციის მიერ, რისთვისაც ხშირია აქ უბედური შემთხვევები.

სამთამადნო კავშირმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

ივანე.

შრომის პირობები ქობულეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში

ქობულეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს 1.300 სეზონური მუშა, მათ შორის 300-მდე ქალია, უმთავრესად აჭარლები. მეურნეობის ერთი ნაწილი, დაახლოებით 10-15 ჰექტარი, რომელიც მდებარეობს რკ. გზის გასწვრივ, ჭაობიანია. გარდა ამისა მეურნეობას აკრავს მთლად ჭაობიანი ადგილები შავი ზღვის ნაპირამდე, რის გამო ეს მხარე მალარიიანია.

ამ ადგილში მუშათა დროებით საცხოვრებელი ბარაკები აშენებულია დაბლობში, ბარაკებში არაა დაცული სისუფთავე, მუშების უმრავლესობას სწოლები არა აქვთ, ბარაკებს 10-15 სანტიმეტრის მიწაშია და კედლებიც დაბალი აქვს, რაც ხელს უწყობს მალარიის გავრცელებას. ზაფხულში ამ ბინებში მუშების დატევება შეუძლებელია. წყალიც სრულიად უვარგისია და გადაუდუღებლად ხმარობენ. არც აბანოა. სამრეცხაო მოწყობილია, მაგრამ შიგ არაა საჭირო ინვენტარი.

სასადილოს ინვენტარი უვარგისია. სადილები არაა ძვირი. სასადილოს არა აქვს ჩვეულებრივი წყალი და მუშები უწყლოთ სადილობენ. სანოვაგით სასადილო ვერაა უზრუნველყოფილი.

ადგილობრივ გახსნილია კოოპერატიული პუნქტი, მაგრამ ხშირად შიგ არაფერი იშოვება. მეურნეობასთან არსებობს ამბულატორია, სადაც მუშაობს მხოლოდ ერთი ფერშალი. გარდა ამისა ბათომიდან ხანგამოშვებით დადის სამალარიო სადგურის ერთი ფერშალი.

ცხადია, ასეთი პირობები მუშათა საქმეში დახმარების საქმე ვერ იქნება სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. ყოველდღიურად ამბულატორიაში ტარდება 70-80 ავადმყოფი, რომელთა 90 პროც. მალარიითაა დაავადებული. მძიმე ავადმყოფები იგზავნებიან ქობულეთის საავადმყოფოში. დამხმარე პუნქტი არაა.

მეურნეობაში მუშაობს 5 ტრაქტორი. ტრაქტორებს ამუშავებენ ღამითაც, მაგრამ ხელოვნური განათების გარეშე, რის გამო ადგილი ჰქონდა 3 უბედურ შემთხვევას. ღამე მუშაობისას მძიმედ დაშავდა ბრიგადირი ილურიძე, ტრაქტორისტი მაზმიშვილი და ნაზღუხი. სპეცტანსაცმელს მიწის მუშებს არ აძლევენ.

მეურნეობას არა აქვს შინაგანი განაწესი. არ არის გაშლილი სოცშეჯიბრება, კულტმუშაობაც მოისუსტებს და სხ. პროფორგანო ამას ყურადღებას არ აქცევს.

მუშათა საცხოვრებელი ბარაკები დაუყოვნებლივ გადატანილ უნდა იქნეს მაღლობ და მშრალ ადგილზე, რათა მალარიის გავრცელება თავიდან იქნეს აცილებული. აგრეთვე საჭიროა მოეწყოს სალი წყაროების გამოყვანა, საექიმო დახმარების გაძლიერება, კულტმუშაობის გაცხოველება, აბანოს მოწყობა, სასადილოს გაუმჯობესება და სხვ.

შრომის კომისარიატი ამჟამად იმუშავებს სასწრაფო ღონისძიებებს ქობულეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშების შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

ზევიდან დანიშნული დამკვრელი ბრიგადები

(აბრეშუმის 1-ლი ფაბრიკა)

აბრეშუმის საქსოვ პირველ ფაბრიკაში დამკვრელობის საქმე ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. დამკვრელი ბრიგადები აქ ზევიდან იყო არჩეული. ამის გამო მათ ვერ შეასრულეს მოვალეობა.

ხელმძღვანელობა ქარხკომიდან და საწარმოო თათბირიდან სუსტი იყო. ამიტომ დამკვრელი ბრიგადებიც სუსტად მუშაობდნენ. ქარხკომი და ადმინისტრაცია უყურადღებოთ სტოვებდა მუშების საქმიან წინადადებებს.

დისციპლინა მუშებში და კანტორაში მოიკოჭლებდა. მუშები მარტამდე არ იცნობდნენ სამრეწველო - საფინანსო გეგმას და არ იცოდნენ, თუ რამდენი პროდუქცია უნდა გამოემუშავებიათ. ერთმმართველობა ჯერ კიდევ არ არის გატარებული. ადმინისტრაცია, ქარხკომი და უჯრედი, ერთმანეთში ურევენ თავიანთ ფუნქციებს. საამქროებში უწესრიგობაა. ერთ საამქროს 3-4 კაცი უფროსობს.

სამუშაო დღეების გაცდენაც თანდათან მატულობს. მაგ.: მიმდინარე წლის 1 კვარტალში გაცდენილი იყო 1722 დღე, მეორე კვარ. 2486 დღე. პოლიტიკური - სამეურნეო ხელშეკრულების ყველა პუნქტებიდან შესრულებულია მხოლოდ ნაწილი. ხელშეკრულების მთავარი საკითხები, რომლებიც გულისხმობენ შრომის ნაყოფიერების აწევას და თვითღირებულების დაკლებას, ცხოვრებაში არ არის გატარებული.

ცუდი ხარისხის პროდუქცია თანდათან მატულობს. მაგ.: გასული წლის 10 თვეში იყო 10 პროც. წუნი, 1930 წლის პირველ ნახევარში წუნი აღწევს 13 პროც-ს. თანხები, კაპიტალური რემონტისათვის არ არის სწორად განაწილებული და არ იხარჯება მიზნობრივად, გეგმის მიხედვით. კედლის გაზეთი ვერ აშუქებდა კარგად სოცშეჯიბრების საკითხებს.

შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ დარგში სოცშეჯიბრება ფართოდ იყო გაშლილი, მაგრამ საერთოდ ეს საქმე ვერ იყო სათანადოთ მოგვარებული. არც ადგილობრივ ადმინისტრაციას და არც პროფორგანოს არ უწარმოებიათ სოცშეჯიბრების შედეგების აღრიცხვა.

ყველა ამის გამოსასწორებლად შემომუშავებულ ბრიგადებმა გამოიმუშავეს მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებებისა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხორციელებული.

ნ. ა—ძე

მუშაობა უმჯობესდება

(ოზურგეთი)

ოზურგეთის თხილის საწმენდ ქარხანაში მუშაობს 122 მუშა-მოსამსახურე. ქარხანა მუშაობს დაჩქარებით წესით, 24 საათს დღე-ღამეში და ამზადებს საექსპორტო თხილის გულს. ქარხანა ნედლეულს ღებულობს ზაქათალიდან.

ქარხანას შეუძლია დაამუშაოს წელიწადში 100.000 ფუთი თხილი, მაგრამ ღებულობს მხოლოდ 50-60.000 ფუთ თხილს, ამიტომ მას უხდება წელიწადში 4-5 თვით მუშაობის შეწყვეტა.

1927-28 წელს მუშების ეკონომიური მდგომარეობა ცუდი იყო; 1928-29 წ. კი პირობები ცოტათი გაუმჯობესდა. რაც შეეხება 29-30 წელს, უნდა ითქვას, რომ მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ეს აიხსნება იმით, რომ პირველად გაუწვრთნელი მუშები ცუდს და ცოტა გამომუშავებას იძლეოდნენ. ეხლა, როდესაც მუშები გაწვრთნილნი არიან, კარგ და საკმაო პროდუქციას იძლევიან. ამით ქარხნის ადმინისტრაციას მიეცა საშუალება და გააუმჯობესა მუშების პირობები როგორც ხელფასის მიმართებით, აგრეთვე მუშების სრული დაზღვევით.

მუშებში სწარმოებს აღმზრდელობითი და კულტურული მუშაობა: ეწყობა გასართობები, მოხსენებები და საწარმოო თათბირების ხშირი სხდომები.

მუშებმა დააარსეს კოლექტივი; მიიღეს 4-5 ჰექტარამდის მიწა ქალაქის ახლოს, სადაც უკვე გააშენეს თხილის პლანტაცია და სადაც ყველა თავისუფალ საათებში მუშები დიდის აღფრთოვანებით მიეშურებიან სამუშაოთ.

საჭიროა ამ ქარხანას მიექცეს უფრო მეტი ყურადღება.

ა. ღლონტი.



ტრამვაის სახელოსნოები. დამკვრელი—სამუშაოზე

სამუშაო სწორათ არ არის განაწილებული

თბილისის აღმასკომის ძეხვის ქარხანაში მუშებს შორის სამუშაო არ არის განაწილებული თანასწორად. არიან მუშები, რომლებიც რამოდენიმე სამუშაოს ასრულებენ და ხელფასსაც კარგს ღებულობენ. არიან ისეთებიც, რომლებიც ერთი სამუშაოთაც საკმაოდ არ არიან დატვირთულნი, მაგალითად, ქარხნის დარაჯები, თავიანთი პირდაპირი მოვალეობის გარდა, მუშაობენ სხვა სამუშაოებზედაც: ხორცის გადმოტვირთვაზე, შემის დაბერებაზე და სხვა, რაშიც ღებულობენ კარგ ხელფასს. ეს იმ დროს, როდესაც შრომის ბირჟაში აურაცხელი უმუშევრები მოგვეპოვებიან.

ქარხნის ადმინისტრაციამ ეს ნაკლი უნდა გამოასწოროს.

ზაჰესის ძალოვანების გადიდება

54.000 ცხენის ძალამდე

საკავშირო სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება ზაჰესის გაფართოების შესახებ

გუშინ ამიერ-კავკ. ელექტრო-მშენებლობის ტრესტმა „ზაკელექტროტოკმა" მოსკოვიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„12 ივნისს, საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა საკავშირო ს.მ.უ. საბჭოსა და საკავშირო საგეგმო კომისიის მოხსენებები ზაჰესის გასაფართოებელ სამუშაოთა დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ".

ზაჰესის გასაფართოებლად შედგენილი პროექტი წარდგენილი იყო საკავშირო ს.მ.უ. საბჭოში და საკავშირო საგეგმო კომისიაში, რომლებმაც ეს პროექტი უკვე დაამტკიცეს 18 ათასიდან 54 ათას ცხენის ძალამდე.

ამჟამად ზაჰესის სიმძლავრე უდრის 18.000 ცხენის ძალას, მრეწველობის სწრაფი ზრდის გამო, ზაჰესის ეს სიმძლავრე უკვე ვეღარ აკმაყოფილებს მთელ მოთხოვნილებას. სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია, ფერო-მარგანეცის ქარხნის ამუშავება, და საქართველოს ჰიდრო-ცენტრალის მოწყობა მოითხოვს ზაჰესის გაფართოებას.

ამჟამადაც ზაჰესს უხდება არანორმალურ პირობებში მუშაობა. ზაჰესის ექსპლოატაციის გასული სამი წლის განმავლობაში მარტო თბილისის ფარგლებში მოთხოვნილება ისე გაიზარდა, რომ საჭირო ხდება ზაჰესის ოთხივე აგრეგატის ერთად ამუშავება, რომ მთელი მოთხოვნილება იქნეს დაკმაყოფილებული. ასე მუშაობა კი დაუშვებელია, რადგან ჩვეულებრივათ დიდ ჰიდრო-ელსადგურებზე უსათუოდ უნდა იყოს დატოვებული რამოდენიმე სათადარიგო აგრეგატი, რომლებიც ამუშავებული იქნებიან განსაკუთრებულ შემთხვევაში.

ზაჰესის გასაფართოებლად გადაწყვეტილია შეძენილ იქნეს გაუმჯობესებული ტიპის ე. წ. კაპლანის სისტემის ორი ახალი ტურბინა. თვითეული ტურბინის სიმძლავრე იქნება — 18.000 ცხენის ძალა, ისე რომ ორივე ტურბინის დადგმის შემდეგ ზაჰესის სიმძლავრე გაორკეცდება.

„ზაკელექტროტოკის" მმართველის ინჟ. ბან. ჭიჭინაძის ცნობით, მუშაობა ზაჰესის გასაფართოებლად დაიწყება სულ მოკლე ხანში. ამჟამად უკვე სწარმოებს საჭირო წინასწარი სამზადისი სამუშაოების დასაწყებათ და ამიერ-კავკ. ელექტრო-მშენებლობის სამმართველო მოელოდა მხოლოდ საკავშირო სახკომსაბჭოს დასტურს, რომ მუშაობა დაეწყო.

ამ დღეებში დანიშნული იქნება ზაჰესის გასაფართოებელ სამუშაოთა ხელმძღვანელი.

ზაჰესის გაფართოება, ხარაზადო ქვესადგურებისა და გადამცემი ხაზების მოწყობა სულ დაჯდება დაახლოებით 6 მილიონი მანეთი.

უმუშევრობა კლებულობს

1929 წლის 1-ლ ივნისიდან მიმდინარე წლის 1-ლ ივნისამდე თბილისის შრომის ბირჟის აღრიცხვაზე მყოფ უმუშევართა რიცხვი 32,9 პროცენტით შემცირდა. მარტო უკანასკნელი თვის — მაისის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი 14,8 პროცენტით შემცირდა. რადგან მაისში აღრიცხვიდან არ მოუხსნიათ ის უმუშევრები, რომლებიც სარეგისტრაციოდ არ გამოცხადდნენ, როგორც ეს წინად ხდებოდა, ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ უმუშევრობა ფაქტიურად უფრო მეტად შემცირდა. უმუშევრობის შემცირებას თითქმის საერთო ხასიათი აქვს შრომის ყველა პროფესიებისათვის. უმუშევართა დიდი რიცხვის შემცირება გამოიწვია საამშენებლო სეზონის დადგომამ და სამრეწველო წარმოების გაფართოებამ: რკინის გზის სახელოსნოებში შემოღებულ იქნა განუწყვეტელი წარმოება, საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნილება მუშა-ხელზე „მკერავი"-ს, 26 კომუნარის სახელობის ქარხნის და სხვათა მხრივ. მრავლად გაიხსნა საზოგადო კვების ახალი პუნქტები. ამის გარდა მაისში ბევრი უმუშევარი გადასამზადებელ კურსებზე გაიგზავნა.

საგზაო ინსტიტუტი თბილისში

პირველ ხანებში ინსტიტუტი მოთავსებული იქნება რკინისგზელთა პროფკავშირის ა.-კ. საგზაო კომიტეტის შენობაში.—შემდეგ იგი გადავა საკუთარ შენობაში, რომელიც აგებული იქნება ვაკეზე.

12 ივნისს საღამოს ამხ. შალვა ელიავას თავმჯდომარეობით შესდგა ამიერ-კავკ. რკინის გზის განათლების საბჭოს სხდომა. სხდომაზე განიხილეს თბილისში საგზაო ინსტიტუტის მოწყობის საკითხი.

მოხსენებით გამოვიდა საკავშირო გზათა სახ. კომისარიატის კადრების ცენტრალური სამმართველოს უფროსის თანაშემწე ამხ. ბერეზოვსკი, რომელმაც განაცხადა, რომ ინსტიტუტის გახსნასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ამიერ-კავკ. დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებულია და ინსტიტუტის გახსნას რაიმე დაბრკოლებები წინ არ ეღობება. გამოსარკვევია მხოლოდ შენობის საკითხი.

საბოლოოდ გამორკვეულია, რომ ინსტიტუტი სტუდენტებით და პედაგოგიური პერსონალით უზრუნველყოფილი იქნება სრულ წელს. 1.300 სტუდენტი გადავა ინსტიტუტში თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროს კურსებიდან, ხოლო პირველ კურსზე მიღებული იქნება სულ 280 კაცი. აქედან 180 საამშენებლო, საექსპლოატაციო და მექანიკურ ფაკულტეტებზე და ას—ავტო-გზის განყოფილებაზე. პედაგოგიური პერსონალით საგზაო ინსტიტუტი ნაწილობრივ უზრუნველყოფილი იქნება პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან და ნაწილობრივ გამოყენებული იქნებიან ტრანსპორტზე მომუშავე სპეციალისტები.

საბჭოს სხდომაზე გადაწყდა ინსტიტუტის დროებით მოსათავსებელი ბინის საკითხი და საკითხი სპეციალური შენობის ასაგებ ადგილის ამორჩევის შესახებ. ეს საკითხები ყველაზე უფრო სადაოდ ითვლებოდენ აქამდე. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, რკინის გზის ორგანიზაციებს მიზანშეწონილად მიაჩნდათ საგზაო ინსტიტუტის ახალი შენობის აგება ნაძალადევში. საბჭოს სხდომაზე კი გადაწყდა ინსტიტუტის შენობა აგებულ იქნას არა ნაძალადევში, არამედ ვაკეში, საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მახლობლად, სადაც განზრახულია საუნივერსიტეტო ქალაქის შექმნა. საბჭომ ამის მიხედვით ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს მიმართა შუამდგომლობით, რათა ხსენებულ რაიონში გამოყოს მიწის ნაკვეთი ინსტიტუტის შენობის ასაგებად.

ამიერ-კავკ. რკინის გზის დირექციას წინადადება მიეცა—სასწრაფოთ შეუდგეს ინსტიტუტის შენობის პროექტის დამუშავებას.

ახალი შენობის აგებამდე ინსტიტუტი მოთავსებული იქნება საგზაო კომიტეტის შენობაში და საკუთარ ლაბორატორიების და კაბინეტების მოწყობამდე ისარგებლებს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიებით და კაბინეტებით.

საბჭომ დაავალა ამხ. ბერეზოვსკის, შეუთანხმოს სათანადო უმაღლეს ორგანოებს ინსტიტუტის ხელმძღვანელ პირების დანიშვნის საკითხი.

საგზაო ინსტიტუტი სასწავლო და ფინანსიური მხრივ დაექვემდებარება გზათა სახ. კომისარიატს.

სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებში

მომუშავეთა თათბირი

12 და 13 ივნისს თათბირმა მოისმინა სოციალური უზრუნველყოფის სამაზრო და საოლქო განყოფილებების წარმომადგენელთა მოხსენებები განყოფილებების მუშაობის შესახებ.

ახალციხის, ზუგდიდის და სამხრეთ-ოსეთის წარმომადგენლების გამოუცხადებლობის გამო თათბირს არ მოუსმენია მოხსენებები ამ ოლქების და მაზრების სოც. უზრუნველყოფის დაწესებულებების მუშაობის შესახებ.

ადგილების წარმომადგენელთა მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ თითქმის არც ერთ მაზრაში და არც ერთ ოლქში სოციალური უზრუნველყოფის საქმეს არ აქვთ ჯეროვანი ყურადღება. თბილისის ოლქში, მაგალითად გაერთიანდა ბორჩალოს და დუშეთის ყოფილი მაზრები და ნაწილი გარე-კახეთისა. სოციალური უზრუნველყოფაზე აყვანილთა რაოდენობა ერთი-სამათ გაიზარდა, ხოლო თბილისის საოლქო აღმასკომმა კი სოც.-უზრ. განყოფილებას დაავალა მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა შეადგინოს წარსული წლების ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში.

თბილისის აღმასკომი, ისე როგორც სხვა საოლქო და სამაზრო აღმასკომებიც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სოციალურ-უზრუნველყოფაზე აყვანილთა საჭიროებებს. მოკავშირე რესპუბლიკებში, მაგალითად, სამოქალაქო ომების და სახელმწიფო თავდაცვისათვის ბრძოლაში დასახიჩრებულ უფლებებს ინვალიდებს ეძლევათ ტრამვაის უფასო ბილეთები. თბილისში კი, მიუხედავად მრავალგზისი შუამდგომლობებისა, ეს საკითხი ჯერაც არაა მოგვარებული.

დანარჩენ მაზრებთან და ოლქებთან შედარებით ყველაზე უფრო დამაკმაყოფილებლად მუშაობს ქუთაისის სოც.-უზრ. განყოფილება, თუმცა სათანადო თანხების სიმცირე მასაც უშლის ხელს.

ადგილებიდან მოხსენებების მოსმენის შემდეგ გაიმართა კამათი ყველა მოსმენილ მოხსენებათა გარშემო.

დაშკესანის მადანი და ტყვარჩელის ნახშირი

ამიერ - კავკასიის მეტალურგიული ქარხანა განჯაში

განჯაში ამიერ - კავკასიის მეტალურგიული ქარხნის აგებასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად, თბილისში ჩამოვიდნენ მეტალურგიული ქარხნების პროექტების შემმოწმებელი სახელმწიფო ინსტიტუტის („გიპრომეზ"-ის) და დაშკესანის კომიტეტის წარმომადგენლები—ინჟ. ხარტულარი, ეიხილსონი და სხვები.

განჯაში მეტალურგიული ქარხნის აგება სავსებით დასაბუთებულია: დაშკესანში მოიპოვება მაღალხარისხოვანი რკინის მადანის დიდი მარაგი, ხოლო ტყვარჩელი მომავალში მოგვცემს დასაკოქსავი ნახშირის საკმაო რაოდენობას.

„გიპრომეზ"-ის სამმართველომ შეიმუშავა მეტალურგიული ქარხნის პროექტის ორი ვარიანტი. პირველი ვარიანტის მიხედვით, ქარხანამ წელიწადში უნდა დაამუშაოს 600 ათასი ტონა თუჯი. აქედან დამზადდება 450 ათასი ტონა მილი, 70 ათასი ტონა ფურცლოვანი რკინა, 30 ათასი ტონა სახურავის რკინა და 20 ათასი ტონა თუნუქი. მეორე ვარიანტი ითვალისწინებს ქარხნის ძალის აყვანას 1 მილიონ ტონა თუჯამდე.

აზერბაიჯანის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ყველაზე მიზანშეწონილად სცნო ქარხნის პირველი ვარიანტი. მეტალურგიული ქარხნის ძალის საკითხი გადატანილი იქნა ამიერ-კავკასიის უმაღლეს ორგანიზაციებში.

ვინ აფერხებს მრეწველობის მუშაობას

ბათომის ქიმიური და დელფინის ქარხნების დირექტორები მოხსნილია თანამდებობიდან

ბათომი, 13 ივნისი. საქ. კ. პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტმა აღნიშნა მეტად არანორმალური მდგომარეობა ბათომის ქიმიურ და დელფინის ქარხნებში.

დელფინის ქარხანაში დირექტორი კრაშეგინი ახშობდა კრიტიკას და თვითკრიტიკას, ყურადღებას არ აქცევდა მუშების ინიციატივას და საქმიან წინადადებებს, სდევნიდა მუშკორებს და გლეხკორებს, რომლებიც ამხელდნენ მას და, ბოლოს, სცემა მუშა-მემანქანეს. საოლქო კომიტეტის დადგენილებით კრაშეგინი მოხსნილია თანამდებობიდან და მიცემულია პასუხისგებაში.

საოლქო კომიტეტმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ქარხანაში სრულებით არ ტარდებოდა ცხოვრებაში პარტიული დირექტივები ერთმმართველობის შესახებ, სისწორით ჩამოყალიბებული არ იყო ფუნქციები პროფკავშირულ და ადმინისტრატიულ ორგანოებს შორის და ადგილი ჰქონდა უყურადღებობას მუშა-პარტიელებისა და პროფორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც თავის დროზე არ გამოეხმაურენ ქარხნის დირექტორის მოქმედებას.

საოლქო კომიტეტმა დაადგინა აგრეთვე მოხსნილი იქნეს ქიმიური ქარხნის დირექტორი ოშურიძე, რომელიც თავის დროზე მოხსნილი იყო ტყავის ქარხნიდან მუშების დადგენილებებისა და წინადადებებისათვის ანგარიშის არ გაწევისათვის და აგრეთვე იმისათვის, რომ მუშებს შორის ავრცელებდა ცრუ ხმებს: ასეთი იქცეოდა ის ქიმიურ ქარხანაშიაც.

ამ ღონისძიებების გარდა, საოლქო კომიტეტმა წინადადება მისცა მუშათა და გლეხთა ინსპექციას დაუყოვნებლივ შეუდგეს ქიმიური და დელფინის ქარხნების ყოველმხრივ გამოკვლევას.

აჭარისტანის პროფსაბჭოს წინადადება მიეცა სასწრაფოდ ჩაატაროს აღნიშნულ ქარხნებში პროფმუშაობის მდგომარეობის გამოკვლევა.

მოხსნილი დირექტორების ადგილზე წამოყენებული არიან მუშა-კომუნისტები. მიღებულია ზომები პროფმუშაობის გასაძლიერებლად აღნიშნულ ქარხნებში. (ადს).

ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის დადგენილება

ამხ. თოფჩიანის საქმის გამო

ჩაითვალოს, რომ ამხ. თოფჩიანის გამოსვლა პარტიულ კრებაზე ისეთი ბრალდებებით სომხეთის ს.ს. რესპუბლიკის დამსახლი ორგანოების წინააღმდეგ, რომლებიც ემყარებოდნენ არასწორ ცნობებს და ხმებს, ანტიპარტიულია. რისთვისაც ეხლანდელი რთულ მდგომარეობაში და სომხეთის კომპარტიის მუშაობის ძნელ პირობებში ამხ. თოფჩიანი პარტიის რიგებიდან გამორიცხვის ღირსია. მაგრამ ვინაიდან ამხ. თოფჩიანმა აღიარა თავისი შეცდომები, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილების შესაცვლელად, ამხ. თოფჩიანი აღდგენილ იქნეს პარტიის რიგებში და გამოეცხადოს მას სასტიკი საყვედური.

ხაკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე ა. იაკოვლევი.

ხელოვნება

მეორე ქართული სახელმწიფო დრამის თეატრის გასტროლები თბილისში

დ. შენგელაია — „თეთრები"

მე-2 ქართული დრამის თეატრის მორიგ წარმოდგენათ დ. შენგელაიას „თეთრები" წავიდა. ავტორს ამ პიესაში ჩვენი წარსულის ის პერიოდი აქვს აღებული, როცა საქართველო, რევოლიუციონურ რუსეთს მოწყვეტილი, იმპერიალისტების ბნელი ძალების სათარეშო ასპარეზს წარმოადგენდა. ეს იყო სამოქალაქო ომის ხანა. თემა, ამ მხრივ რა თქმა უნდა არ არის ინტერესს მოკლებული. პირიქით, საბჭოთა მწერლის ცდა — ასახოს რევოლიუციონურ ბრძოლათა ცალკე გმირული ეპიზოდები, უეჭველად მისასალმებელია. მაგრამ, მთავარი აქ დასახულ იდეის მხატვრული განხორციელების ძალაშია მდგომარეობს. გამოსარკვევია, რამდენად შესძლო დრამატურგმა გადაჭრა თავისი ამოცანა.

თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით საკითხს, მაშინ, დავინახავთ, რომ პიესა კომპოზიციურად მეტად სუსტადაა გაკეთებული. ვერ არის სწორად აგებული ფაბულა და ამასთან დაკავშირებით ზოგჯერ დაუსაბუთებელია დრამის პერსონაჟთა მოქმედებები. არ არის ის, რასაც მოქმედების მოტივაციას უწოდებენ. ცხადია ცუდათ აგებული ფაბულის დროს ვერ იშლება ინტრიგა, დრამის მთავარი ხაზები, არ იხატება მომქმედ პირთა ცალკე ქცევებში მათი შინაგანი პსიქიკა.

რა ინტრიგა უძევს ამ პიესას საფუძვლად? მენშევიკების დამქაშები, უცხოელ ინტერვენტების დახმარებით ტერორის ქვეშ აყენებენ თავისი მიზნების განხორციელებისათვის წინააღმდეგ მუშებს.

მუშების უდიდესი შეურაცყოფა, დარბევა და ხვრეტა, აი მათი ბრძოლის მეთოდი. მათ ეშინიათ ბოლშევიზმის აჩრდილის. აპატიმრებენ ერთ-ერთ მუშას და მოუსჯიან დახვრეტას. ღენერალს (მეორე მოქმედებაში) შემოესმის სიმღერა. გამოირკვევა, რომ ეს დასახვრეტელი მუშის შვილი მღერის. ის გაყავთ დასახვრეტად. აქ ინასკვება ინტრიგა. მაგრამ იგი არ არის პსიქოლოგიურად გახსნილი სწორად. შემდეგ, პიესის ინტრიგა არ განსაზღვრავს პერსონაჟების მდგომარეობას პიესაში. თითეული პერსონაჟი თითქოს დამოუკიდებლად მოქმედობს, პიესის შინაგან ძაფთან დაუკავშირებლად. დრამატიულ მოქმედებათა მომზადება სათანადოთ არ ატარებს აუცილებლობის ხასიათს. მაშინ, როცა, სიუჟეტის სწორად აგების დროს მოქმედებები ერთი-მეორისაგან მთელის აუცილებლობით გამომდინარეობენ. მაყურებელიც ამ განცდათა კომპლექსში შედის, იქ წყდება იმ კანონზომიერებს, თუ ყველა ნამდვილ დრამატიულ ნაწარმოებშია მოცემული.

მიუხედავად ასეთი სუსტი მასალისა, თეატრის ყველა საშუალება უხმარია, რომ ეს ნაკლი შეევსო კარგათ დადგმით. კარგი არის პირველი მოქმედება. მოცემულია ნავთსადგურის ფონი და ამ ფონზე იშლება კონფლიქტები მომქმედ პირთა შორის. უეჭველად აღსანიშნავია მეზღვაურთა სცენა. დაქერილთა მათი დამახასიათებელი ენერგიული მოძრაობის, მეტყველების და სხვ.

შემსრულებელთა შორის ჩვენ გვინდა ხაზი გაუსვათ ვ. ანჯაფარიძის მიერ ამერიკელ ქალის ტიპის გრიმინალურ. იგი მეტად აჭარბებს როლს. ვფიქრობთ, რომ მიერ დასახული ამერიკელი ქალის ტიპი ვერ სტოვებს სათანადო შთაბეჭდილებას.

„თეთრები", როგორც რევოლიუციონური პიესა აუცილებლად სუსტი ნაწარმოებია, მაგრამ როგორც პირველი ცდა არ არის მთლად უნაყოფო. ავტორმა მეტად ბევრი უნდა იმუშაოს, რომ მოგვცეს დასრულებული დრამატიული ნაწარმოები, ხოლო თეატრი უფრო კრიტიკულად უნდა მიუდგეს რევოლიუციონური რეპერტუარის შერჩევას.

ა. ს—ა.

მეცნიერება და ტეხნიკა

ელექტრო-ენერგიის გამოყენება სოფლის მეურნეობაში

დღეს სავსებით აშკარაა, რომ სოფლის მეურნეობაში ენერგეტიულ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ტრაქტორიზაციით შეუძლებელია. ჩვენი სოფლის ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს, რათა ნედლეულ მასალის პირველადი გადამუშავება ადგილზე მოხდეს, რისთვისაც ტრაქტორი ნაკლებად გამოგვადგება.

ისიც უდავოა, რომ დღევანდელ რეკონსტრუქტიულ პერიოდში ტრაქტორიზაციი უდიდეს როლს ითამაშებს და სწორედ მან უნდა მისცეს უდიდესი სტიმული ჩვენში ელექტროფიკაციის სწრაფ განვითარებას. მაგრამ საბოლოოდ ელექტრო - ენერგიამ უნდა შესცვალოს შინაგანი წვის ძრავები.

კაპიტალისტურ ქვეყნებში სოფლის მეურნეობაში ელექტრო - ენერგიის გამოყენების ცდები 20 წლის წინად დაიწყო და ეხლა ზოგან ელექტრო - ენერგია პრაქტიკულად არის გამოყენებული, მაგრამ ძლიერ მცირე მასშტაბით. ელექტრო-ენერგიის მაქსიმალურად გამოყენება კაპიტალისტური ქვეყნების სოფლის მეურნეობაში შეუძლებელია. ამაზე ჯერ კიდევ ენგელსი მიგვითითებდა: „ელექტრო-ენერგია — ეს არის ენერგია მომავალ კომუნისტურ საზოგადოების, ენერგია, რომელიც ვერ მოთავსდება კაპიტალისტურ წყობილების ჩარჩოებში, ენერგია რომელიც ვერ ურიგდება კერძო საკუთრების პრინციპს".

საბჭოთა კავშირში არ არსებობს კერძო საკუთრება მიწაწყალზე და ამასთან დაკავშირებით გვაქვს აუარებელი მარაგი ელექტრო-ენერგიის მისაღებად. ამას მიუმატეთ ის, რომ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ, რაც საშუალებას გვაძლევს ფართოდ გამოვიყენოთ ელექტრო-ენერგია სასოფლო მეურნეობაში.

საქართველოში „თეთრი ნახშირი"-ს წყაროები — რიონჰესი, აბჰესი და სხვა ჰიდროელსადგურები, რომლებიც მომავალში გვექნება, საშუალებას მოგვცემენ, მათი მთლიან ჩაბმის შემდეგ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ელექტრო ენერგია სოფლის მეურნეობაში: ტრაქტორით მოხვნათ მიუვალი მთაგორიანი ადგილები და ელექტრონით გავანათოთ თვითეული კოლექტივი და გლეხის ოჯახი.

ელექტრო - ენერგიას შეუძლია სასოფლო მეურნეობაში შეასრულოს ყოველგვარი სამუშაო — ნიადაგის დამუშავება (მოხვნა, დაფარცხვა), მოსავლის აღება და მისი გადატანა, გალეწვა, დახარისხება, თივის აღება, წისქვილის ამუშავება, ინკუბატორის ამუშავება, საკვების შემზადება დასილოსება ძროხების წველა, ბოთლების რეცხვა, ყურძნის დაჭყლეტა, ღვინის გადაღება, ზეთის გამოხდა ნიადაგის ხელოვნურად გათბობა და სხვა.

ამერიკაში ელექტროენერგიას სოფლის მეურნეობაში გამოყენება აქვს 200 სხვადასხვა სახის სამუშაოს შესასრულებლად.

საბჭოთა კავშირში ელექტროფიკაციის გენერალური გეგმა ლენინის ინიციატივით შემუშავდა და მას ამხ. ლენინი პარტიის მეორე პროგრამას უწოდებდა.

ელექტრო-გუთანი

„ელექტროსელსტროი"-ში ლენინის წინადადებით დაიწყო პირველი ცდები ნიადაგის ელექტრო-გუთნით მოსახვნელად. ეს ცდები 1920 წლიდან 1925 წლამდე გაგრძელდა. ამ ხანებში, რა თქმა უნდა, ცდებისათვის არ იყო სათანადო პირობები: სახსრები, სათანადო რიცხვი ელექტროსადგურების, მსხვილი საბჭოთა მამულები და სხვა, მაგრამ ცდებმა ნათლად დაამტკიცეს ელექტრო-გუთნის უპირატესობა ტრაქტორთან შედარებით.

ელექტრო-გუთნის უპირატესობა ტრაქტორთან და ცხენის ძალასთან შედარებით —საკმაოდ დიდია:

1) ელექტრო-გუთნით შესაძლებელია ნიადაგი უფრო ღრმად მოიხნას (40 სანტიმეტრამდე).

2) ელექტრო-გუთნისათვის საჭიროა ნაკლები მუშა-ხელი და ისიც არაკვალიფიციური, რომელიც ტრაქტორზე აუცილებელია.

3) ელექ. გუთნით მოხვნის დროს ადგილი აქვს მუშა-ხელის ეკონომიას; არ იხარჯება დრო საწვავ მასალის მოტანაზე და წყალი მას სრულებით არ სჭირდება.

4) ელექტრო-გუთნით მუშაობა გვაძლევს დროის დიდ ეკონომიას.

5) ელექტრო-გუთნით მუშაობის დროს დამუშავებული ნიადაგი უკეთესი ხარისხისაა და ამავე დროს მოხვნა უფრო იაფი ჯდება.

6) ელექტრო-გუთნით მუშაობის დროს შემოსავალი მიწის ერთეულ მოედნიდან იზრდება, რადგან ის საკვები, რომელიც მუშასაქონლისათვის უნდა მიგვეწოდებია, ბაზარზე გაგვაქვს.

ჩვენთვის დღის მთავარი ყურადღების ღირსია ელექტრო-გუთანი, რომელიც მოძრაობაში მოყავს ელექტრო ფურგონს (ელექტრო-ტელეჟკა). უკანასკნელს სდგას 4 ბორბალზე, ბორბლების დიამეტრის სიდიდე სხვადასხვაა, სისტემების მიხედვით („მაუ-უეი", „ბრიგსი

სახ.-სამ. მანქანების შეერთება ელექტრომოტორთან

და სტრეტონი", „კუმინი", „იუნგი" და სხვა). ელექტრო-ფურგონის შუა ადგილას მოთავსებულია ელექტრომოტორი, რომელიც ელექტრო-დენს ღებულობს სარაიონო ქსელიდან.

მიწის მოხვნის დროს საჭიროა ორი ელექტრო-ფურგონი; ერთი სახნავი მოედნის ერთ თავში დგას და მეორე— მეორე თავში. მათ შორის მანძილი ხშირად 500 მეტრს უდრის, თვითეულ ელექტრო-ფურგონს აქვს 80 ცხენის ძალა და 4.000 კ. გრამამდე წევის ძალა.

ელექტრო-ფურგონის წინა ნაწილში მოთავსებულია სარეგულაციო საჯე. კაბელისათვის (ფოლადის) წინ მოთავსებულია ვიწრო ვერტიკალური დოლი, აქედან კაბელი მოძრაობის დროს გადადის უკანა ჰორიზონტალური დოლზე, აქედან კი ემაგრება გუთანს. უკანასკნელს ხან ერთი ელექტრო-ფურგონი



ელექტრო-ფურგონი

ეწევა და ხან მეორე, სისწრაფე მოხვნის 1 წამში უდრის 0,9—1,6 მეტრამდე, ელექტრო-ფურგონებს შორის მანძილს (500 მეტრი) გუთანი გადის 5-7 წუთში. ამრიგად ერთი ჰექტარი იხვნება დაახლოებით 44 წუთში.

თითო ელექტრო-გუთანზე მუშაობს 2 კაცი, სულ 4 კაცი. ხშირად სახნისების მაგიერად ელექტრო - ენერგიით ამუშავებენ ჯირკვებს ან ხეებს ამოსაღებ იარაღს. 1 საათში შესაძლებელია 30 ჯირკვის ამოღება და 60-70 ხის.

ემცევის გამოანგარიშებით, (გერმანიის პრაქტიკიდან აქვს აღებული) ელექტრო-ფურგონის მუშაობა (80 ცხ. ძალიანი), 500 მეტრის სიგრძეზე მძიმე ნიადაგების 25 სანტიმ. სიღრმეზე მოხვნის დროს 12 საათში ჯდება 20,11 მარკა, ე. ი. 10 მანეთამდე.

ყოველივე ზემოთ თქმული ნათლად ამტკიცებს, თუ რა დიდი პერსპექტივები აქვს ელექტროფიკაციას სასოფლო მეურნეობაში.

აგრ. რ. დოლიძე

ამონიუმის სულფატის წარმოება დოქტორ ტერნის ხერხით

თუ წინათ ამონიუმის სულფატის და სხვა აზოტოვან მარილების წარმოება ხელსაყრელი იყო გაზის ყველა ქარხნებისათვის, დღეს იგი მეტად ძვირი სარგებელს აძლევს მხოლოდ გაზის მნიშვნელოვან ქარხნებს. რაც შეეხება პატარა და საშუალო ქარხნებს, ეს წარმოება დღეს მათთვის სავსებით დეფიციტიანია.

ეს გარემოება აიხსნება ერთის მხრივ ხელოვნური სასუქის გაიაფებით, რაც გამოიწვია სინტეტიური ამიაკის წარმოებამ და, მეორეს მხრივ, გოგირდის სიმჟავის ფასის საგრძნობ გადიდებით.

აზოტოვან ნაწარმოების დამზადების ახალ ხერხს, რომელიც ეყრდნობა ელექტრონულ საშუალებას, დოქტორ ტერნის აზრით, აქვს ის უპირატესობა, რომ აქ მარტივდება იქნება მხოლოდ გაზის ქარხნის ქვე-პროდუქტები და ამგვარად იგი წარმოება დამოუკიდებელი იქნება გოგირდის სიმჟავისაგან. ამასთანავე ეს ხერხი არის მეტად მარტივი და მისი წარმოება შეიძლება მოხდეს შესანიშნავ სისუფთავის პირობებში. გაზისებური ამიაკი კი მიიღება ჩვეულებრივ სადისტილაციო სვეტის აპარატში, რომელიც უკვე აქვს გაზის ქარხნების უმეტეს რაოდენობას და ამიტომ ეს გარემოება არ იწვევს წარმოებისათვის დამატებით ხარჯებს, რაც შეეხება გოგირდოვან ანჰიდრიდს, რომელიც საჭიროა სულფატის მისაღებათ, მას ღებულობენ ქვე-პროდუქტების საბოლოო ნარევის ღუმელში დაწვით, რომელიც შემდეგ რკალის ღუმელში გარდიქმნება გოგირდის ანჰიდრიდათ. ამგვარად მიღებული გოგირდის ანჰიდრიდს გაზოვან ამიაკთან ერთად ატარებენ ელექტრო-ფილტრებში და აქედან ღებულობენ საბოლოო პროდუქტს— ამონიუმი, რომელსაც სხვადასხვა ხერხით ღე- საჭირო წყლის ორთქლის რაოდენობას იძლევა თვით გაზის სინესტე. ამასთანავე წარმოებისათვის საჭირო დენის სიდიდე მეტად მცირეა. მიღებული მარილი შეიცავს 22 პროც. სახატისას, არის მეტად სუფთა და თეთრი ფერის და შეგვიძლიან გავავრცელოთ, როგორც სასუქი. მარილს, მისი ელექტრიური გზით მიღების გამო, უწოდეს ელექტრო-ამონი. ერთი ტონა ასეთი პროდუქტისა ღირს 90-100 მარკით უფრო ნაკლები, ვიდრე სულფატი და ამონიუმი, რომელსაც სხვადასხვა ხერხით ღებულობენ ამჟამად ქიმიურ მრეწველობაში.

დოქტორ ტერნის ხერხის გამოსაცდელათ სვინემუნდის გაზის ქარხანაში, მისი დირექტორის ინიციატივით მოეწყო პატარა წარმოება, რომელმაც იმუშავა ერთი წელი. 1929 წ. აგებული იქნა უკვე დიდი მასშტაბით მოწყობილობა, რომელიც ემსახურებს ინგლზ-დორფის გაზის ქარხანას ლეიპციგის ახლოს.

მომავალში აგებული იქნება მხოლოდ დიდი მასშტაბის ქარხნები, რომელთა წლიური წარმატება იქნება არა ნაკლებ 10 მილიონ კუბიკურ მეტრისა.

ინჟ. შ. ზაალიშვილი.

ბერდის ექსპედიციის შედეგები

სამხრეთ-პოლიარულ მატერიკზე 14 თვის გატარების შემდეგ ამერიკელ მკვლევარ ბერდის ექსპედიცია ბრუნდება შეერთებულ შტატებში და თან მოაქვს საკმაოდ დიდი მასალა ყინულებში ჩაჭედილ დედამიწის ამ ნაწილზე.

ბერდმა და მისმა თანამშრომლებმა ვერ შესძლეს იმ ამოცანების მთლიანად გადაჭრა, რომლებიც თავდაპირველად იყო დასმული ექსპედიციის წინაშე. ექსპედიციას განზრახული ჰქონდა ორი წელიწადი მაინც დარჩენილიყო ანტარქტიკაში და მოეხდინა დაწვრილებითი მეტეოროლოგიური, გეოგრაფიული და ბიოლოგიური დაკვირვებები, რომლებიც ნათელს მოჰფენდნენ ანტარქტიკის სადაო საკითხებს. ამ მიზნით ექსპედიცია მოწყობილ იქნა მეცნიერების ისტორიაში ჯერ არ ხილული სიმდიდრით. ექსპედიციას თავის განკარგულებაში ჰქონდა საკუთარი აეროპლანები, უკანასკნელი კონსტრუქციის სამეცნიერო ხელსაწყოები და სხვ. იმ ადგილას, სადაც ექსპედიცია შეჩერდა საზამთროდ, მოეწყო მთელი ქალაქი: ექსპედიციის წევრთა ბინებით, აეროპლანების სადგომებით, გარაჟებითა და რადიო-სადგურებით. სურსათ-სანოვაგით ექსპედიცია სამი წლით იყო უზრუნველყოფილი, ექსპედიციის პერსონალი შერჩეული იყო გამოცდილად მუშაობის მძიმე პირობებთან შეჩვეულ მეზღვაურებისაგან.

მიუხედავად ასეთი ყოველმხრივი მომზადებისა, ექსპედიციას პირველი დღეებიდანვე არაჩვეულებრივი დაბრკოლებები გადაეღობა წინ. პირველ ყოვლისა — სატრანსპორტო დაბრკოლებები. ექსპედიციის გემი „ელეონორა ბილლინგ" ყინულებში ჩაიჭედა. აეროპლანების გამოყენება თითქმის შეუძლებელი შეიქნა ანტარქტიკის საშინელი სიცივის პირობებში. 14 თვის განმავლობაში გაფრენა შორ მანძილზე მოეწყო სულ რამდენიმეჯერ. ექსპედიციის მონაწილეებს შორის გავრცელდა ავადმყოფობა. ყოველივე ამან აიძულა ექსპედიცია შეემოკლებია ანტარქტიკაში დარჩენის ვადა და უკან დაბრუნებულიყო.

მაგრამ ის მასალებიც კი, რაც ექსპედიციამ შეაგროვა, საკმაოდ დიდ ღირებულებას წარმოადგენს მეცნიერებისათვის.

ექსპედიციის პირველი შედეგია — სამხრეთ-პოლიარული ოლქის რუკის გადასინჯვა. ბერდმა და მისმა თანამშრომლებმა აღმოაჩინეს სამი მთაგრეხილი. ერთი მთაგრეხილი (რომელსაც როკფელერის მთაგრეხილი უწოდეს) მდებარეობს უეილზის ყურესთან —ექსპედიციის ბაზის ახლო. მეორე მთაგრეხილი, რომელსაც ექსპედიციის მონაწილის ჩარლზ ბიბის პატივსაცემად მისი სახელი უწოდეს, მიიმართება სამხრეთ - პოლიუსთან მდებარე კინ მოდის მთაგრეხილისაკენ. მესამე მთაგრეხილი გაჭიმულია როსის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე.

კარმენის მიწა, რომელიც 1911 წელს აღმოაჩინა როალდ ამუნდსენმა და რომელიც თანამედროვე რუკებზე აღნიშნულია კინ მოდის მთაგრეხილიდან აღმოსავლეთით, ექსპედიციამ ვერ იპოვა. როსსისა და ვედელის ზღვა შეერთებული აღმოჩნდა ფართო სრუტით. ზოგიერთი გეოგრაფების მიერ წამოყენებულმა გიპოტეზამ, რომ ანტარქტიკა მატერიკი კი არ არის, არამედ ზღვებით დასერილი არქიპელაგი, თითქმის დადასტურება ბერდის ექსპედიციის შედეგად.

კინ მოდის მთაგრეხილის გამოკვლევამ უარჰყო საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება, თითქო ეს მთაგრეხილი ანდების გაგრძელება იყოს. კინ მოდის აგებულობა და ხასიათი არაფრით ჰგავს ანდებს. ამრიგად ნიადაგი ეცლება მოსაზრებას, რომლის მიხედვით სამხრეთ - პოლიარული მატერიკი და სამხრეთ-ამერიკა ოდესღაც ერთ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ.

ექსპედიციის ბიოლოგებმა მოახერხეს ანტარქტიკის მეტად ღარიბი ფაუნის (ცხოველთა სამყაროს) შესწავლა. შეკრებილია სრული ცნობები ვეშაპების, სელაპების და პინგვინების — სამხრეთ - პოლიუსზე ცოცხალ არსებათა ამ თითქმის ერთად-ერთი წარმომადგენლების ჩვეულებებისა და ცხოვრების შესახებ.

მდიდარი მასალა მისცა ექსპედიციამ მეტეოროლოგებს. ექსპედიციის მეტეოროლოგიური სადგური უეილზის ყურეში ყოველ საათში აღნიშნავდა ატმოსფერის მდგომარეობას, ქარის მიმართულებისა და სისწრაფეს, ბარომეტრულ წნევას და სხვ. ცნობებს. ცნობებს სამხრეთ - პოლიარული ოლქის ჰავის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეტეოროლოგიისათვის.

საქმე იმაშია, რომ სამხრეთ-პოლიარული მატერიკი მისი ყინულის დიდი მასით უდიდეს გავლენას ახდენს დედამიწის სამხრეთ-ნახევარ სფეროს ამინდზე. სამხრეთ-პოლიუსზე არის არსებითად დამოკიდებული ამინდი დედამიწის ნახევარზე. ასე მაგალითად, შემჩნეულია, რომ თუ ზამთარი ანტარქტიკაში რბილია, ზაფხულში სამხრეთ-ამერიკაში ნალექების დიდი რაოდენობა მოდის და მოსავალი კარგია. მკაცრ ზამთარს საუტ ორკნის კუნძულზე სრული სამნახევარი წლის შემდეგ გვალვა მოაქვს არგენტინაში. მტკიცე კავშირი ამ ფაქტებს შორის გამორკვეულია, თუმცა მათი მიზეზი ჯერ შესწავლილი არ არის.

ექსპედიციამ გამოარკვია, რომ სავსებით მიზანშეწონილი და საიმედოა მოკლე რადიოტალღების გამოყენება შორ მანძილზე კავშირის დასამყარებლად. მოკლე ტალღიანი მომუშავე რადიო-სადგური უეილზის ყურეში იმდენად წესიერად მუშაობდა, რომ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმს"-ს, რომელმაც შეიძინა ექსპედიციის ინფორმაციის მიღების მონოპოლური უფლება, ყოველდღე ჰქონდა დაწვრილებითი ანგარიშები ექსპედიციის მუშაობის შესახებ.

ფ. ვ.

იშვიათი ელემენტი

60 წლის წინ გენიალურმა რუსმა მეცნიერმა დ. მენდელეევმა „იწინასწარმეტყველა" № 91 ელემენტის არსებობა, ნამდვილად კი ეს ელემენტი აღმოაჩინეს 13 წლის წინ (1917 წ.) პროფ. განმა და მეიტნერმა გერმანიაში და შემდეგ ერთდროულად სოდდიმ და კრანსტონმა ინგლისში და მას პროტოაქტინიუმი უწოდეს. აღმოჩენიდან პირველი ათეული წლის განმავლობაში ვერ მოახერხეს პროტოაქტინიუმის მიღება წმინდა სახით, ვინაიდან მას აწერდნენ ქიმიურ თვისებებს, რომლებიც მას არ ახასიათებდა. ფიქრობდნენ, რომ ეს ელემენტი თავისი თვისებით წააგავს ტანტალს (მენდელეევის სისტემაში № 73). 1926 წელს შანხაის საგამოკვლევო ქიმიურ ინსტიტუტის დირექტორმა გროსმა შეიმუშავა პროტოაქტინიუმის თვისებათა ახალი თეორია, რომელშიც მიუთითებდა განსხვავებაზე ტანტალსა და პროტოაქტინიუმს შორის. 1927 წ. გროსმა პირველად მიიღო პროტოაქტინიუმი წმინდა ჟანგის სახით, რომელიც წარმოადგენდა სრულიად თეთრ ფხვნილს, დნობა საკმაოდ მაღალი ტემპერატურით. სიბნელეში ეს ფხვნილი ოდნავ ანათებს, რაც მისი ატომების დაშლით აიხსნება.

პროტოაქტინიუმის ატომი იშლება რადიუმის ატომის მსგავსად და დაახლოებით ისეთივე ინტენსივობით. მაგრამ იმ დროს, როცა რადიუმის ატომის ნახევრად დაშლის პერიოდი 2.500 წელიწადს უდრის, პროტოაქტინიუმისათვის იგი 50.000 წელიწადს შეადგენს. პროტოაქტინიუმის ატომების დაშლის დროს წარმოიშობა ელემენტი (მენდელეევის სისტემაში № 89), რომლის სახელიც პროტოაქტინიუმმა მიიღო თავისი სახელწოდება („პროტო"—ბერძნულად ნიშნავს პირველს). პროტოაქტინიუმის დაშლის დროს აქტინიუმის გარდა წარმოიშობა სხვა ელემენტებიც, რომელთა რიცხვს ეკუთვნის გაზისებური ნივთიერება—აქტინიუმის ემანაცია.

რამდენადაც პროტოაქტინიუმი ახალი ელემენტია, ჯერ კიდევ გამოურკვეველია, თუ როგორი იქნება მისი პრაქტიკული გამოყენება. საფიქრებლად მიაჩნიათ, რომ მან შესძლოს რადიუმის მაგიერობის გაწევა. პროტოაქტინიუმის სასარგებლო თვისებას წარმოადგენს მისგან აქტინიუმის მიღების შესაძლებლობა. აქტინიუმი 2.000-ჯერ უფრო იშვიათი ელემენტია, ვიდრე პროტოაქტინიუმი და ამიტომ იგი დღემდე არ არის მიღებული ისეთი რაოდენობით, რომ შეიძლებოდეს მისი დანახვა შეუიარაღებელი თვალით, თუმცა აქტინიუმისათვის პრაქტიკული გამოყენება უკვე ნაპოვნია: უაღრესად განზავებული სახით აქტინიუმს იყენებენ რადიოთერაპიაში (მკურნალობა რადიოაქტიურ ნივთიერებათა სხივებით), რადგან იგი ფიზიოლოგიურად 100-ჯერ უფრო აქტიურია, ვიდრე რადიუმი.

საგულისხმოა აქტინიუმისა და პროტოაქტინიუმის წარმოშობის საკითხი. რამდენადაც პროტოაქტინიუმის ატომების ნახევრად დაშლის პერიოდი 50.000 წ. უდრის, დედამიწა კი მრავალი მილიონი წელიწადია არსებობს, ფიქრობენ, რომ პროტოაქტინიუმი უნდა წარმოშობილიყოს რომელიღაც ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობ ელემენტიდან, რომელსაც არსებობის კიდევ უფრო დიდი პერიოდი ახასიათებს.

ახალი სახის ფანჯრის მინები

ინგლისში გასაყიდათ გამოუშვეს ახალი სახის ფანჯრის მინები, დანიშნული მაღალი სახლების ქვედა სართულებისა და სარდაფების გასანათებლად. ცნობილია, რომ თანამედროვე ქუჩა თავისი მრავალსართულიანი სახლებით, თითქმის სრულიად უსინათლოდ სტოვებს ქვედა სართულებს. მზიან დღისაც კი ასეთ ბინებში ნახევრად ბნელა. ახალი მინა ისეა დამზადებული, რომ აგროვებს სინათლეს, რომელიც ზევიდან ეცემა და მიმართავს მას ჰორიზონტალურად პირდაპირ ოთახში. ამას აღწევენ იმით, რომ მინის გარეთა ნაწილი შესდგება მთელ რიგ პრიზმატიულ ნაწილებისაგან, რომლებიც ასრულებენ სინათლის ჰორიზონტალური მიმართულებით გამტყორცნი სარკის როლს. ფირმა, რომელმაც ეს მინები გამოუშვა, ამტკიცებს, რომ მინები ქვედა სართულების განათებას ერთი-ორად ადიდებენ.

სტუდენტ გ. ა. ჩიხლაძის გამოგონება

საქ. სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა გ. ა. ჩიხლაძემ გამოიგონა ელექტრო-გამაღვიძებელი საათი. ელექტრო-საათი შესდგება ჩვეულებრივ საათისა და რამდენიმე ზარისაგან. (ზარების რიცხვი—სურვილზეა დამოკიდებული).

B—B ზარის ბოლოები შეერთებულია A შტეპსელთან. თუ სურთ, მაგალითად, რომ ზარმა დარეკოს 5 საათზე, ზარის ერთი მავთულის ბოლოს ურთავენ A შტეპსელში, სადაც სწერია რიცხვი 12, მეორე ბოლოს კი იქ, სადაც სწერია 5. საათის ისრების საშუალებით წარმოიშობა კონტაქტი და ზარი რეკს. რეკვის ხანგრძლივობა უდრის 2 წუთს. ერთი საათით შეიძლება დარეკოს რამდენიმე ზარი.

ქრონიკა

სახურავი ფიქალი კახეთში

კუშინ კახეთში სახურავ ფიქალის დამუშავების ადგილების დასათვალიერებლად თბილისიდან გაემგზავრა საქართველოს სამშენებლო ტრესტის სპეციალური კომისია.

კომისია იქ გაეცნობა სახურავ ფიქალის დამუშავების შედეგებს, მისი სამრეწველო მნიშვნელობის გამორკვევის თვალსაზრისით.

საავადმყოფოებში და ამბულატორიებში პირველ რიგში მიღებული იქნებიან ბავშვები

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დადგენილებით საავადმყოფოებსა და ამბულატორიებში პირველ რიგში მიღებული იქნებიან ბავშვები.

ყასი კარაქზე

გემის გარეშე შემოხიდული კარაქი გაიყიდება 6 მ. კილო. კარაქი გაიცემა დაზღვევის წიგნაკებით.

საკურორტო სამმართველოში

— ახალი სანატორიუმები. 15 ივნისიდან ბორჯომში გაიხსნება ახალი სანატორიუმი.

— კურორტებზე სავარჯიშო და სხვა სახის გასართობების მოსაწყობად გადადებულია 16.000 მანეთი.

— დამთავრდა ქობულეთის მუშათა დასასვენებელი სახლის მოწყობა. სახლი გაიხსნება 1 ივლისს.

ახალი კადრები

— მშენებლები. შრ. კომისარიატი აღმშენებელთა მოსამზადებლად ხსნის ახალ კურსებს, რომელზედაც გაიგზავნება 800 კაცი.

— ათისთავები. შრ. კომისარიატი ამ დღეებში აწყობს ათისთავების მოსამზადებელ კურსებს 50 კაცისათვის.

სხვადასხვა —)Ф7" სუეოზე კლბოიინბნმნლ

— მხარეთმცოდნეობითი გამოფენა. სახ. უნივერსიტეტის სახელმძღვანელო წრის და გეოგრაფ. საზ-ბის მთასელა-მგზავრობის განყ-ბის გამოფენა დაათვალიერა 17.000 კაცმა. გამოფენა გაგრძელდება 20 ივნისამდე.

— 14 ივნისს, საღამოს 8 საათზე სახ. პოლიტ. ინსტიტუტის დიდ სამხაზველოში შედგება რკ. გზების, წყლის, ექსპლოატაციური და ავტო-გზების განხრის სტუდენტთა საერთო კრება. დღის წესრიგში: ამხ. ბერიზოვსკის მოხსენება „გზათა ინსტიტუტის გახსნის შესახებ".

დანიშნულებისამებრ არ იყენებენ

მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდებს

ყველა საწარმოები ვალდებული არიან მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში გადარიცხონ განსაზღვრული ანარიცხები. ასეთი ანარიცხებიდან შემოსული თანხა უნდა მოხმარდეს საბინაო მშენებლობას და მუშების კულტურულ ყოფაცხოვრებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ საწარმოებში ხსენებული ფონდიდან იხარჯება არადანიშნულებისამებრ. იშვიათი შემთხვევა არ არის აგრეთვე, როცა საწარმოების ადმინისტრაცია თავის დროზე არ შეაქვს სპეციალურ მიმდინარე ანგარიშზე საფონდო ანარიცხები და იტოვებს მათ საწარმოების საბრუნავი თანხისათვის. პროფორგანიზაციები ყურადღებას არ აქცევენ ამ გარემოებას, დანიშნულებისამებრ იხარჯება თუ არა საწარმოების მიერ შეტანილი თანხები.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესახებ. პროფსაბჭომ წინადადება მისცა ყველა პროფორგანიზაციებს ფხიზლად ადევნონ თვალყური სამეურნეო ორგანიზაციების მიერ საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს 1928 წლის 27 ივნისის დადგენილების და ამიერ-კავკ. შრ. სახ. კომისარიატის ცირკულიარის ცხოვრებაში სისწორით გატარებას, რომელშიაც გათვალისწინებულია მუშათა ყოფა-ცხ. გაუმჯობესების ფონდების შენახვისა და ხარჯვის წესები.

რკინის გზებზე

მზადება შემოდგომის სეზონისათვის

ამჟამად რკინის გზების უმთავრეს საზრუნავ საკითხს წარმოადგენს მომზადება შემოდგომის სეზონისათვის. ტრანსპორტის წინაშე დასმულია მეტად სერიოზული ამოცანა—უზრუნველყოფილ იქნეს შემოდგომაზე ტვირთების გადაზიდვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პურის გადაზიდვას.

ა.-კ. რკინის გზაც ამ მიმართულებით აწარმოებს დიდ მოსამზადებელ მუშაობას. ამზადებს მოძრავ შემადგენლობას, საწყობებს, აწარმოებს მატარებლების მოძრაობასთან დაკავშირებულ აგენტების მომზადებას და სხვა.

შემოდგომის მუშაობის საკითხებს იხილავენ რკინისგზელთა ჯგუფურ კრებებზე, სადაც რკინისგზელებს აცნობენ ხელისუფლების მიერ ტრანსპორტის წინაშე დასმულ საკითხების მთელ სერიოზულობას.

ერთ-ერთი ასეთი კრება, შესდგა თბილისის სადგურზე. კრებას დაესწრნენ სადგურის მუშა-მოსამსახურეები, გზის კლიენტები და ადგილობრივი ტრანსპორტის წარმომადგენლები.

შემოდგომის მუშაობის პერსპექტივების შესახებ კრებაზე მოხსენებით გამოვიდა გზის საექსპლოატაციო განყოფილების უფროსის თანაშემწე ნ. კ. აბუაშვილი, რომელმაც მუშა-მოსამსახურეებს განუმარტა ის ამოცანები, რომლებიც მათ წინაშეა დასმული და ამასთანავე შეეხო კლიენტების დამოკიდებულებას გზის მუშაობისადმი. მან განაცხადა, რომ კლიენტურა ხშირად ხელს უშლის გზას მუშაობაში მით, რომ თავის დროზე არ ისყიდის საქონელს, არ აძლევს გზას წინასწარ დაკვეთებს და სხვა.

არ არის მომზადებული სათანადოთ ადგილობრივი ტრანსპორტი, რომელიც ვერ ასწრებს რკინის გზის განტვირთვას მიღებულ საქონლისაგან. რკინის გზის საქონლის სადგურები გადასული არიან სამ-ცვლიან მუშაობაზე, ადგილობრივი ტრანსპორტი კი ძველებურად (ერთცვლიან) მუშაობს და ეს უაღრესად აძნელებს საქმეს.

კრებაზე გამოირკვა, რომ რკინის გზის შემოდგომის სეზონისათვის მოსამზადებლად გზის დირექცია აწარმოებს კადრების მომზადებას. აწარმოებს 200 მანქანის და 140 მემანქანის თანაშემწის მომზადებას. კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით გადაწყვეტილია 30 სადგურის უფროსის თანაშემწის და 60 უფროსი კონდუქტორის მომზადება. ამასთანავე დიდ სადგურებში, როგორიცაა: თბილისი, ბაქო, ბათომი, სამტრედია და ლეხინაკანი ეწყობა საღამოს კურსები კვალიფიცურ ტელეგრაფისტების, კომერციულ აგენტების და უმცროს ტექნიკურ მომუშავეების ქოსამზადებლად.

კრებაზე გამოითქვა სურვილი, რომ ადგილობრივ ტრანსპორტმა და კლიენტურამ ხელი შეუწყონ რკინის გზას მის წინაშე დასმულ სერიოზულ ამოცანების გადაწყვეტაში.

შემთხვევები

დაჭრა

სტეფანე დმიტრისძე ზაურმა (რიყის ქუჩა, № 4), დანით მსუბუქად დასჭრა თავისი ამხანაგი ინდიანლი.

ჭერის ჩამონგრევა

კომუნალურ ქუჩაზე (№ 54) მდებარე სახლში ჩამოინგრა ოთახის ჭერი. ჭერის ჩამონგრევის დროს დაშავდა მცირეწლოვანი არმენაკ ხეჩოიანცი, რომელსაც აღმოუჩინეს სასწრაფო დახმარება და მოათავსეს ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში.

შეპყრობა

შეიპყრეს: 1) პეშან გიორგისძე ხურშუკოვი, რომელმაც სერგო ილარიონისძე საბაშვილს მოჰპარა 200 მან. ნივთები; 2) ანდრო ბეგლარისძე სარქისოვი (ნარის ქუჩა, 1), რომელსაც ბრალდება ქურდობა, 3) ივანე ილიასძე ავალიშვილი (ბერძნის ქუჩა, 1), რომელმაც სოფლიდან ჩამოსული გლეხს მოჰპარა 50 მან. ფული.

ჯიბგირობა

დადაშ იმან-კარეს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 95 მან. პაშა მარტინისძე კარაპეტიანს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 338 მან.

ჭ ა დ რ ა კ ი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) ვ. მაყაშვილი (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)

შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) პ. ხიზანიშვილი (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი სამ სვლაში

10 იანვრის №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა

ამოცანა კ. ფირცხალავასი შამათი ორ სვლაში გადაწყვეტა: 1. ლf8-b8! (ცუგცვანგი) I. 1..., ლ:b8 2. მe6× II. 1.., ე:f7 2. ეc4× III. 1.., მc6 2. ეd5× და სხვა.

ამოცანა ა. ჩირაძესი, შამათი ორ სვლაში, გადაწყვეტა: 1. მc3—e4! (ლd4×მუქარით) I. 1.., მ:e4 2. ლf1× II. 1.., ე:e4 2. მb6× III. 1..., ეg:e4 2. კ:e6× IV. 1.., მd3 2. cb× V. 1.., ლ:f6 2. მd2× და სხვა კარგი ამოცანაა.

19. იანვრის №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა.

ამოცანა შ. ხვინგიასი, შამათი ორ სვლაში, გადაწყვეტა: 1. მc7-e8! (ცუგცვანგი) I. 1.., მფd5 2. ლf3× II. 1.., f5 2. მf6× III. 1.., მფf5 2. მd6× და სხვა.

ამოცანა ხ. კალანდაძესი, შამათი ორ სვლაში, გადაწყვეტა: 1. კd1-g4! (კf5× მუქარით) I. 1.., კ:g4 2. ე:g4× II. 1.., კ:g6 2. კf3× III. 1.., ეe5 2. ეd4× და სხვა.

29 იანვრის №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა.

ამოცანა ჯ. ჩომახიძესი (სამტრედია), შამათი ორ სვლაში, გადაწყვეტა: 1. ლf2-c2 (ცუგცვანგი) I. 1.., მფd6 2. ლc7× II. 1.., მფf5 2. d4× III. 1.., d4 2. ლc5× და სხვა.

ამოცანა ი. კოტრიკაძესი (სამტრედია) შამათი ორ სვლაში, ამ ამოცანის იდეა იგივეა, რაც წინა ამოცანაში. გადაწყვეტა: 1. ლh1-b1 I. 1.., მფc5 2. ლb6× II., 1.., მფf5 2. c3× და სხვა.

პასუხი მკითხველებს

კ. ფირცხალავას ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ა. ჩირაძემ, კ. სანაძემ, ვ. ლარსაძემ (ტაშკენტი), ვ. ქავთარიამ (სამტრედია), ი. ქირიამ (დიდინეძი, ზუგდ. მაზრა), დ. ჯაკობიამ (ახალ-სენაკი), ო. ჯინორიამ (სამტრედია), ა. შათირიშვილმა (ქუთაისი), ი. კოტრიკაძემ (სამტრედია) და დ. მჟავიამ (ოზურგეთი).

ა. ჩირაძის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: კ. სანაძემ, ა. ჯაკობიამ, ვ. ქავთარიამ, დ. ჯაკობიამ, ჯ. ჩომახიძემ (სამტრედია), დ. მჟავიამ, ი. კოტრიკაძემ, ი. ქირიამ, ა. შათირიშვილმა და ა. გეჯენავამ (სენაკი).

შ. ხვინგიას ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ა. ჩირაძემ, გ. ბააკაშვილმა გ. ლომსაძემ, დ. ჯაკობიამ, ო. ჯინორიამ, ჯ. ჩომახიძემ, ი. კოტრიკაძემ, ა. გეჯენავამ, ვ. ქავთარიამ, შ. და ძ. მებუკეებმა (ხონი), ვ. ლარსაძემ (ტაშკენტი), მ. შედანიამ (დიდინეძი ზუგდ. მაზრა), შ. ბერიძემ (გორი), ვ. ლომთაძემ (ქუთაისი), კ. ნებიერიძემ (რაჭა-სადმელი) და ლ. წიკლაურმა (თიონეთი).

ხ. კალანდაძის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: გ. ლომსაძემ, მ. შედანიამ, ა. ჩირაძემ, შ. და მ. მებუკეებმა, დ. ჯაკობიამ, ი. კოტრიკაძემ, ვ. ქავთარიამ, ვ. ლარსაძემ და გ. კარტოზიამ (ახალ-სენაკი).

ჯ. ჩომახიძის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ყ. იაკობიძემ, ნ. ნადარიამ, ვ. თათარიშვილმა, ლ. წიკლაურმა, ი. ქირიამ, შ. ბერიძემ, ა. ჩირაძემ, მ. შედანიამ, კ. ნებიერიძემ, ი. კოტრიკაძემ, ზ. გორგოშიძემ, ვ. ქავთარიამ, დ. ჯაკობიამ, ო. ჯინორიამ, ვ. კედიამ, გ. ლომსაძემ, ვ. ლარსაძემ, ა. გოგიამ და ლ. ხარქუამ (ხებუმი, ზუგდ. მ.).

ი. კოტრიკაძის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ნ. ნადარიამ, ვ. თათარიშვილმა, შ. ბერიძემ, ჯ. ჩომახიძემ, ი. ქირიამ, გ. კარტოზიამ, ლ. წიკლაურმა, ა. ჩირაძემ, მ. შედანიამ, ვ. ქავთარიამ, დ. ჯაკობიამ, ო. ჯინორიამ, კ. ნებიერიძემ, ვ. კედიამ, გ. ლომსაძემ, კ. ყ. იაკობიძემ, ვ. ლარსაძემ, ა. გოგიამ და კ. თავაძემ (სლავ. გოროდი).

რ ა დ ი ო - გ ა დ ა ც ე მ ა

შაბათი, 14 ივნისი

დილით: (8 ს. 30 წ. 9 ს. 30 წუთამდე) ქალაქის სატრანსლიაციო ქსელით გადაცემული იქნება „მუშათა შუადღე", პროგრამაში: ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოთი: 10 კილოვატიანი რადიო-სადგურით გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა: გადაცემა ბავშვთათვის ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; გადაცემა სოფლისათვის; „ზღვაში ბანაობის სარგებლობა", ქართულ ენაზე; აღმოსავლური მუსიკის კონცერტი, დროის შემოწმება, გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები, ჟურნალი „წითელი ფიზკულტურელი" რადიოთი რუსულ ენაზე; ტრანსლიაცია კონცერტის, რეკლამა, უკანასკნელი ცნობები.

14 ივნისს, საღამოს 6 საათზე, რადიო-ცენტრში მოწვეულია სამხატვრო-პოლიტიკურ საბჭოს სხდომა.

წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთში გამოაქვეყნოთ შემდეგი:

ამხ. ფრუნზეს სახელობის მეორე ქართული შრ. დივიზიის პოლიტიკური განყოფილება ულრმეს მადლობას უცხადებს პროფესორ ამირეჯიბს და მის თანამშრომლებს მანელიძეს, ღოღობერიძეს და თევდორაძეს, რომლებ მაც მომზადეს წითელარმიელთაგან 100-მდე ტრაქტორისტი.

მეორე ქართ. მსრ. დივ. პოლიტგანყოფილება.

იურიდიული დახმარება

— ა. რატიშვილს. ავადმყოფობის გამო სამხედრო სამსახურიდან სრულიად განთავისუფლებულ რიგითი წითელ-არმიელს უფლება აქვს ისარგებლოს განკურნებამდე საექიმო დახმარების ყოველგვარი სახეებით, ჯანმრთელობის დაცვის სამოქალაქო ორგანოებში დაზღვეულ მუშების მსგავსად.

— ქიმიკოსთა კავშირის წევრს, წიგნაკი № 200. მეორე სამუშაოზე გადაყვანა, შრომის უნარიანობის დაკლებასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულია სს.რ.კ. შრომის კომ. 1929 წ. 18 დეკემბრის ინსტრუქციაში, რომელიც იმ შემთხვევებისათვის, როდესაც გადაყვანა მცირე განაკვეთიან სამუშაოზე ხდება, მუშაკს პირველი ორი კვირის განმავლობაში უფლებას ანიჭებს მიიღოს: ძველისა და ახალ განაკვეთებს შორის არსებული სხვაობა.

— ხ. უტიაშვილს. ქორწინების მოსპობის რეგისტრაციის დროს მეუღლეთა შეთანხმება შვილების რაოდენობის შესახებ სავალდებულოა, მაგრამ ის არც ერთ ყოფილ მეუღლეს და არც მათ შვილებს უფლებას არ ართმევს ეძიონ შემდეგში საერთო წესით იმაზე მეტი რაოდენობით, რაც ამ შეთანხმებაში გათვალისწინებული.

— ი. ზირაქაშვილს—მილიციის თანამშრომელი სავალდებულო სამსახურის ვადის გათავებამდე, მისი სურვილისამებრ შეიძლება დათხოვნილ იქნეს იმ უფროსის მიერ, ვინც დანიშნა იგი, მხოლოდ განსაკუთრებულად პატივსადები მიზეზებით, როგორიცაა: ავადმყოფობა, ოჯახური მდგომარეობა და სხვ.

— მედსანშრომის კავშირის წევრს, წიგნაკი № 4.307—თუ თქვენი ბინა ერთის მხრივ მაინც არის მიწის დონეზე დაბლა, 0,5 მეტრზე მეტი რაოდენობით, ცხადია ის ითვლება სასარდაფო ბინად და გადასახადი შეღავათი 50 პროც.

— ნავთლუღელ მუშას—თქვენი ბინის მოხერხებულებათა აღსადგენად, რომელიც სახლის პატრონმა ამ ერთი წლის წინ დაგირღვიათ, უნდა მიმართოთ საბინაო სასამართლოს.

— მ. მექიაშვილს. დაწესებულება არავითარ შემთხვევაში არ არის ვალდებული დაგიბრუნოთ ის ფული, რომელიც ობლიგაციებს შესაძენად გაქვთ გადახდილი, მაგრამ თუ თქვენი გაჭირვებული მდგომარეობა ამას მოითხოვს, შეგიძლიათ მიმართოთ დაწესებულებასთან არსებულ დამხმარე კომისიას, რომელიც საპატიო მიზეზების შემთხვევაში მოგცემთ უფლებას ობლიგაციების გაყიდვის ან დაგირავებისათვის.

— ა. ქარდავას. თუ თქვენ, დამქირავებლის მიერ სისხ. სამართ. ბრალდების გამო იყავით მოხსნილი თანამდებობიდან, გამართლებულ განაჩენის შემდეგ უფლება გაქვთ მიიღოთ ხელფასი მთელი იმ დროისათვის, რომელიც გავიდა დღიდან ხელფასის გაცემის შეჩერებისა განაჩენის გამოტანამდე; ამავე დროს თქვენი მოითხოვეთ უნდა დანიშნულ იქნეთ შესაფერ ხელფასისა და კვალიფიკაციის სამუშაოზე, იმ შემთხვევაშიაც, თუ სამუშაოზე დაბრუნებამდე ორმა თვემ განვლო.

ოფიციალური განყოფილება

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა სრულიად გადაუხდელობის წინაალმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

სრულიად საქართველოს ცაკის და სახ. კომსაბჭოს 1930 წლის 11 მარტის დადგენილების გამოსაყენებლად:

1. ფინჩრმწიფებულთა სახ. შემოსავალთა განყოფილება და ოლქის (მაზრის) აღმასკომის საფინანსო განყოფილება ყოველი კვარტალის განვლის შემდეგ, არა უგვიანეს მომდევნო კვარტალის პირველი თვის 15 რიცხვისა, ადგენს იმ მენარჩენეთა სიას, რომლებზედაც ირიცხება სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები არა ნაკლებ 300 მანეთისა და ამ სიის მიხედვით ახდენს გამოკვლევას, რომელი მათგანი ცუდთავისი ურჩ და ბოროტი განზრახვით მენარჩენეთა რიცხვს.

2. მენარჩენის ნივთიერი მდგომარეობის გამორკვევის მიზნით საფინანსო ორგანოს უფლება ეძლევა, სათანადო პროკურორის წინასწარ შეტყობინებით და ს. ს. ს. კ. სათანადო წესების დაცვით მოახდინოს გამოკვლევა და ჩხრეკა ყველა იმ სათავსოებში, სადაც მიღებული ცნობებით მენარჩენის ქონება, შესაძლებელია, ინახებოდეს. ყოველი პირი, დაწესებულება, ორგანიზაცია, საწარმოო ვალდებულია აღმოუჩინოს საფინანსო ორგანოს ყოველმხრივი დახმარება მენარჩენის ქონების აღმოჩენის საქმეში.

3. ურჩად და ბოროტ-განზრახვით მენარჩენედ ჩაითვლება ის მენარჩენე, რომელსაც

ა) საშუალება ჰქონდა შეეტანა გადასახადი და ასეთი სრულიად არ შეიტანა;

ბ) რომელმაც გადამალა თავისი ქონება მას შემდეგ, რაც მას სათანადო უწყებით ეცნობა, რომ მასზე ირიცხება გადასახადი.

4. სათანადო კვლევა-ძიების შემდეგ საფინანსო ორგანო ადგენს სიას იმ პირებისას, რომლების შესახებაც გამოირკვა, რომ გადასახადის შეუტანლობა გამოწვეულია მათი ბოროტი განზრახვით, ან ურჩობით და ამ სიას საფინანსო განყოფილება აცხადებს გაზ. „კომუნისტ"-ში, აგრეთვე ბეჭდავს ცალკე ფურცლებად და გააკრავს, როგორიც ქუჩებში, აგრეთვე ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში.

5. სიაში გამოცხადებულ პირთა ქონება, სიის გამოქვეყნების შემდეგ, რაშიაც უნდა გამოიხატებოდეს ეს ქონება და სადაც უნდა იმყოფებოდეს, ითვლება დაყადაღებულად და მათი გასხვისება ან ადგილ-ცვლა შეიძლება, მხოლოდ სათანადო ოლქის ან მაზრის საფინანსო განყოფილების ნებართვით.

6. საფინანსო განყოფილება ქონების გასხვისების ნებართვას აძლევს, მენარჩენეს იმ პირობით, რომ

ა) ქონების გასხვისება მოხდეს საფინანსო წარმომადგენლის მონაწილეობით და ქონების გასხვისების ფასის მასთან შეთანხმებით.

ბ) უკეთუ ფასში შეთანხმება არ მოხდა, იმ შემთხვევაში მენარჩენეს ხარჯზე მოწვეულ იქნას ექსპერტები, რომლების მიერ განსაზღვრული იქნება მინიმალური ფასი;

გ) ქონების გასხვისებით აღებული თანხა შეტანილი იქნეს ნარჩენების დასაფარავად, ვიდრე ნარჩენები არ იქნება სრულიად დაფარული.

7. ქონების ადგილ-ცვლის ნებართვას საფინანსო განყოფილება აძლევს იმ შემთხვევაში, როდესაც

ა) ქონების გადატანა მოსალოდნელი და ახალ ადგილას, სადაც იქნება გადატანილი, მას არავითარი ზიანი ან დანაკლისი არ მიადგება.

ბ) როდესაც ახალ ადგილას ქონების რეალიზაცია უფრო ადვილად და უფრო ხელსაყრელ ფასებში შესაძლებელი.

შენიშვნა: ქონების გასხვისების და ადგილ-ცვლის ნებართვას აძლევს ის საფინანსო განყოფილება, რომლის ანგარიშზედაც ირიცხება ნარჩენები, დამოუკიდებლად იმისა, სად იყო დაბეგრილი მენარჩენე.

8. სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებების და საწარმოოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციას და კერძო პირს ევალება სიის გამოქვეყნებიდან დაუყოვნებლივ და ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 7 დღისა, აცნობოს სათანადო საფინანსო განყოფილებას:

ა) მენარჩენის რა ქონება იმყოფება მის განკარგულებაში, რა პირობით (მიბარებული, დაგირავებული, წინა-ნასყიდობით და სხვ.), სად იმყოფება ქონება და რა მდგომარეობაში.

ბ) როდის არის ქონების დაბრუნების ვადა,

გ) რა ფულადი თანხები ერგება მენარჩენეს და როდის.

9. სახელმწიფო ან კოოპერატიულ დაწესებულებებს, საწარმოო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, აგრეთვე კერძო პირს ეკრძალება დაუბრუნოს სიაში მოთავსებულ პირს მისი ქონება ან ფულადი თანხა, საფინანსო განყოფილების განკარგულების გარეშე.

10. იმ შემთხვევაში, როდესაც ფულადი თანხის დაბრუნების ვადა დადგება დაწესებულება, ორგანიზაცია, საწარმოო და კერძო პირი ვალდებულია სათანადო თანხა შეიტანოს საქართველოს ფინსახკომის დეპოზიტში, ვიდრე იმ ფულის დანიშნულება გამოირკვევა. ფულის დეპოზიტში შეუტანლობა ან სათანადო ვადაზე შეუტანლობა გამოიწვევს იმავე შედეგებს, რომელიც მოჰყვებოდა, რომ ეს თანხა არ ყოფილიყო საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს 11 მარტის დადგენილების თანახმად და ყადაღებული, მაგალ., საურიოლოს გადახდა, პროცენტების დარიცხვა და სხვა.

11. იმ შემთხვევაში, როდესაც საფინანსო განყოფილებას ეცნობება, რომ სახელმწიფო, კოოპერატიულმა, საზოგადოებრივმა, საწარმოომ, ორგანიზაციამ ან კერძო პირმა დაუბრუნა სიაში გამოცხადებულ პირს ქონება ან გადასცა ფულადი თანხა, საფინანსო ორგანო ადგენს სათანადო აქტს, რომელსაც უგზავნის სათანადო პროკურორს.

12. იმავე დროს საფინანსო განყოფილება ზომებს იღებს, რომ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურებულ იქნეს დამნაშავის ქონებიდან. ამ მიზნით ყადაღას ადებს დამნაშავის ქონებას იმ დრომდე, ვიდრე სისხლის სამართლის წესით საქმე გადაწყდება, სისხლის სამართლის საქმეში საფინანსო ორგანო გამოდის სამოქალაქო სარჩელით.

13 ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივ დაწესებულებას, ორგანიზაციას და საწარმოს ეკრძალება დადონ რაიმე ქონებრივი გარიგება ან ხელშეკრულება (იჯარის, საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების, შენობათა დაქირავების და სხვ. შესახებ), სიაში გამოცხადებულ პირებთან საფინანსო განყოფილების ნებართვის გარეშე.

14. საფინანსო განყოფილება ხელშეკრულების დადების ნებართვას აძლევს იმ შემთხვევაში, როდესაც

ა) მას გარანტია აქვს, რომ ხელშეკრულების ან გარიგების შესრულებაზე არ დაიხარჯება ის კაპიტალი, რომლიდანაც შეიძლებოდა ნარჩენების გადახდევინების მოქცევა.

ბ) როდესაც მიიღებს გარანტიას, რომ ხელშეკრულებით ან გარიგებით გათვალისწინებული თანხა მოხმარდება ნარჩენების დაფარვას.

15. უკეთუ სიაში გამოცხადებულ პირთა ქონება სიის გამოქვეყნების შემდეგ შეიძინა, ან მიიღო გირაოდ შესანახად ან ქირით სასარგებლოდ, სიაში გამოცხადებულ მენარჩენის ქონება სახელმწიფო, კოოპერატიულმა ან საზოგადოებრივმა დაწესებულებამ, ორგანიზაციამ, საწარმოომ, ან კერძო პირმა, ქონება ჩამოერთმევა და ქონებაზე მიექცევა ნარჩენების ანაზღაურება.

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი **ვაშაძე.**

საქართველოს რესპუბლიკის პროკურორი **გ. სტურუა.**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სა ხალხო კომისართა საბჭოსი

„ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ კომუნალურ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის დებულების" მე-2 მუხ. შეცვლის შესახებ

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა.-კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 8-ის დადგენილების თანახმად (ა.-კფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-7 №-ი, მუხ. 93) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ კომუნალურ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის დებულების" (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-20 №-ი, მუხ. 221) მე-2 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 2. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ისეთ კომუნალურ საწარმოში, სადაც ქალებიც მუშაობენ, საბავშო ბაგებისა, ბაღებისა და ბავშთა დაცვის სხვა დაწესებულების მოსაწყობად და შესანახად, მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან გამოყოფილ უნდა იქნეს სათანადო ფონდის სა ერთო თანხის 5-დან 10 პროცენტამდე—საწარმოში მომუშავე ქალთა რიცხვის იმავე საწარმოს მომუშავეთა საერთო რიცხვიდან შეფარდების მიხედვით, სახელდობრ: ა) 5 პროცენტი, უკეთუ ქალთა რიცხვი 20 პროცენტამდე; ბ) 8 პროცენტი, უკეთუ ქალთა რიცხვი 20 პროცენტზე მეტია—50 პროცენტამდე და გ) 10 პროცენტი, უკეთუ ქალთა რიცხვი 50 პროცენტზე მეტია".

2. იმავე მე-2 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ივანოვ-კავკასკი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. მაისის 21.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ს. ა. ღ. კ. კ. ქალ. რაიკომი აცხადებს, რომ ა. წ. 14 ივნისს, საღ. სრულ 6 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში გამოცხადდება უკანასკნელი კურსის სტუდენტ კომკავშირლების წმენდის შედეგები. დასწრება წევრ-კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

15 ივნისს, დილის 8 საათზე, თბ. სახ. უნივერსიტეტში შედგება პარტიაში მიმღებ კომისიის სხდომა. ამხ. ხუციშვილის, ნუცუბიძის, ღლონტის, თევზაძის და ლამბაშიძის დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ის კომკავშირლები, რომლებიც განცხადება აქვთ შეტანილი პარტიაში მიღების შესახებ. სხდომა შესდგება ლენინიზმის კაბინეტში.

დღეს, 5 საათზე, ს.ს.ბ.ი-ში მოწვეულია კ.ბ. (ბ) და ა.ლ.კ.კ. უჯრედების მდივნების და სექტორების ხელმძღვანელების სხდომა (ბიურო კოლექტივის ოთახში).

საქ. სახ. ვაჭრობის სახ-ბასთან არსებული „სოიუზტრანსი" და „პრომსტროისნაბი" აცხადებს ყველას საყურადღებოდ, რომ „ზაკავტოპრომტორგ"-ის საბაჭრო განყოფილება გადაეცა „პრომსტროისნაბს"

ავტო-მოტო-ველო საქონლით მომარაგების ყველა საკითხზე უნდა მიმართოთ „პრომსტროისნაბ"-ის ლითონ-ტეხნიკურ განყოფილებას.

შეკვეთები, ჩაბარებული „ზაკავტოპრომტორგ"-ის კომერციულ განყოფილებაში და მიღებული მის მიერ შესასრულებლად, შესრულებული იქნება „პრომსტროისნაბ"-ის მიერ.

ყველა დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა სასწრაფოდ უნდა წარმოადგინონ „პრომსტროისნაბ"-ში მოთხოვნილებები 1930/31 საოპერაციო წელში საჭირო ავტო-მოტო-ველო ნაწილებზე და მოწყობილობებზე. 2—1

სახელმწიფო ოპერის თეატრი
ქართული დრამის თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობის
გასტროლები თბილისში

შაბათს, 14 ივნისს,	კვირას, 15 ივნისს,	სამშაბათს, 17 ივნისს
კარლ გუცკოვი	ქ. კალაძე	დემნა შენგელაია
ურიელ აკოსტა	ხატიჯე	თეთრები
აბონემენტის გარეშე	მე-5 აბონემენტის	მე-5 აბონემენტის წარმოდგენა

ნაწილი ბილეთებისა დატოვებულია გასასყიდათ. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 ¼ საათზე. სალარო ღიაა დილის 12—4 საათ., საღამოს 6—9 საათამდე.
ნ. 876 თეატრის დირექტორი ქ. კალაძე.

აპოლო 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	მხატვრული სურათი ქ ო შ ე ბ ი ნ. გოგოლის მოთხრობის „ღამე შობის წინ" მიხედვით	პ ა ლ ა ს ი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ.	პატი და პატაშონი ახალ კომედიაში პარიჟის დასაწყისი
სპარტაკი უოფ. არფასტო	მხატვრული კინო-მოთხრობა მოპირდაპირე კარი ლვოვის პიესის „დღეებიან დღეებით"-ს მიხედვით	რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი)	ჟენი იუგო, ხენბურგი, ვ. კრაუსი სურათში მკვდარი მარყუჯი
ს ო ლ ე ი 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	ამერიკული კომედია ჩ ი კ ა გ ო	დარბაზი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ.	კომედია ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ი ს ნ ა ლ ი იუმორისტ რაზდოლინის გასტროლების მეორე კვირა

მალე: საზაფხულო კინო „ეთერის" და „აპოლო"-ს („დარბაზი"-ს ბაღში) გახსნა

თბილისის ადგილკომების საყურადღებოთ
გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობა
აცხადებს, რომ ვინც 20 ივნისამდე არ გაასწორებს გაზეთის ანგარიშს, მათ 1 ივლისიდან
გაზეთი არ გაეგზავნება.
0—1 „კომუნისტი"-ს გამომცემლობა.

გამოცდილი ბუღალტერი
ქართულ და რუსულ ენაზე ამზადებს შესახვედრად
საბუღალტრო კურსებზე
ბუღალტერიასთანაც გაცნობით (თეორ. და პრაქტიკ.) და ასწავლის
ლამაზსა და ჩქარ წერას.
მოკლე ხანში უსწორებს ხელს. რუს. ენის და არითმეტ. გაკვეთ.
ალავერდ. მოედ., აზოსპირელის 1-ლი ჩიხი, № 6, ბინა № 3 (ყ. ველიამინოვის ქ. მახლობ.) 3244

15 ივნისს, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლის მცირე დარბაზში მ ო წ ვ ე უ ლ ი ა
ც. ბ. სხდომა პროფაქტივთან ერთად
განსახილველია:
განათლების სახალხო კომისარიატის და განათლების განყოფილების მოხსენება: სკოლების პოლიტეხნიზაციისათვის აუცილებელ ღონისძიებათა გატარების შესახებ. ნ. 883

სახელმწიფო, სამხედრო და კოოპერატიული ორგანიზაციების საყურადღებოდ
სრ. საქართველოს ღარიბ მეჩაღეთა დამხმარე კომიტეტთან გაიხსნა საშტამპო-გალვანიური არტელი
„პ რ ე ს"-ი
რომელიც ასრულებს ყოველგვარ საშტამპო და გალვანიურ სამუშაოებს, როგორიც არის: ბოქლომები, ავეჯეულობისა და ჩემოდნების არმატურა, გულზე სატარებელი ნიშნები, წარჩინების ნიშნები, ბლიახები, მარკები, საინვენტარიზაციო ტაბულები და ყოველგვარი სხვა საშტამპო-გალვანიური სამუშაოები.
შეკვეთებისა და ცნობებისათვის უნდა მიმართოთ: ენგელსის (ყოფ. ბებუთოვის) ქ., № 48. ნ. 861 3—3

ოლქფინგანის საუქციონო კამერა
აცხადებს, რომ ა. წ. 15 ივნისს იწარმოებს
საჯარო ვაჭრობა
ოლქფინგანისადმი დავალიანების ასანაზღაურებლად გაიყიდება: შიფონერკები, ბუფეტები, კრაოტები და სხვა საოჯახო ნივთები. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს დილის 11 საათიდან. ხაზინის ქ. 3. ნ. 880

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი
მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ., № 49).
მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონალური

მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ყველა სახეები: ელექტრომკურნალობა, ნახშირ-მჟავას აბაზანები, სინათლით მკურნალობა მექანოთერაპია, რენტგენო-რადიო-თერაპია, ინჰალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა

შინაგან სნეულებათა მკურნალობა (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა გაცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, რევმატიული დაავადებანი და სხვ.) ნერვიული და ქალის სნეულებანი.

კონსულტაცია ქალის სნეულებაზე დღის 12—1 საათამდე. პროფ. ლამბარაშვილი—სამშ. და პარასკ., შინაგან სნეულებებზე—12 საათ. დოც. ე. კონცოშვილი—სამშ. და პარასკ., ნერვიულ ავადმყ.—11—12 ს. ექ. გ. პონდოევი—ყოველდღე.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე | ავადმყოფთა ჩაწერა დილის 8-დან 10 საათამდე.

საღამოს ავადმყოფთა მიღება 5-დან 8 საათამდე, კვირას გარდა. ავადმყოფთა ჩაწერა 4-დან 7-ნახ. საათამდე, კვირას გარდა.

ნერვიულ ავადმყ.—7—8 საათ. პროფ. ხ. ყიფშიძე—ყოველდღე.
შინაგან სნეულ.—5 6 საათ. ექიმი ნ. ყიფშიძე—ყოველდღე.
ქალის სნეულ. და სამეანო—5—6 საათ. ექ. ხებასტიანსკი—ყოველდღე.
ყურის, ყელის, ცხვირის 7—8 საათ. პროფ. ნ. ასპიზოვი—სამშ., ხუთშ. და შაბ. 7—8 საათ. ექიმი დ. თევზაძე ორშ., ოთხშ. და პარასკ.
უროლოგია და ქირურგია 7—8 საათ. პროფ. ა. წულუკიძე ყოველდღე.
ბავშთა ავადმყ.—5—6 საათ. ექიმი ი. ლორთქიფანიძე—ყოველდღე.

ქირა ავადმყოფთა გასინჯვისათვის პოლიკლინიკაში: პროფკავშირის წევრებისათვის 1 მან., ახვებისათვის—2 მანეთი.

ყოველგვარი კლინიკურ-დიაგნოსტიური ანალიზების მიღება. მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87.
25—1 ნ. 819

გარე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
აცხადებს, რომ ის 17 ივნისს 30 წ. დღის 10 ს., სახლში № 8 (გოგირდის ქ.)
საჯარო ვაჭრობით გაყიდის მირზა გუსეინ რიზა კაფაროვის მოძრავ ქონებას: კედლის დიდი სარკე, შიფონერკა პატარა სარკით, ნოხი კედლის, შკაფი 5 უჯრიანი და სახლის ერთი მესამედი ნაწილი (მდებარე გოგირდის ქ. № 8), რომელიც შესდგება 9 ოთახისაგან და სამი სამზარეულოთი, სახლი არის სამ სართულიანი. აღწერილი ქონება იყიდება მეორე საჯარო ვაჭრობით ოზურგეთის საკრედიტო ამხ-ბის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის პირველ უბნის სახალხო სასამართლოსაგან 14 მაისს 1927 წ. №№ 1.615, 3.111 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. საჯარო ვაჭრობის დროს დაცული იქნება ს. ს. ს. კ. 311-312 მუხ. მოთხოვნილება. ვაჭრობა იწარმოებს შეძლეულ ფასებიდან. 3231

ქ. თბილისის მე-II რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი
დ ა ლ ა ქ ი შ ვ ი ლ ი
აცხადებს, რომ ის 1930 წ. 18 ივნისს, დღის 2 საათზე სახლში № 2, პუშკინის ქუჩ. ქარვასლის ეზოში საჯარო ვაჭრობით გაყიდის ლიპარიტ არუთინის ძე სარქისიანის მოძრავ ქონებას: საგალანტერიო საქონელს, ტიულს, ძაფებს და სხვ. აგრეთვე ბუფეტის შკაფს, ტრიუმს და სხვ. შეფასებულს 2200 მანეთად, მოსკოვის საბინაო ამხანაგობის № 35 ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის საბინაო სახალხო სასამართლოსაგან 24 აპრილს 1930 წ. თარიღით, № 414 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3209

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად
— დამხმარე სალაროს წიგნაკი № 349, გაცემული არტელ „გლარჯი"-ს მიერ და უფასო პატენტი არტემ პადარიანის სახელზე. 3226
— მეტრიკული ამონაწერი—ასლან ფალაშვილის სახელზე. 3224
— კავშირის წიგნაკი № 37218—იოსებ ასათიანის სახელზე. 3225
— პურის წიგ. № 5167—ალექსანდრე თომას ძე თუშმალიშვილის სახ. 3233
— მატრიკული № 2075, გაცემული თბილ. უნივერსიტ. მიერ, პირადობის და სტიპენდიანტობის მოწ., კავშირის წიგნაკი № 16066 და იარაღის ტარების მოწმობა № 1446—შალვა ისლამის ძე ფაჟავას სახელზე. 3236
— მეტრიკული ამონაწერი—როზა ახობაძეს სახელზე. 3235
— კავშირის წიგნაკი № 26325 (17877), გაცემული თამარა ოქროპირის ასული ქუნთელიას სახელზე. 3237
— საპენსიო წიგნაკი ელენე ებრალიძის სახელზე. 3245
— მეტრიკული ამონაწერი შოთა ივანეს ძე ბაიაძის სახელზე. 3238
— მატრიკული № 1332, გაცემული საქ. პოლიტეხნიკუმის მიერ—თომა ანდრიას ძე ფოცხიშვილის სახელზე. 3243
— ქალ. ხონის 9 წლედის დამთავრების ატესტატი № 857—ივანე გორგაძის სახელზე. 3242
— პარტ-საკანდიდატო მანდატი № 20857—ნიკოლოზ ჭელიძეს სახ. 3246
— კავშ. წიგნაკი № 75, ურთიერთ დამხმარე სალაროს წიგნაკი № 115 და 7 წლედ. დამთავრ. მოწმობა № 18—სიმონ აბაშიძის სახელზე. 3241
— ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის ობლიგაციის კუპონები №№ 018370 და 018369—რაჟდენ ზიბზიბაძის სახელზე. 3241
— ს. კ. პ. პარტ. საკანდიდ. ბილეთი № 7564—იოსებ ბესტაევის სახ. 3239
— პარტ. ბილეთი № 493143—ნ. ჩაჩანიძის სახელზე. 3239

სად. ნავთლუღის გაერთიანებული ადგილკომი და მასში შემავალი რკ. გზის მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა საზოგადოებრივ კულტურულ საქმისადმი თავდადებული ძველი მუშა
ამხ. გიორგი სიმონის-ძე თედეშვილი
გამოსვენება სად. ნავთლუღიდან დღეს, 14 ივნისს, დასაფლავება ავლაბრის სასაფლაოზე რკინის გზის გადაღმა. 3220

რკინის გზის მე-9 შრომის სკოლა მწუხარებით აცხადებს, რომ გარდაიცვალა სკოლის უგულითადესი მეგობარი ძველი საზოგადო მუშაკი რკინის გზის მუშა
გიორგი თედეშვილი
გამოსვენება სადგურ ნავთლუღიდან დღეს, 4 საათზე. დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე რკინის გზის გადაღმა. 3228

რკინის გზის მე-9 შრომის სკოლის დამხმარე საბჭო მწუხარებით აცხადებს თავის აქტიური წევრის ძველი საზოგადო მუშაკის რკინის გზის მუშის
გიორგი თედეშვილის
გარდაცვალებას. 3229

რკინის გზის მე-9 შრომის სკოლის გამგე გრიგოლ ბურჭულაძე ულრმეს მწუხარებას გამოთქვამს გულითადი მეგობრის სკოლის უერთგულესი მუშაკის რკინის გზის მუშის
გიორგი თედეშვილის
გარდაცვალების გამო. 3230

გულდამწვარი მშობლები დედა ნინა, მამა გრიშა ინჯგიები, ბებია მეკი და ბებია ნატაშა ხუხუაიები, ბაბუა დიმიტრი, მამიდები: ლიდია და ლუბა ინჯგიები იუწყებიან მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პატარა
კუკული გრიშას ასული ინჯგიას
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 14 ივნისს, ქალ. ახალსენაკში. ნ. 879

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ელისაბედი შვილებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ დღეს, 6 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ
სიმონ სტეფანეს-ძე პილურაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 3232

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე მატრონა, შვილები: მარიამ მეუღლით, ვიქტორ ცოლ-შვილით, გაბრიელ ვალია და პლატონი, ძმა ანტონ კუპრაძე ცოლ-შვილით, დაი მინადორა ლომაძისა და სიდედრი ელენე დარჩიასი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 12 ივნისს, ღამის 10 საათზე მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი
დიმიტრი ასალოს-ძე კუპრაძე
სამოქალაქო პანაშვიდის და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 3234

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი ელისაბედ, შვილები: ყორყიკა, ვახტანგ, მარო, უშანგი და კოლია, ძმები: სამსონ, რუბენ და ბენია ოჯახობით; შალვა და გედევან, დები: ნინა, გოგოლა, ვარო ქმარშვილით და ქეთო, ბიცოლა პელაგი და რძალი შუშანა შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი
დიმიტრი ძიმშარდის ძე შარაშიძის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 14 ივნისს, კოფ. ბუკისციხეს. 3240

სას. სამ. ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტები ქუთაისში პრაქტიკაზე მყოფნი, პ. ჩიქვილაძე, ლ. ჭაბუკიანი, ი. სანოძე, შ. კაკულია, ს. მარჯანიშვილი, მ. კალანდაძე, ა. ჩოგოვაძე, გ. ასლანაძე, ს. ნარეშელაშვილი, დ. ნარიშელაშვილი, ვ. ჯინჭარაძე, ვ. ნუცუბიძე და მ. შავდია გამოსთქვამთ ულრმეს მწუხარებას ძვირფასი ამხანაგის
სოლომონ ნამორაძის
ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. ნ. 882

დამწუხრებულნი შვილები: ნატო და ვანუშა, დედა ნატალია, ძმა სვიმონი მეუღლით ანა და შვილით მიხეილით გარაყანიძეები, მამიდა ეკატერინე მიქელიშვილისა, ბიძია ვასილი თუხარელი, მაზლის შვილი რიმა სამნაშვილისა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
ნინა (ელენე) გიორგ. ას. ლილუაშვილისა
დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 15 ივნისს 3 საათზე, გამოსვენება ბინიდან იურევის ქ. № 10. 3247

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი შვილები თამარა და შოთა, მამა ვანო, და მარო, ძმა სოსო და რძალი მარო ჩოდრიშვილები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ ძვირფასი და მარად დაუვიწყარი დედის, შვილის და დის
ნინა ივანეს ასული ყაველაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, სასამართლოს ქ. № 22. დაკრძალვა 15 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. (შ)

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილიდა სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

ი. ვ. ხანდამოვი იღებს სპეციალურად სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: 8—11 საათამდე დილით და 6—8 საათამდე საღამოს, ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. სპიორის). 25—1

ი. ი. ბერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, ხასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფების მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. ხაღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ.-კუთხე. ტელ. 25—68. 25—2

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მ ი ღ ე ბ ა: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

ნ. კონსტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მემელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ბ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი; სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მახაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. სპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. ჩიჭამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ქ. ქუთაისი თ. ვ. აკოფაშვილი შინაგანი სნეულება— სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7, (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით). 13—1

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მ ე ო რ ე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს, საღამოს 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—

ნინო მირიანაშვილი ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს ტრიპერი სიფილისი, შესხმა „914" (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ტირაჟი—55,700

სახაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტი № 904